ა. ლიფშრიცი

თეთრი ჭაბუკი

გამომცემლობა „ნაკადული"
თბილისი
1960

P2
891.71-93
ด545

თარგმნა პ. ჩარკვიანმა

...ეს საკვირველი ამბავი შენს საკლასო ოთახში მოხდა ერთ თვარიან ღამეს, როცა ტკბილად გეძინა და სკოლაშიც ადამიანის ჭაჭანება არ იყო.

შენ ხომ გიყვარს ხიფათებით სავსე შორეული მოგზაურობის ამბები? ჰოდა, ეს პატარა წიგნი დაგეხმარება დაათვალიერო იდუმალი, ზღაპრული სამყარო.

პატარა ცარცთან, დეიდა ჩვართან, ავტოკალამსა და ბიძია გლობუსთან ერთად შენ იმოგზაურებ მიწისქვეშა, ბნელ გამოქვაბულებში, სადაც ხმაურით მოჩქეფს უხილავი მდინარეები; ნახავ ბრწყინვალე დარბაზებს, ყოველისშემძლე ბუნებას რომ შეუქმნია; გადასერავ ტროპიკულ ზღვებს, სადაც ნამცეცა მარჯნის პოლიპებს დაუღალავი შრომით ვეებერთელა წყალქვეშა მთები და ზოგჯერ კუნძულებიც კი აუშენებიათ; შეიტყობ, როგორ ისწავლა შორეულ წარსულში ჩვენმა წინაპარმა შენება და რა უზარმაზარ როლს თამაშობს ადამიანთა ცხოვრებაში უბრალო, ჩვეულებრივი კირქვა — ბუნების ეს ერთ-ერთი შესანიშნავი საჩუქარი.

ჯერ ერთმანეთი უნდა გავიცნოთ

აჰა, მეგობარო, ბოლოს და ბოლოს ჩვენც შევხვდით ერთმანეთს, ბბა ერთი შუქისკენ მოიწი, აი, ასე!

კარგად მოეწყვე, ჩვენი საუბარი დიდხანს გასტანს. ჯერ კი ერთმანეთი გავიცნოთ: უცხოსთან ბაასი, ცოტა არ იყოს, უხერხულია, მით უმეტეს, ყველაფერს გულახდილად ვერ უამბობ. მაგრამ მთავარი მაინც ის არის, რომ, თუ ადამიანს თვალით ვერ ვხედავ, ვერაფრის დიდებით საუბარს ვერ გავუბამ. თავად განსაჯე, რა დღეში ვარ: გელაპარაკები და ვერ ვხედავ. არა და, ძალზე მინდა ვიცოდე, ვინ უზის ახლა ჩემს წიგნს, ვინა სვრიტინებს, აი, ამ გვერდის კითხვისას. არ ვიცი, ბიჭი ხარ თუ გოგონა. არც ის ვიცი, ქოჩრიანი ხარ, თუ ბაბთა გაქვს შებმული. იქნება პაჭუა ხარ, იქნებ ჭორფლიც გაყრია. მოიცა, ყველას ის ხომ არ აჯობებს, ისეთი დაგხატო, როგორიც წარმომიდგენიხარ. მე ჭგონია, ასეთი უნდა იყოს:

ან, აი, ასეთი:

როგორც გატყობ, არ მოგწონს ნახატი; ვერ დაგამსგავსე, არა? მე რომ მკითხოს კაცმა, რაღაცით მაინც გგავს. კიდეც რომ არა გგავდეს, ამბის მოყოლას მაინც გამიადვილებს.

კარგი იქნებოდა, სხვა რამეც მცოდნოდა შენს შესახებ: როგორი ხასიათისა ხარ, რა მოგწონს, რა გეჯავრება, სამწუხაროდ, ეს შეუძლებელია!

თუმცა, რაღაც-რაღაცეები მაინც ვიცი, მაგალითად, ძალიან გიტაცებს არაჩვეულებრივი თავგადასავლები, საოცარი ამბები და ხიფათით აღსავსე მოგზაურობანი.

ხომ გამოვიცანი?

ამას იმიტომ გეკითხები, რომ სწორედ ასეთი ამბის მოყოლას გიპირებ. ეს ამბავი ძალზე უჩვეულოა და ჩვეულებრივად შავით თეთრზე კი არ არის დაწერილი, არამედ პირიქით, თეთრით შავზე.

თუმცა, არც თუ ისე უჩვეულო, აკი თვითონაც ზოგჯერ ამნაირად წერ ხოლმე...

როდის და სად წერ?

სწორედ იქ, სადაც ეს ამბავი იწყება.





პირველი თავი

რომელიც მოგვითხრობს, რა მოხდა ერთ ღამეს შენს სკოლაში, შენს კლასში.

სკოლაში ჩამიჩუმი არ ისმოდა! დიახ, დიახ, მართალს გეუბნები! თანაც ისეთი სამარისებური სიჩუმე იდგა, უცებ რომ გაჩენილიყავი იქ, უთუოდ იტყოდი: არა, ეს ჩემი სკოლა არ იქნება, სხვა სკოლაში მოვხვდებოდიო!.. იქნებ ზღაპრულ სკოლადაც მოგჩვენებოდა.

თუმცა, მე კარგად ვიცი, რომ, როგორც კი სკოლაში ბოლო ზარის ხმა მიწყდება, გვიან ღამით დარაჯი შუქს გამორთავს და კარფანჯრებს ჩაკეტავს, ყველა სკოლას ცოტა ზღაპრული ელფერი ეძლევა. უკაცრიელ საკლასო ოთახებში და კაბინეტებში ამ დროს ზოგჯერ ნამდვილად უჩვეულო ამბები ტრიალებს.

არდადეგების დროს ხომ ნუღარ იტყვი! სკოლა სასწაულების ასპარეზად არის გადაქცეული და, რა ვიცი, რა საოცრება აღარა ხდება აქ.

მაგრამ, მოდი, ისევ შენს სკოლას დავუბრუნდეთ. როგორც უკვე გითხარით, იქ სიჩუმეს და მოწყენილობას დაესადგურებინა. ჯერ კიდევ შუადღე იყო, სასწავლო წლის უკანასკნელი ზარი რომ აწკრიალდა და მოსწავლეებს არდადეგების დაწყება ახარა. ერთი საათის შემდეგ კი საკლასო ოთახები და დერეფნები ისე დაიცალა, რომ ყველაზე დიდი ფანტაზიით დაჯილდოებულ ადამიანსაც კი გაუჭირდებოდა უფრო უკაცრიელი ადგილის წარმოდგენა.

ქვევით, ვესტიბიულში ცელქი ექო დაძრწოდა და ამაოდ ცდილობდა გასთამაშებოდა სუსტ, ორპირ ქარს, რომელსაც კარქვეშ წრიპინი გაჰქონდა. მერე ქუჩაში მოთარეშე ქარი თავის საქმეების მოსაგვარებლად სადღაც გადაიხვეწა და ორპირი ქარიც იმას გამოუდგა; ექომ საათზე დაიხედა, ერთი დაამთქნარა და დასაძინებლად საქვაბე განყოფილებისაკენ გასწია.

ახლა კი მთლად დადუმდა სკოლა, აუტანელი მოწყენილობა გამეფდა ირგვლივ...

უცებ საკლასო დაფის რაფაზე ვიღაც შეინძრა, გაფაჩუნდა, თან რამდენჯერმე წვრილ ხმაზე დააცემინა. ეს ჩვარი გახლდათ. ბოლო სამუშაო დღე დაემთავრებინა და ახლა ტანსაცმელს იწმენდდა. მტვერში ჩაბუდებული ქათამივით ტანიდან ჭუჭყი რომ ჩამოიბერტყა, დაჭმუჭნული კაბა გაისწორა, ფეხები ძირს გადმოკიდა და იკითხა:

— „ციფრობანა“ ხომ არ გვეთამაშა, რა ვქნა?

— აბა, რას ამბო-ობ! — დაიჭრიალა ხანშიშესულმა გლობუსმა და შეთხელებული, ჭაღარა არქტიკა მოიქექა. — არა, ეგ თამაში აღარ შეგვფერის. აი, „რუკობანა“ რომ გვეთამაშა, ან თუნდაც „ქალაქობანა“ უკეთესი იქნებოდა...

— ფუ! — ტუჩი აიბზუა ავტოკალამმა, რომელიც ეტყობა ვიღაცა გულმავიწყს დარჩენოდა კლასში.

ამ ავტოკალამს ძალიან მოჰქონდა თავი. ხუმრობა საქმეა? ავტომატური იყო, მოოქროვილი კალმისწვერი ჰქონდა, მოდურ, ჭრელ პლასტმასის კაბაში იყო გამოწყობილი. ამ კაბით მაინც განსაკუთრებით ამაყობდა ავტოკალამი. ყური მოეკრა, პლასტმასისაგან მრავალი შესანიშნავი ნივთი მზადდებაო, ამიტომ თავი სხვებზე ჭკვიანი ეგონა და სხვებზე მაღლაც ეჭირა.

— ფუ! — გაიმეორა კალამმა, — მონახეს თავისი შესაფერი გასართობი! ბავშვებივით გამოგცლიათ ჭკუა!

— ა-აჰ! — დაამთქნარა ჩვარმა. — მაშ, მოდი, საინტერესო რამეს მოვყვეთ. ბიძია გლობუსო, აი, თქვენ ხომ ყველა თბილი ქვეყნის ამბავი იცით, მათი აღმოჩენისა და მოგზაურთა თავგადასავლების მოყოლაც შეგიძლიათ. მე კი სიგიჟემდე მიყვარს ასეთი ამბების მოსმენა.

— აბა, რა გიამბოთ? ამ ბოლო დროს თითქმის ყველა მოგზაურობის ამბავი გადამავიწყდა... აი, სახელწოდებები სხვა საქმეა — სულ რიგზე მიწყვია თავში...

— ტყუის! — ჩაიქირქილა კალამმა. — ღმერთმანი, ტყუის, თავში კი არ უწყვია, თავზე აწერია. თან ამას წინათ გეოგრაფიის გაკვეთილზე ვიყავი და ისე მოვიწყინე, კინაღამ მთქნარებით მოვკვდი!

— თუ ასეა, თქვენ მაინც გვიამბეთ რამე? ტყუილად ხომ არ ამბობენ, კალამს უმაღლესი განათლება აქვსო, — მიუბრუნდა ჩვარი კალამს.

— დიახაც რომ უმაღლესი განათლება მაქვს! დიდი ამბით დაუდასტურა კალამმა. — მაგრამ ჩემი ნაამბობიდან, ნახევარს ვერ გაიგებთ: თქვენ ხომ ქიმიისა არაფერი იცით.

საუბარი შეწყვიტეს. სიჩუმე კაკუნის ხმამ დაარღვია, მერე დაფის მხრიდან სიმღერა შემოესმათ, ვიღაცა კრინით მღეროდა:





მოსწავლეებს ახლა
უჩვენოდაც სჯერათ,
რომ ადვილი გახლავთ
შავზე თეთრით წერა.

— ღამე მშვიდობისა, მეზობელო! — მიესალმა ჩვარი. — ხომ კარგად გამოიძინე?

— თვალიც არ მომიხუჭავს, — წვრილ ხმაზე გამოეხმაურა ვიღაც. ეს ხმა პატარა, ჩამრგვალებულ, იისფერქუდიან ცარცს ეკუთვნოდა.—ყელამდე ვარ ჩაფლული საქმეში. სამოგზაუროდ ვემზადები.

— ნეტა გამაგებინა, რანაირად აპირებ მოგზაურობას? — დაიჭრიალა გლობუსმა.

— ხომ არ გავიწყდებათ, რომ ჩვენ, ასე თუ ისე, მაინც ნივთები ვართ და მეტი არაფერი! — მხრები აიჩეჩა კალამმა.

— თავი უნდა გებას მხრებზე, და არა პლასტმასის ქუდი! — დიდი ამბით გაეპასუხა ცარცი. — თქვენ იქნება ისიც არ იცით, რომ ღამით, როცა სკოლაში არავინ არის, მითუმეტეს არდადეგების დროს, აქ გაუგონარი საოცრებები შეიძლება მოხდეს!

— კი მაგრამ, თუ თვითონ არაფერი შეგიძლია, თავისით არაფერი მოხდება! — შენიშნა კალამმა.

— მეც მანდა ვარ!

— არაფერი გამოგივა! მე უმაღლესი განათლების მქონე ავტო-

ალამი ვარ! ამქვეყნად ყველაფერი და უფრო მეტიც ვიცი, მაგრამ სასწაულის მოხდენა მაინც არ შემიძლია!

მაგრამ ცარცმა ყური აღარ ათხოვა კალამს. ახტა-დახტა, დაფას რაკარუკი აუტეხა და დაწყებული ნახატის დამთავრებას შეუდგა, თან მღეროდა:

ვინ მოახდენს სასწაულს
მამაცების გარდა?!
დროა,დროა, შორეულ
გზებს გავუყვეთ მარდად!

სიმღერა დამთავრებულიც არა ჰქონდა, რომ დაფაზე ნახატი უკვე მზად იყო: ბორცვებიანი, დახრამული ველი და გზა, რომელზედაც პირამდე სავსე თვითმცლელი ავტომანქანები იდგა.

შორს ერთი დიდი, თეთრფერდობიანი გორაკი მოჩანდა.

— ესეც ასე! — თქვა ცარცმა. — მოგწონთ? ეს ჩემი სამშობლოა. სწორედ იქ მივემგზავრები ახლა. თუ ვინმეს სურს წამოსვლა, გთხოვთ, წამობრძანდეთ.

— მე... — გაუბედავად წარმოთქვა ჩვარმა. — მე წამოვიდოდი, მაგრამ...ძალზე საკვირველ რაღაცას გვპირდები...გული მეთანაღრება...

— ვერ გამ-მ-მიგია, სად გვეპა-ა-ტიქება? — დაიჭრიალა გლობუსმა.

— წავყვეთ რა! — ჩაიფრუტუნა კალამმა. — ნეტა რასა ვკარგავთ!

— მაშინ საქმეს მოვკიდოთ ხელი! — წამოიძახა ცარცმა.—დეიდა ჩვარო, შენს საქმეს მიხედე.

— რომელ საქმეს?! წავშალო? — ჰკითხა ჩვარმა და გაოგნებულმა შეხედა დაფას.

— წაშალე! — თავი დაუქნია ცარცმა. — მხოლოდ დაფას ხელი არ ახლო. ჩემი ნახატის გარდა, ირგვლივ ყველაფერი წაშალე.

— ეგ როგორ უნდა გავაკეთო?.. არ შემიძლია! — დაიბნა დეიდა ჩვარი. — კედლებს, მერხებს, იატაკს, რა მოვუხერხო, ან ამ ორთქლის ღუმელს რა ვუყო?

— ყველაფერი წაშალე! — ბრძანა ცარცმა. — რა გაუგებარი

ვინმე ხარ! ყური მიგდე: თუ შენს საქმეში დახელოვნებული ხარ, ზღაპარში ყოვლისშემძლე იქნები! აბა, გაიხსენე: როგორც კი ფეხსაცმელი ზღაპარში მოხვდება, ოქროს ქოშებად და რკინის ქალამნებად იქცევა, ჩვეულებრივი ქუდი უჩინმაჩინის ქუდად გარდაიქმნება, უბრალო სუფრა ნატვრის სუფრა გახდება. ნუთუ შენ, დამსახურებულ ჩვარს, იმდენიც არ შეგიძლია, რომ ცოტათი მაინც გახდე სასწაულმოქმედი. აბა, შეუდექი საქმეს!

ჩვარი გაუბედავად გადაესვა კედელს... კედლის ერთი ნაწილი



თითქოს დადნა. ჩვარი ისევ გადაესვა, — ერთხელ, მეორედ — ყველაფერი, რასაც ჩვარი ეხებოდა, თვალის დახამხამებაში ქრებოდა.

ცარცის ნახატი კი სულ უფრო მკვეთრად აჩნდებოდა დაფას, იზრდებოდა, ახალ-ახალი საგნები ისახებოდა ზედ. აი, გზის პირას მზესუმზირა ამოიზარდა, ცაზე ღრუბელი დაიძრა, მანქანის ბორბლები რამდენჯერმე აბრუნდა! თვითმცლელები კი ისევ ადგილზე იდგნენ, თითქოს ბორბლები უსრიალებთო.

— ახლა კი დაფის ჩარჩო წაშალე! — უბრძანა ცარცმა, როცა ნახატის გარდა ყველაფერი გაქრა ირგვლივ.

და როგორც კი დეიდა ჩვარი ჩარჩოს შეეხო, ნახატი გაცოცხლდა, თითქოს ტვირთი ახსნესო, ამოძრავდა. აღმუვლდნენ მანქანის მოტორები, ჰაერში აბზინდის სუნი დატრიალდა, თეთრი მინდორი გადამწვანდა, თეთრი გზა ყავისფრად დაიფერა, თეთრი მზესუმზირა გაყვითლდა, მხოლოდ თეთრი გორაკი დარჩა რატომღაც ისევ თეთრად.

— აბა, მომყევით! — დაიძახა ცარცმა და პირდაპირ შეაბიჯა საცარ, ნახატ სამყაროში.

მეორე თავი

რომელიც მოგვითხრობს, თუ რა ნახეს ჩვენმა მოგზაურებმა, როცა ნახატ, მაგრამ ამასთან საკვებით ნამდვილ სამყაროში მოხვდნენ, და როგორ წაიჩხუბნენ ცარცი და კალამი.

გზაზე გასული ჯგუფი ფრთხილად მიიწევდა გორაკისკენ.

— სადა ვართ, საით მივდივართ? — გონი ვერ მოეკრიბა განცვიფრებულ კალამს.

— ზღვის ფსკერზე გახლავართ! — მხიარულად უპასუხა ცარცმა. — პირდაპირ ჩემს სამშობლოში მიმყავხართ სტუმრად.

— სისულ-ლ-ლელეა!— დაიჭრიალა გლობუსმა.— რომელ ზღვაზე ლაპარაკობ. შენ მასწავლი, რა არის ზღვა! ყველა ზღვა ზედ მახატია... ეს მინდორია და მეტი არაფერი!

— მართალია! — დაეთანხმა ცარცი. — ეს მინდორი გახლავთ. მაგრამ მრავალი მილიონი წლის წინ ეს ადგილი ზღვის ფსკერი იყო.

— ეგ რას ნიშნავს? — გაიკვირვა ჩვარმა. — ფსკერი თუ აქ არის, ზღვა-რაღა იქნა?

— გადავიდა, — მიუგო ცარცმა. — ამ ადგილებში ზღვა ერთ-ხელ და ორჯერ კი არ ყოფილა. ახლა რომ მოსკოვია გაშენებული, იქ ოდესღაც ზღვა ბობოქრობდა. ევროპის მიწებზე და ვოლგისპირეთშიც ოკეანის ტალღები ირწეოდნენ. მაგრამ ათასი წელი ათას წელს მისდევდა, ერთგან ზღვის ფსკერი ზევით იწევდა, იბურცებოდა და წყალი უკან იხევდა; სხვაგან, პირიქით, ნაპირი დაბლა იწევდა და თვალუწვდენელ სივრცეებს წყალი ფარავდა. ასე მოხდა მრავალგზის და, ალბათ, კიდევ მრავალჯერ მოხდება. ჩვენი დედამიწის სფერო ხომ ისევ ცოცხლობს და იცვლება.

— მა-ა-ართალს მოგახსენებთ ცარცი! — დაუდასტურა გლობუსმა. — ჩემი უფროსი ძმა ისევ ცოცხალია. ოდესღაც ერთმა ნორვეგიელმა მეფემ ქვეშევრდომებს ქვის სვეტის აღმართვა უბრძანა ნაპირზე და ზედ დაანიშნინა, სადამდე უწევდა წყალი, როცა ზღვა მოიქცეოდა ხოლმე.

მას შემდეგ ორას წელზე მეტმა ხანმა განვლო. ახლა სვეტი მშრალზე დგას და მაშინ დასმული ნაჭდევი ზღვის მოქცევისას მეტრითა და ოცდათექვსმეტი სანტიმეტრით მაღლაა ტალღებზე.

ეს იმას ნიშნავს, რომ სკანდინავიის ნაპირები ზევით იწევს. თეთრი ზღვის სანაპიროც მაღლდება: სამას ორმოცდაათი წლის წინათ არხანგელსკელმა ზღვისპირელმა მეთევზეებმა სოფელი ააშენეს.

გავიდა ხანი და ახალმა თაობებმა შეამჩნიეს, რომ ზღვა, რომელიც ადრე თითქმის მათ ქოხებამდე აღწევდა, თანდათან თხელდებოდა და უკან იხევდა. საქმე იქამდე მივიდა, რომ სოფლელებს ახლა ექვსი კილომეტრის გავლა უხდებათ სანამ ზღვის ნაპირს მიადგებიან.

პირიქითაც ხდება. მაგალითად, ისტორიკოსებმა დიდი ხანია იცოდნენ, რომ ძველმა ბერძნებმა შავი ზღვის სანაპიროზე სანავსადგურო ქალაქი დიოსკურია ააშენეს. ის კი აღარავის ახსოვდა, რა ადგილზე მდებარეობდა იგი. მეცნიერებმა სანაპიროს ყოველი ნანგრევი გამოიკვლიეს, დიდძალი მიწა გათხარეს, უამრავი ძველი წიგნი შეისწავლეს, მაგრამ ყოველი ცდა ამაო გამოდგა. მხოლოდ ამ ბოლო ხანებში მიაკვლიეს ქალაქს: ზღვას დაეფარა თურმე. სოხუმის მახლობლად აღმოჩნდა ქალაქი, რომელიც ათი მეტრის



ხიღრმეზე იყო ზღვაში ჩაძირული. მოკლედ, კიდევ გავა მილიონი წელი და არავინ დაიჯერებს, რომ დედამიწა ასეთი იყო, როგორიც მე მახატია. — გლობუსმა ღრმად ამოიოხრა და დადუმდა.

— ასეთი რაღაცეები შენ ვინ გასწავლა? — დაინტერესდა კალამი.

— როგორ თუ ვინ ასწავლა? — ჩაეცინა ცარცს. — ბაბუა გლობუსი გეოგრაფია. მაგის ხელობა ეგ არის და როგორ არ ეცოდინება. მაგალითად, მე გადაშენებული ზღვის ფსკერზე ვარ დაბადებული და გაზრდილი. ეს დაახლოებით ასი მილიონი წლის წინ მოხდა.

— ეს რა მესმის, ხალხნო! — აღმოხდა ჩვარს. — მე კი თავი ყველაზე ხნიერი მეგონა.

— სისულელეს ჩმახავს და თქვენც უჯერებთ! — თავი ვეღარ შეიკავა კალამმა. კინაღამ გულზე გასკდა, ყურადღების ცენტრში მის ნაცვლად ცარცი რომ აღმოჩნდა. შემთხვევას უცდიდა, როდის გაეკრა კბილი. — ასი მილიონი წელიო? როგორ ერწმუნეთ ამ ბაქიას შეთხზულ ტყუილებს?

— თუ გინდათ, ნუ დამიჯერებთ, — მხრები აიჩეჩა ცარცმა. — ახლავე დარწმუნდებით თავად.

რაც უფრო უახლოვდებოდნენ მგზავრები გორაკს, მით უფრო ხშირად ჩაუქროლებდათ ხოლმე რაღაც თეთრი ქვის ლოდებით დატვირთული თვითმცლელები, რომლებიც რკინიგზისკენ მიიწევდნენ.

ბოლოს მოგზაურების ჯგუფი ვეებერთელა ქვაბულის პირას შედგა. გეგონებოდათ, უზარმაზარ ურჩხულს გამოუკრავს კბილი



გორაკის გვერდისთვისო. ქვაბულში და გორაკის ფერდობზე გათხრილ ფართო საფეხურებზე რაღაც გრძელკისრიანი და ლითონისყბიანი მანქანები მუშაობდნენ.

— ექსკავატორებია! — აუხსნა ცარცმა.

— ნეტა, რა თავს აკლავენ ამ არაფრის მაქნის რიყის თეთრ ქვებს, — თავი გააქნია კალამმა. — რად უნდათ?

კალამი ცარცს მიუბრუნდა, მაგრამ ძალიან გაუკვირდა, გვერდით რომ ვეღარ მოჰკრა თვალი.

— ეი, დეიდა ჩვარო, ცარცი სად დაიკარგა? თქვენ აკი ერთად იდექით.

ჩვარმა შეშფოთებით მიმოიხედა:

— ახლახან გვერდში მედგა, სად ჯანდაბაში დაიკარგა? შემთხვევით ხომ არ წავშალე?

— რა წი-ი-ინდაუხედავი ხარ! — დატრიალდა გლობუსი. — ეს რა ჩაიდინე!

— ნუ გეშინიათ! — გაისმა მათ ფერხთით ცარცის ხმა, — აქა ვარ!

— აბა სადა? — ერთხმად შესძახეს მოგზაურებმა.

— ჩვენი გაპამპულება გადაუწყვეტია! — გაცხარდა კალამი. — უჩინმაჩინად გადაიქცა!

— არც მიფიქრია! — გამოეპასუხა ცარცი. — მე ხომ თქვენს ფერხთითა ვზივარ. ჩემს იისფერ ქუდს მაინც ვერა ხედავთ?

მგზავრებმა ახლაღა შენიშნეს ამხანაგი. ცარცის ირგვლივ ათობით, ასობით და ათასობით მისი მსგავსი ცარცის ნატეხი ეყარა. მართალია, ისინი ჩვენი ცარცივით მრგვალები არ იყვნენ და არც მელნის ქუდები ეხურათ, მაგრამ სხვაფრივ ისე ჰგავდნენ, იტყოდი, ღვიძლი ძმები არიანო.

— ჩვენ მართლა ღვიძლი ძმები ვართ, — თქვა ცარცმა. — ერთი წლის წინ მეც ამ ადგილებში ვცხოვრობდი. აი ეს თეთრი გორაკი და ბორცვები, რომლებსაც ირგვლივ ხედავთ, მათ შორის გადაჭიმული მინდვრებიც — მთლად ცარცისაა. შეხედეთ, რამდენი თეთრი ხრამია ირგვლივ... ამიტომ არის, რომ, აი, იმ ქალაქს — აგერ, მოჩანს კიდეც ჰორიზონტზე — შესაფერი სახელი ჰქვია: „ბელგოროდი“ (თეთრიქალაქი). მე რომ მკითხოთ, „ბელგოროდი“ კი არა „მელგოროდი“ (ცარცისქალაქი) უფრო მოუხდებოდა. როგორა გგონიათ, მეგობრებო, ბუნებამ რამდენი წელი მოანდომა ამ სიმდიდრის დაგროვებას?

— სიმდიდრისაო?! — მხრები აიჩეჩა კალამმა. — ნეტა ვიცოდე, რას მიედ-მოედები! ქვისა და ღორღის მეტს აქ ვერაფერსა ვხედავ. ვერ გამიგია, რაში უნდა მოიხმაროს ადამიანმა ამოდენა ცარცი! დედამიწის მთელმა მოსახლეობამ თავი რომ დაანებოს ყველაფერს, სკოლაში დაიწყოს სიარული და ყოველ კლასში ათჯერ დარჩეს, ალბათ, მაინც ვერ დახარჯავს იმ ცარცის მარაგს, რაც ჩვენს აქ ყოფნაში ამოიღეს.

— თქვენ ისიც არა გცოდნიათ, რომ ყველაზე ცოტა ცარცს სწორედ მოწაფეები ხმარობენ. კბილის ფხვნილი რომ კბილის ფხვნი-

ლია, იმაზეც კი უფრო მეტი ცარცი იხარჯება. თუმცა, არც ეს არის ანგარიშში ჩასაგდები. ჩვენი ოჯახის წევრებს იმდენი საქმე აქვთ, ჩამოთვლა გაგიჭირდებათ. მე ცარცს მეძახიან, ეს მხოლოდ სახელია ჩემი, გვარად კი კირქვა ვარ. კირქვა ძალიან სახელგანთქმული გვარია. მართალია, ჩვენი გვარი ნალექებისაგან და ნაძირალებისგან შედგება, მაგრამ მთასავით მტკიცენი ვართ.

— ვითომ რაო? — ჩაეკითხა დეიდა ჩვარი. — ასლა ისიც არა თქვა, მთებიც ჩვენა ვართო.

— დიახაც, რომ ჩვენა ვართ. ერთი ისეთი მთა მაჩვენე, ცოტაოდენი კირქვა მაინც არ ერიოს. ეგ კი არა, ზოგ ადგილას სუფთა კირქვის მთელი ქედებია გადაჭიმული. საერთოდ, მთის ქანებს იმ მინერალების შენაერთებს ეძახიან, რომელთაგანაც დედამიწის ქერქი შედგება. ამ ქანებს შორის, ჩვენ, კირქვებს, ბოლო ადგილი როდი გვიკავია. მეტსაც გეტყვით, ლითონს ნათესავადაც კი ვეკუთვნით. ისიც უნდა გითხრათ, რომ მე, ე. ი. ცარცი, ნამდვილი, წმინდა სისხლის კირქვა ვარ, არაფერი მირევია სხვისი.

— რას ბაქიბუქობ! — შეუტია კალამმა. — წეღან ამბობდი, მთის შვილი ვარო, მერე ზღვის ფსკერზე დავიბადეო, ახლა ლითონსაც დაუნათესავდი! რა ვიცი, მე ერთ პატარა ცარცის გორაკის მეტს ვერაფერს ვხედავ. ახლა თუ იმის მტკიცებას მოყვები, ეს გორაკი მთა არის და ზღვიდან ამოიზარდაო, სჯობია სახლში გამიშვა. ამ აბდაუბდა ლაპარაკმა შეიძლება თავში მელანი ჩამიქციოს.

— მაშ, ტყუილების გუდა ვყოფილვარ, რა! — გაბრაზდა ცარცი. — მოდი, დავნაძლევდეთ! მოწმედ თქვენ იყავით, ბაბუა გლობუსო! მე დავუმტკიცებ ამ პლასტმასის სამელნე ჭურჭელს, რომ ზღვის ფსკერზე ვარ დაბადებული, ლითონი ნათესავად მეკუთვნის და ნამდვილად მთის ქანი ვარ, თუმცა მაგან არც იმ გორაკის ცარცობა დაიჯერა, რომელიც ჩვენ წინ არის აღმართული... მარგალიტს ჩამოვდივარ მაგის პლასტმასის ქუდში. თანახმა ხართ, კალამო?

— თანახმა ვარ! — დაეთანხმა კალამი. — რა კარგია, მარგალიტს ქუდის კინკრიხოზე მოვირგებ! უ, როგორ დამმშვენდება!

მაგრამ ერთი ეს გამაგებინე, კოლეგა, მარგალიტი სად უნდა იშოვნო?

— მე ვიცი, სადაც ვიშოვნი, — უპასუხა ცარცმა. — ეი, დეიდა-ჩემო! — შეუძახა ჩვარს, — წაშალე ყველაფერი!

რამდენიმე წუთის შემდეგ მოგზაურებმა ისევ კლასში ამოყვეს თავი.







მესამე თავი

რომელიც გვიამბობს, როგორ დაამტკიცა ცარცმა, რომ ზღვის ფსკერზე იყო დაბადებული, როგორ გააცნო მეგობრებს ლითონი, რომელსაც ხმელეთზე, სანთლითაც რომ ეძებო, ვერ იპოვი, და როგორ თქვა კალამმა უარი წანაგების გადახდაზე.

გულმოსული ცარცი რაღაცას ბუზღუნებდა და დაფაზე სწრაფად ხატავდა ახალ სურათს. თანდათანობით გამოჰყავდა ზღვისპირა ლამაზი ქალაქი; ნავსადგურში შემოსული უზარმაზარი გემებიდან კვამლი ამოდიოდა. სანაპიროდან კი ფართო მარმარილოს კიბე მიემართებოდა ზევით.

— აბა, ერთი შენებურად დატრიალდი! — უთხრა ცარცმა დეიდა ჩვარს, როგორც კი სურათის ხატვა მოათავა.

ჩვარი მიდგა-მოდგა და მალე ჩვენი მოგზაურები სამხრეთული ქალაქის მზით გაჩახჩახებულ ქუჩებში მიაბიჯებდნენ. აქ თითქმის ყველა შენობა უცნაური, მონაცრისფრო-თეთრი პორებიანი ქვისგან იყო ნაგები.

— აქაურობას ვინ არ იცნობს! — დაიჭრიალა ბაბუა გლობუსმა. — ეს ნომ ოდესაა.



— მართალსა ბრძანებთ, — კვერი დაუკრა ცარცმა და თან ისეთი ყურადღებით ათვალიერებდა ქვის კედლებსა და გალავნებს, იტყოდი, რაღაცა დაჰკარგვია და ეძებსო. — ვიპოვე! — შესძახა ბოლოს და დიდად კმაყოფილმა მიუთითა ლაქებზე, რომლებიც კედელს აჩნდა. — შეხედეთ! როგორა გგონიათ, რა უნდა იყოს?

მგზავრები ახლოს მივიდნენ.

— ეს ხომ ნიჟარებია! — თქვა ბაბუა გლობუსმა.

— ამდენი ნიჟარა ერთად ჩემს დღეში არ მინახავს! — გაიოცა ჩვარმა. — მთელი ლოდი ნიჟარებით არის გაჭედილი! მოზრდილებიც არის, მომცროებიც ურევია, დამტვრეულებიც, მთელებიც...

— იქნება ისიც არ დამიჯეროთ, რომ ეს ლოდები კირქვების ჯგუფს ეკუთვნის, — ამაყად წარმოთქვა ცარცმა. — ამ ქვებს სახელადაც „ნიჟარაქვებს“ უწოდებენ. გარეგნობით „ნიჟარაქვა“ სულაც არა მგავს, ნამდვილად კი ჩემი ახლო ნათესავია.



— თუ ვერ დაგვიმტკიცებ, ლიტონ სიტყვებს რა ფასი აქვს, — შენიშნა კალამმა.

— რატომაც ვერ დაგიმტკიცებთ! — უპასუხა ცარცმა. — მხოლოდ ახლა კი არა. ჯერ ეს მითხარით, თქვენი აზრით, სად უნდა ეცხოვრათ ამ ნიჟარაში მობინადრე მოლუსკებს: წყალში თუ ხმელეთზე?

— რა თქმა უნდა, წყალში! — მიუგო დეიდა ჩვარმა. — დედამიწაზე მხოლოდ ლოკოკინები და ლოქორები ცხოვრობენ...

— ჰოდა, მეც მანდა ვარ! ახლაც იტყვით ეს ქვა, მილიარდობით ნიჟარისგან რომ შედგება, ხმელეთზეა გაჩენილიო?

— ცხა-ადია, არა! — დაეთანხმა ბაბუა გლობუსი.

— უ, რამდენი ნიჟარა დასჭირდებოდა ამ ქვების წარმოქმნას! — გაკვირვებას ვერ მალავდა ჩვარი. — გინახავთ ასეთი რამე, ხალხნო! ნახევარი ქალაქი ამ ქვით არის ნაგები.

— ჩინებული ქვაა, — სიტყვა ჩამოართვა ცარცმა: — თანაც რა ჯარგი მოსახმარი: რბილი, მსუბუქი და გამძლე! რომ მოინდომო,

სისო ხერხით გახერხავ, ცულით გათლი და სახლს ისე ააგებ. ასეთი სახლებით მარტო ოდესა კი არ არის სავსე, მათ ნახავთ სევასტოპოლში, სიმფეროპოლში, კიშინიოვში, ბაქოში და სხვა ქალაქებში. ოდესა კი მთლიანად ერთ უზარმაზარ „ნიჟარაქვის“ ბრტყელ ლოდზეა გაშენებული. უძველეს ხანაში ადამიანები მიწისქვეშა ქვის სამტეხლოში ჭრიდნენ ლოდებს და ამ ქვის სამტეხლოების თავზევე იშენებდნენ ბინებს. ამრიგად, დროთა განმავლობაში ქალაქქვეშ ქუჩებისა და შესახვევების მთელი ლაბირინთი წარმოიშვა. ათას ადამიანში ერთი თუ გაბედავს გამოცდილი მეგზურის გარეშე იქ ჩასვლას. შეიძლება, ერთი თვე იბორიალო ბნელი გამოქვაბულების ხლართებში და გამოსასვლელ გზას მაინც ვერ მიაგნო. ამიტომაც იყო, რომ სამოქალაქო და დიდი სამამულო ომის დროს იქ თავს აფარებდნენ პარტიზანები. მტრებმა კარგად იცოდნენ მათი ადგილსამყოფელი და ხელში მაინც ვერ იგდებდნენ.

ამისისქე ქვა ერთ დღეში კი არ წარმოშობილა, მისი წარმოქმნის პროცესი ათეული მილიონი წლები გრძელდებოდა. უხსოვარი ხანის თავთხელი ზღვის ფსკერზე ურიცხვი ნიჟარები ბინადრობდნენ. მრავლდებოდნენ, მრავლდებოდნენ და მერე იხოცებოდნენ... დრო გადიოდა და ფსკერზე თანდათანობით იზრდებოდა დახოცილი მოლუსკების, ნიჟარებისა და ლამის მრავალმეტრიანი ფენა. ქვედა ნიჟარებს ზედა ნიჟარების სიმძიმე ამსხვრევდა. მთელი მასა ფენებად ეწყობოდა ერთმანეთზე, იტკეპნებოდა. ნიჟარების ნაწილი წყალში იხსნებოდა და ეს ხსნარი კირის მაგივრობას ეწეოდა, ერთმანეთთან ადუღაბებდა ახალ-ახალ ფენებს. ამ საქმეში ზღვის მატლების მოდგმასა და სხვა ბინადართაც დიდი ღვაწლი მიუძღვით. ასე წარმოიშვა „ნიჟარაქვა“. მერე ზღვამ დაიხია და ქვის ვეებერთელა მასა ხმელზე დარჩა. აი, ასეთია „ნიჟარაქვის“ ისტორია.







— კი მაგრამ, ნიჟარები რა შუაშია? — ვერ მოითმინა კალამმა. — ჩვენ აკი კირქვებზე გვქონდა ლაპარაკი.

— ნიჟარები სწორედ კირქვებისგან შედგებიან, — გაეღიმა ცარცს.

— ასეც რომ იყოს, მერე რა, — იხტიბარი არ გაიტეხა კალამმა. — თქვენ ხომ ცარცი ხართ! არ თქვა ახლა, ჩვენც ნიჟარებს შევიცავთო.

— ამაშიც ახლავე დაგარწმუნებთ, — წარმოთქვა ცარცმა. — აბა, ჩვარო, შენს საქმეს მიხედე!

და რამდენიმე წუთში ცარცმა მიკროსკოპი დახატა დაფაზე, რითაც თავისი ამხანაგები ძალზე გააოცა.

როცა ჩვარმა ზედმეტი საგნები წაშალა, ცარცი მიკროსკოპს მიუახლოვდა და მინის ნაჭერს თავისი ტანიდან თეთრი მტვერი დააბერტყა.

— გთხოვთ! — ხელგაშლილად მიიწვია ამხანაგები. — აი, ამ მილაკში ჩაიხედეთ.

ეს საქმე არც ისე ადვილი აღმოჩნდა. მიკროსკოპს თვით ბიძია გლობუსიც კი ვერ შესწვდა. ცარცს კიბის მიხატვა დასჭირდა. და, აი, მეგობრებს თვალწინ საოცარი სურათი გადაეშალათ.

სხვათა შორის, მეგობარო, როგორმე შემთხვევა თუ მოგეცა, აუცილებლივ ჩაიხედე მიკროსკოპის ოკულარში და შენი თვალით გასინჯე ცარცის ფხვნილი. საკმაოდ ბევრ უცნაურ საგანს დაინახავ. ერთნი, შედარებით მოზრდილი ნიჟარები თეთრ უფხო თავთავს, ნაძვის გირჩს, ლოკოკინის ნიჟარას ჰგვანან. მომცრონი გვირილას, ლამბაქს ან ხმიადებს მოგვაგონებენ. ეს ყველაფერი ზღვის უძველეს ბინადართა ხერხემლები და ჯავშნებია. მოზრდილი ნიჟარები ზღვის ერთ ციცქნა ცხოველებს — ძირფეხებს ეკუთვნოდათ. „გვირილები“ და „ლამბაქები“ კი თვალით უხილავი მცურავი წყალმცენარის კოკოლიტოფორიდის ნაშთებია.

დღემოკლეები იყვნენ ეს ერთი ბეწო არსებები.

მე და შენ თვალების მაგიერ მიკროსკოპები რომ გვქონდეს ჩასმული და ზღვის ფსკერზე ვიდგეთ, გვეგონებოდა თოვლი ბარდნისო, რადგან დღე და ღამ განუწყვეტლივ ცვივა ფსკერზე მკვდარი ძირფეხები და კოკოლიტოფორიდები.

მრავალი მილიონი წლის შემდეგ ნალექის სისქე ასობით მეტრს მიაღწევს. დროთა განმავლობაში ეს მასა საკუთარი და ზღვის სიმძიმის წყალობით იტკეპნება და ქვად იქცევა — აი, ისეთად, ბელგოროდის მახლობლად რომ ვნახეთ. ამიტომ უწოდებენ კირქვებს ნალექ ქანებს.

ასე რომ, ნიჟარაქვა და ცარციც ერთნაირ მასალას შეიცავს. ეგ არის მხოლოდ, ნიჟარაქვა დიდი ნიჟარებისაგან არის წარმოშობილი, ცარცი კი მცირე ნიჟარებისაგან.

ალბათ მკითხავ, ყველა ყველა, მაგრამ ეს ურიცხვი „წვრილფეხა“ ცოცხალი არსებანი თავისი ჯავშანისა თუ ნაჭუჭის დასამზადებლად საჭირო მასალას სად შოულობდნენო. წყალში! რაც რამ სჭირდებოდათ, ყველაფერი იქვე ჰქონდათ, შორს წასვლა არ უხდებოდათ. ზღვისა და ოკეანის წყალში ხომ ათასობით ტონა კირქვაა გახსნილი. ეს მარაგი ულევია. უამრავი მდინარე თუ წყარო ჩამორეცხს ხმელეთიდან კირქვებს და წყალში გახსნილი ჩააქვს ოკეანეში. იქ კი ხილული თუ უხილავი ცოცხალი არსებების ჯარი თავის საქმეს აკეთებს და კირქვა ისევ მყარ ქანებად გარდაიქმნება.

ახლა ჩვენმა პლანეტამ რომ მოინდომოს და ზღვის ფსკერი ამოზნიქოს, თვალის დახამხამებას ვერ მოვასწრებთ, რომ ცარცის მთები მზად იქნება.

მაგრამ გატყობ, ერთი კითხვა გაწუხებს: განა ზღვა დალექილი ზღვის ბინადრების ნიჟარებსა და ნაჭუჭს მაშინვე ისევ წყალში არ გახსნისო? არა. მცირე რაოდენობა, ცხადია, მართლაც იხსნება, მაგრამ ეს იმდენად უმნიშვნელო ნაწილია, რომ სალაპარაკოდ არ ღირს.

საერთოდ კი, წყალში თითქმის ყველაფერი მოიპოვება! აქ ყველასათვის ცნობილ სუფრის მარილსაც შეხვდები, მრავალგვარ ქიმიურ ნაერთსაც, რომელთაც აგრეთვე მარილებს. უწოდებენ, თუმც მლაშე გემო სულაც არა აქვთ. წყალში ლითონებიც კი მოიპოვება: მაგნიუმი, თუთია, რკინა, სპილენძი და ასე გასინჯე

ოქროც... დიახ, დიახ, ნამდვილი ოქრო! მართალია, წყალში ოქრო ცოტაა, მაგრამ მაინც არის.

მართლაც, საოცარია, არა? ოქრო და წყალში! უნდა გითხრათ, როცა ცარცმა თავის მეგობრებს ეს აცნობა, მათ პირი დააღეს გაოცებისაგან. კალამმა კი ღვარძლიანად ჰკითხა:

— ოქროს ხომ არა გულისხმობდი, როცა სისულელე მოჩმახე და თქვი, ლითონის ნათესავი ვარო?

— არა... სულ სხვა ლითონზე მოგახსენებდით, — მშვიდად მიუგო ცარცმა. — ამასთან ზღვის წყალში ოქრო ძალზე ცოტაა. ის ლითონი, რომელიც ჩვენ, კირქვებს, ჩვენს წინაპრად მიგვაჩნია, მართალია, ოქროსავით ძვირად არა ფასობს, მაგრამ მასზე გაცილებით საინტერესოა.

— უფრო საინტერესო რაღა უნდა იყოს! — თავი გააქნია დეიდა ჩვარმა. — თქვენ, ნასწავლ ხალხს რომ ყური დაგიგდოთ, ისე გამოვა, ზღვაში წყალი კი არა რაღაც ფაფა ყოფილა. შიგ მარილიც ჩაყარეთ, ლითონიც, კირქვაც... რა ვიცი, რაღა არა თქვით! მართალია, ზღვა თვალით არ მინახავს და ვერც განათლებას დავიქადნი, მაგრამ ის მაინც გამეგება, რომ ზღვის წყალი გამჭვირვალეა და შიგ არაფერი ყრია.

— მართალს ამბობ, — თავი დაუქნია ცარცმა, — ნამდვილად გამჭვირვალეა. მაგრამ ერთი ეს მითხარი, წვნიანში გახსნილი მარილი თუ ჩანს თვალით? ან ჩაიში ჩაყრილი შაქარი? მართალია, მარილი და შაქარი სწრაფად იხსნება წყალში, მე რომ ჩამოვთვალე ის ნივთიერებები კი ნელა, მაგრამ ადრე თუ გვიან, ისინიც იხსნებიან. რამდენადაც ვი-



ცი, არ არსებობს ნივთიერება, რომელიც მეტ-ნაკლებად არ იხსნებოდეს წყალში..

— ე-ეჰ! — ამოიხვნეშა ჩვარმა, — თითქოს ძნელი გასაგები არ უნდა იყოს, მაგრამ ამ საოხრე თავში მაინც არაფერი შედის.

— დეიდა, მაგის მეტი დარდი ნუ მოგცეს, — გული გაუკეთა კალამმა ჩვარს. — გგონია, თავად რამე ესმის?! ერთი აგვიხსნას, კირქვებს რა საბუთით მოაქვთ თავი ლითონის ნათესავად. მალე გაყურებინებთ, ეს „მთის ქანი" როგორ მომირბენინებს წაგებულ სანაძლეოს.

— ვნახოთ, — მხრები აიწურა ცარცმა. — ნათქვამია, ვარიებს შემოდგომაზე ითვლიანო. ჩვენი და ლითონის ნათესაობის ამბავი კალამმა კი არა, კარგა დიდ ხანს ადამიანებმაც არ იცოდნენ. საქმე იმაშია, რომ ჩვენი, კირქვების დიდად პატივცემული ოჯახის ფუძემდებელი ჩვეულებრივი ლითონი კი არა, თვალით უხილავი ლითონი გახლავთ. ის რომ ზღვის წყალში ვერ შეამჩნიო, ამაში უცნაური არაფერია, მაგრამ ხმელეთზედაც სანთლით რომ ეძებო, მაინც ვერ იპოვი. ეს ლითონი კალციუმი გახლავთ.

კაცობრიობამ უხსოვარი დროიდან იცოდა სპილენძის, რკინის, ვერცხლის, პლატინის, კალის, თუთიის, ვერცხლისწყლის არსებობა... კალციუმი კი, სულ რაღაც, ორნახევარი საუკუნის წინ აღმოაჩინეს. ამასთან ყველაზე საოცარი ის არის, რომ ადამიანები, თითქმის ყოველი ფეხის ნაბიჯზე აწყდებოდნენ ამ ლითონს. ისე გამოდიოდა, თითქოს კალციუმი საგანგებოდ ემალებოდა ადამიანს; ხან კირქვის ბელტში გაეხვეოდა, ხან მარმარილოს სვეტს შეერეოდა და ზოგჯერ მდნობ შპატად — უღიმღამო ფერის, მომწვანო კენჭად გარდაიქმნებოდა. საქმე ის არის, რომ კალციუმს მარტოობა არ უყვარს, აუცილებლად რომელიმე ნივთიერებას უნდა შეუერთდეს. იმისი სხვასთან შეერთება და უჩინმაჩინის ქუდის დახურვა ერთია. ვთქვათ, ქიმიკოსმა ლაბორატორიული წესით მიიღო ეს მოვერცხლისფრო, თეთრი ლითონი; როგორც კი ჰაერზე გამოიტანს, ის უმალ კირქვად გარდაიქმნება.

— ეს რა სასწაული მესმის, ხალხნო! — წამოიძახა ჩვარმა. — ვის გაუგია, ლითონი უცებ კირქვად გადაიქცეს!

— აბა, რკინაზე რაღას იტყვი! — იკითხა ცარცმა. — ის რატომ

არ გიკვირთ, რკინა რომ ჰაერზე იქანგება, უფრო გასაგებად რომ ვთქვა, მორუხისფრო, რბილ ჟანგად რომ გარდაიქმნება, რომელიც არაფრით ჰგავს ლითონს. საქმე ის არის, რკინას და სხვა ლითონებს ერთი თვისება ახასიათებთ — ჰაერში მყოფ ჟანგბადს იერთებენ. რკინა ამ შეერთების შედეგად ყველასათვის ნაცნობ ჟანგად იქცევა, კალციუმი კი კირქვად. უფრო საკვირველი კი ის არის, რომ კალციუმი, როგორც კი ცეცხლში ჩააგდებ, მოწითალო- ნარინჯისფრად აალდება და ნამწვის სახით ისევ კირქვას დატოვებს.

კალციუმის მრავალი შენაერთი კარგად იხსნება წყალში. როგორც უკვე მოგახსენეთ, სწორედ ამ სახის ხსნარებისაგან იკეთებენ ზღვის ბინადარნი თავიანთ ნაზ ნიჟარებსა და ნაჭუჭებს.

როგორც ხედავთ, ჩვენ, კირქვები, ცოტად თუ ბევრად მაინც ვენათესავებით ლითონს. უფრო მეტსაც გეტყვით, ჩვენ მადნადაც შეიძლება ჩავითვალოთ, — დაამთავრა საუბარი ცარცმა. — რას იტყვით, მეგობრებო, ვინ მოიგო სანაძლეო?

— დამაცადეთ! — შესძახა კალამმა, თუმცა სიტყვის თქმას არავინ აპირებდა. — სანაძლეოს წაგებულად არა ვთვლი. რას ვიფიქრებდი, თვალით უხილავ ლითონს თუ გულისხმობდა ცარცი, ისეთს, დედამიწის ზურგზე რომ ვერსად იპოვი. მე მეგონა, ნამდვილ ლითონზე ლაპარაკობდა, რომლის დანახვა ყველას შეუძლია, ამან კი რაღაც... კალცექსი მოიგონა!

— კალცექსი კი არა, კალციუმი, — გაუსწორა ცარცმა. — კარგი, თუნდაც ეგრე იყოს, ვთქვათ, კალამმა სწორად ვერ გამიგო. მაგრამ ჩემს ასაკსა და ზღვის ნალექიდან წარმოშობაზე რაღას იტყვით?

— სანაძლეო ცარცმა მოიგო! — წამოიძახა დეიდა ჩვარმა.

— ცა-ა... ცა... — ენა დაება გლობუსს.

— რა „ცა-ცა“ აგიტყდათ? — — გაუწყრა კალამი.

— ცა-ცა-არცი მართალია! — გაჭირვებით წამოთქვა გლობუსმა. — კალამმა წააგო!

— ვინ მოგახსენათ! თუ კარგი ბიჭია, ერთი ის დამიმტკიცოს, მთის ქანებს როგორ ეკუთვნის! ნალექებიდან ვარ წარმოშობილიო, რომ ამბობს, ამას როგორმე დავუჯერებ, მაგრამ რაც შეეხება მთის

ქანებს... ბელგოროდთან რომ პატარა ბორცვები ვნახეთ, ის ვერაფერი მთები იყო!

— აკი ვთქვი, მთის ქანები ველზეც შეიძლება იყოს-მეთქი. მთის ქანები საერთო სახელწოდებაა იმ მინერალებისა, რომლისგანაც შედგება ძირითადად დედამიწის ქერქი...

— აი, მეც მანდა ვარ! — სიხარულით წამოიძახა კალამმა. — თქვენს ოჯახს მთის ქანობისა სახელის მეტი არაფერი სცხია. როცა გენაძლევებოდი, ნამდვილ მთის ქანზე გენაძლევებოდი, რომლისგანაც ნამდვილი მთებია აღმართული. მოდი და დამიმტკიცე, რომ თქვენგან, კირქვებისაგან, მთებია ნაგები!

— ამასაც დაგიმტკიცებ! — შეფუცხუნდა ცარცი. — ახლავე დაგიმტკიცებ!

მაგრამ სწორედ ამ დროს ვესტიბიულში შვიდჯერ დარეკა ზარმა. მეზობელი შენობის სახურავს გადაღმა მხრიდან მზემ სხივი სტყორცნა ფანჯარას. კარს იქით, დერეფანში, ფლასტა-ფლუსტის ხმა გაისმა.

— ჰარიქა, დამლაგებელი! — დაფრთხა ჩვარი...





მეოთხე თავი

რომელიც მოგვითხრობს, რომ ბავშვობის გახსენება მთლად უხიფათო საქმე არ არის, მაგრამ, სამაგიეროდ, არარსებულ სამყაროში მოგზაურობის იშვიათ შესაძლებლობას გვიქმნის.

იმ კლასის ფანჯარაში, სადაც ჩვენი ნაცნობები ცხოვრობდნენ, ყვითელმა მთვარემ შეიჭვრიტა. რაკი კლასში ყველას და ყველაფერს ეძინა და აუტანელი მოწყენილობა სუფევდა, მთვარემ თვალი მოჭუტა და სარკმლის მინაში ვერცხლისფერი სხივების მთელი კონა შეგზავნა.

— მცხიკვ! — დააცემინა დეიდა ჩვარმა, ცხვირზე ერთ-ერთი სხივი რომ დაეცა. — ო, რამდენ ხანს ბძინებია! — ჩაიბუტბუტა ნამძინარევი ხმით და გაიზმორა.

— გავიღვიძოთ, გავიღვიძოთ! — დაიჭრიალა ბიძია გლობუსმა. — ცოდო არ არის, ასეთი შესანიშნავი, ზღაპრული ღამე ძილში გაგეპაროს!

მოხუცს უძილობა სჭირდა და ხმის გამცემი რომ გაუჩნდა, გაიხარა. დეიდა ჩვარმა კალთები ჩამოიბერტყა, ნაკეცები გაისწორა, დაფის კიდეზე ჩამოჯდა და გემრიელად დაამთქნარა.

— ერთი უცნაური სიზმარი ვნახე, ბიძია გლობუსო! ვითომ ქაღალდად გადავიქეცი და ჩემზე ბეჭდავდნენ მოგზაურობის ამბავს სურათებით. ბედი არ გინდა? სწორედ მაშინ გამომეღვიძა, როცა გემი ტროპიკულ ქვეყნებს მიუახლოვდა! როგორ დამწყდა გული! მთელი ჩემი სიცოცხლე სულ ამას ვნატრობ, ცალი თვალით მაინც

დამენახა-მეთქი ლურჯი ოკეანე, პალმით მოფენილი კუნძულები, თუთიყუშები... ეჰ, რა ცუდია, სიზმარს ცხადში ახდენა რომ არ უწერია...

— მაგასაც ნუ იტყვი. ზოგჯერ სიზმარიც ახდება ხოლმე...

— ნეტა რას უნდა ნიშნავდეს ეს სიზმარი? იქნება კარგად ამიხდეს?

— რა იცი, იქნება აგიხდეს კიდეც! — მრავალმნიშვნელოვნად დაიჩურჩულა ბიძია გლობუსმა და ფრთხილად მიიხედ-მოიხედა. — სუ-უ! რაღაცას გაგანდობ! — მხცოვანმა გეოგრაფმა უცნაურად ჩაუკრა თვალი დეიდა ჩვარს. — მე, მაგალითად, ასეთი რამ დამესიზმრა: ვითომ, ჰავაის კუნძულებზე ვულკან კილაუეას ცნობილ ამოფრქვევას ვესწრებოდი. დიდებული სანახაობა იყო! ცა გიზგიზებდა! ზღვა გაჩირაღდნებული იყო... ორთქლი, გრუხუნი, ლავა... ეჰ!.. მოგზაურობის გიჟი ვარ. ვიმედოვნებ... ვიმედოვნებ, მე და თქვენ ოცნება აგვიხდება და ერთად ვიმოგზაურებთ ტროპიკულ ქვეყნებში... ახლა კი ჩუ, კრინტი არავისთან დაძრა. — ამ დროს მოხუცმა გეოგრაფმა განგებ ხმამაღლა დაამთქნარა და იკითხა: — ნეტა ჩვენი ცარცი რად არ იღვიძებს? იქნება ისევ წავეყვანეთ სადმე?

— უკვე გავიღვიძე, — გამოეხმაურა ცარცი. — თქვენ მანდ რაზე ჩურჩულებთ?

— ღამე მშვიდობისა! — ერთხმად მიესალმნენ დეიდა ჩვარი და ბიძია გლობუსი. — ერთი სიტყვით, კალამიღა გვკლებია.

— არ გააღვიძოთ! — მოიღუშა ცარცი. — მაშინვე დავას ატეხს.. მაინც არ მეტყვით, რაზე ჩურჩულებდით?

— ჩვენ... მე და დეიდა ჩვარი სიზმრებზე ვლაპარაკობდით, — უხალისოდ გამოუტყდა ბიძია გლობუსი.

— მართლა? — გაიღიმა ცარცმა. — იცით, მეგობრებო, რა ხშირად მესიზმრება ჩემი ბავშვობა.

— ბავშვობის წლები? ო, რა შეედრება ამ ხანას! — დაეთანხმა გლობუსი.

— ჰმ! „ბავშვობის წლები“! — გამოაჯავრა ცარცმა. — რომელ წლებზე ლაპარაკობთ! ბავშვობის ათასწლებიც ნუ გშურთ. მაინც

ვერ გამიგია, ყველას ახალგაზრდა რად ვგონივარ? „ბავშვობის წლებიო“! იცით, რომ ჩემი ბავშვობა მილიონ წელს გრძელდებოდა? მართალია, ასეთ ბავშვობას დიდი ნაკლიც ახლავს, — მეტისმეტად დიდხანს ვოცნებობდი დავაჟკაცებაზე, — მაგრამ, სამაგიეროდ, რა დიდებული დრო იყო მაშინ, მეგობრებო!

— მართლაც, რომ დიდებული ხანა იყო! — გაიხსენა ჩვარმა, — მაშინ დედამიწა ამ გლობუსს კი არა ჰგავდა! სადაც ახლა ხმელეთია, ადრე ტალღები ღელავდა, სადაც დღეს ტალღები ირწევა, იქ ხმელეთი იყო. დაუვიწყარი დრო გახლდათ, დაუვიწყარი!

— ამინდიც რა შესანიშნავი იდგა! — სიამოვნებისგან თვალები მილულა ცარცმა. — სულ ერთთავად ზაფხული იყო. იქ სადაც ახლა ტუნდრაა, ყინავს და თოვლი დევს, იმ დროს ტროპიკული ტყეები ხარობდა. მაშინ ზამთრისა და ქარბუქის ხსენებაც არ იყო. რა დრო წავიდა!

— ერთი სხვებსაცა ჰკითხე! თეთრ დათვებს ასეთი სიცხე ალბათ არაფრად ეპიტნავებოდათ.



— მაშინ თეთრი დათვების ჭაჭანებაც არ იყო.

— არ იყო? მაშ, მურა დათვებს გაუჭირდებოდათ. ისეთი თბილი ქურქის პატრონები, ალბათ, სულსა ღაფავდნენ სიცხეში. აქლემებისა და მაიმუნების დრო ყოფილა...

— არც მურა დათვები იყვნენ მაშინ, არც აქლემები, არც მაიმუნები, არც ფრინველები, არც მელები, არც სპილოები — არაფერი არ იყო მაშინ.

— სულ გადამრია ამ ცარცმა! მაშ რაღა იყო? — განცვიფრდა გლობუსი.

— რა იყო? თევზები, კიდევ ქვეწარმავლები და თანაც არ იკითხავ, როგორები! ცარცის ხანაში, როდესაც მე ქვეყანაზე გავჩნდი, ჯერ კიდევ არსებობდნენ გიგანტური ხვლიკები. ამ ხანის მიწურულში კი მათი გადაშენება დაიწყო და ასპარეზი ძუძუმწოვრებს დარჩათ. მე მაინც მახსოვს უამრავი საინტერესო არსებანი, შეხედეთ!

და ცარცმა დაფაზე უცბად დახატა წარმოუდგენელი ქმნილებები, რომლებიც რაღაცით ჩამოჰგავდნენ ხვლიკებს.

ზოგიერთები, ეტყობა, უკანა ფეხებზე დადიოდნენ. სუსტი, მოკლე წინა თათებით ბუჩქებსა და ჩირგვებს ეყრდნობოდნენ და ფოთლებს კორტნიდნენ. სხვები ოთხ ფეხზე დაბობღავდნენ და ბალახსა და ლელს ძოვდნენ. შორიახლოს შედარებით პატარა ცხოველები კენგურუებივით დახტოდნენ. ო, რა საშინელი და ამაზრზენი იყვნენ ეს უცნაური არსებანი! ზოგს თავ-პირი ნისკარტს მიუგავდა, ნაწილს თავ-კისერზე უამრავი რქა ასხდა, დანარჩენებს ხორკლიან ზურგზე ბრტყელი კბილები ხერხივით ჰქონდათ ჩამწკრივებული.

— წაშალე! — ნიშანი მისცა ცარცმა ჩვარს. — ზღაპრული ხანა დაგვიბრუნდა. ჩემი სურათის გვერდით ყველაფერი მოშალე. ვნახოთ, რანი იყვნენ და როგორ ცოცხლობდნენ ადამიანებისა და ცხოველების შორეული წინაპრები.

— ჭირივითა მძულს ეს ხვლიკები, ტრიტონები და ბაყაყები, — აბუზღუნდა ჩვარი, როცა წაშლას შეუდგა. — საზიზღრები არიან!

კედლები, ფანჯრები, მერხები ერთმანეთის თანმიმდევრობით გაქრა და ის იყო ჩვარი დაფის ჩარჩოს მიადგა, რომ უცებ იქაუ-

რობა გამოღვიძებული კალმის გულისგამგმირავმა კივილმა შეძრა:

— არ გაბედო! რასა სჩადიხარ! დავიღუპებით!

— თქვენც ერთი! რამ უნდა დაგვღუპოს? ნეტა რა ძალა გადგათ, რომ გაიღვიძეთ, ის არა სჯობდა გამოგეძინათ?!

— უვიცო! — არ ცხრებოდა კალამი. — ესენი მართლა უწყინარი ხვლიკები ხომ არა გგონია. დინოზავრები არიან, გაიგე, დინოზავრები! ღმერთო! პალეონტოლოგიისა არაფერი გაეგება ამ საცოდავს!

— ამას კი მართალს ბრძანებთ, — დაეთანხმა ჩვარი, — რაც არ ვიცი, არ ვიცი.

— წაშალე! მაგას უგდებ ყურს?! — გაუწყრა ცარცი ჩვარს.

— დარაჯო, აქეთ! ჰარიქა, თავს უშველეთ!

— არ გი-ინდა! — დაბზრიალდა შეშფოთებული გლობუსი. — არ გი-ინდა, ნუ-უ წაშლი!

მაგრამ უკვე გვიან იყო. ჩვარი დაფის ჩარჩოს შეეხო და განთავისუფლებული სურათი გაცოცხლდა. უცნაური შესახედაობის პატარა ხვლიკები, აქამდე რომ ბუჩქნარს კორტნიდნენ, უცებ გიგანტურ ურჩხულებად გადაიქცნენ და ხეთა კენწეროებს ხრამუნი აუტეხეს.

რქებით, ნისკარტით, ზურგზე კბილებით აღჭურვილი ხვლიკები ტანად სპილოზე მოზრდილები იყვნენ. მათ ფეხქვეშ დედამიწას ზანზარი გაჰქონდა. ზანტად მიიკვლევდნენ გზას ჩახლართულ ბარდებსა და ჩირგვებში. მძიმედ მიითრევდნენ კუდებს და ტანკებივით ლეწდნენ, თუკი გზაში რამ ხვდებოდათ.

მარტორქას მსგავსი არსებანი, — ცარცმა თქვა, მაგათ ტრიცერატოპსები ჰქვიათო, — ოთხ ფეხზე დადიოდნენ. თვალს ზემოთ, ენაჩოს ძვლოვან ჯავშანზე, წყვილი, გრძელი რქა ასხდათ, მესამე კი ზედ ნისკარტა სიფათზე ამოსვლოდათ. კენგურუს მსგავსი გიგანტური ცხოველები, რომლებიც პირის ერთი გასმით აშიშვლებდნენ ხეთა კენწეროებს, ცარცის აზრით, მანჯუროზავრები უნდა ყოფილიყვნენ. იმ ცხოველებზე კი, სიდიდით ყველას რომ აჭარბებდნენ, ტანი ხორკლით ჰქონდათ დაფარული და ხერხემლის გასწვრივ ორმწკრივად მიუყვებოდათ რქოვანი კბილები, ცარცმა თქვა, სტეგოზავრები არიანო.



ჩვენს მოგზაურებს ჯერ ხეირიანად ვერც მოესწროთ უცხო სანახაობის დათვალიერება, რომ ჭალიდან ერთი სტეგოზავრი გამოვიდა, რქოვანი ფარფლის გამაყრუებელი ხმაურით, ტორტმანით ჩაუარა შეშინებულ მეთვალყურეებს და ქვიშით დაფარული ხევისკენ გაემართა. ნაპირთან რომ მიბაჯბაჯდა, ვეებერთელა კისერი წაიგრძელა, ზედ გამობმული ერთი ციცქნა თავი ასწია და გაიტრუნა. ამაზრზენი კუდი, რომლის ბოლოზეც რამდენიმე გრძელი ხანჯლისებური რქა ება, ზევით ასწია. გიგანტური ხვლიკი მტრის დასახვედრად მოემზადა, რომ გასჭირვებოდა დახევასაც მოახერხებდა. მაგრამ, ეტყობა, გიგანტის პატარა, გაშტერებულმა თვალებმა, რომლებიც გველის თვალებს მიაგავდა, საეჭვო ვერაფერი შენიშნეს. მძლავრმა კუდმა მძიმედ, თითქოს მუხა წაიქცაო, ზღართანი მოადინა მიწაზე, გრძელმა კისერმა თავი ბუჩქნარისაკენ წაიღო, საიდანაც მაშინვე ხრამუნი და ჭლაპუნი მოისმა.

ამ დროს, მეორე ნაპირზე, ბუჩქებში სამი გიგანტი აღიმართა. მიუხედავად იმისა, რომ ვეებერთელები იყვნენ (ტელეგრაფის ბოძზე დაბლები არ იქნებოდნენ!) ხვლიკები უზარმაზარი ნახტომებით ძალზე მსუბუქად ევლებოდნენ თავს ხევებსა და ნორჩ ხეებს. წინა თათები ამ დროს სასაცილოდა ჰქონდათ გულზე დაკრეფილი.

— ესენი ტირანოზავრები არიან... — შენიშნა ცარცმა. — ცარცის ხანაში ეგენი ბატონობდნენ დედამიწაზე. ახლა კი იქნება სეირი! ამხელა ხახა თუ გინახავთ ოდესმე?

უცებ სტეგოზავრმა თვალი მოჰკრა მტრებს, და ისე მოკურცხლა, რომ წყლის შხეფების ღრუბელი დააყენა. მირბოდა და თან გახელებული კუდს მიიქნევდა. მდევრებს ახლოს არ უშვებდა. მაგრამ მოუქნელი გიგანტი კუდმა ვერ იხსნა. ორფეხა ხტუნიები სხვადასხვა მხრიდან დაესხნენ თავს, ალყაში მოიმწყვდიეს და მალე ბოლოც მოუღეს; ეშვებიანმა მტაცებლებმა ჯერ ნადავლი დაფლითეს გააფთრებით, მერე თავიანთ ამხანაგს მისდგნენ, რომელიც სტეგოზავრის მახვილმა კუდმა განგმირა.

გაოცებულმა პატარა მოგზაურებმა პირი დააღეს, მაგრამ მალე საშინელმა ჭახაჭუხმა გამოარკვია.



შეტაკებით დაშინებული რამდენიმე ტრიცერატოპსი პირდაპირ მათკენ მორბოდა.

— თავს უშველეთ! — დაიკივლა კალამმა და ბუჩქებში შერგო თავი.

გლობუსმა არც აცივა და არც აცხელა, ხევში ჩაგორდა. ცარცს ფეხი არ მოუცვლია ადგილიდან.

— ჩქარა წაშალე! — დაუყვირა ჩვარს. — წაშალე, თორემ დავიღუპეთ!

თავზარდაცემული ჩვარი ისე დაიბნა, რომ გიგანტებს ფეხქვეშ შეუვარდა.

— გაგთელავენ! — შუბლზე ხელი იტკიცა ცარცმა.

ამ დროს სრულიად მოულოდნელი რამ მოხდა. ერთ-ერთი ურჩხული უცებ შეტორტმანდა, ბუჩქებს ლაწალუწი აუტეხა და ძირს დაეცა, — დაფეთებული ჩვარი უნებურად გახახუნებოდა გიგანტის ფეხს და წაეშალა.

სანამ გიგანტის ქვეშ მოყოლილი ჩვარი დიდის ვაი-ვაგლახით ითავისუფლებდა თავს, ურჩხული თანდათან ილეოდა, ქრებოდა.

გათამამებული ჩვარი მეორე გიგანტისკენ გაქანდა. ორიოდ წუთში ყველაფერი წაშლილი იყო. მხოლოდ ორი ფრთოსანილა და-

ფრინავდა ცაში. ისინი უზარმაზარ ყანჩას და ღამურას ჰგავდნენ. ჰაერში დაქროდნენ და ეშვებიან, გრძელ ნისკარტს აწკაპუნებდნენ.

— მფრინავი ხვლიკებია, — თქვა ცარცმა, — პტეროდაქტილები!

ჩვარმა მიზანში ამოიღო და მარჯვედ წაშალა ცის პირატები.

— საში-ი-ინელებაა! — ენის ბორძიკით ძლივს ამოთქვა დასვრილმა გლობუსმა, როცა მოგზაურობის კომპანიამ ისევ თავის წყნარსა და სავსებით თანამედროვე საკლასო ოთახში ამოყო თავი.

— არა, ჩვენ ძალიან შორს შევტოპეთ ზღაპრულ მოგზაურობებში!

— ამ თავზეხელაღებულმა კინაღამ ყველა არ დაგვღუპა! იქნებ ამგვარი ბარბაროსული ხერხით ფიქრობდით თავიდან ჩემს მოშორებას, რომ წაგებული მარგალიტი არ გადაგეხადათ? იქნებ სულაც დაგავიწყდა ჩვენი სანაძლეო?

— წაგებული მარგალიტიო? — ჩაიცინა ცარცმა. — ვინ მოგახსენათ? კამათი გაგვიჭიანურდა, დროა დავამთავროთ. მოწმედ გლობუსი და ჩვარი იყვნენ. ახლავე დაგიმტკიცებთ, ჩვენ ორში რომელია მართალი. — და ცარცმა დაფაზე გაფაციცებით დაიწყო მთების ხატვა.





მეხუთე თავი

რომელშიც ჩვენი მოგზაურები „მთა-ში" მიდიან, ამ სიტყვის ზუსტი მნიშვნელობით. ცარცი მარგალიტს პოულობს სანაძლეოს გადასახდელად, კალამი კი ძლივს ახერხებს ჭუდის შენარჩუნებას.

ცარცის მიერ დახატული მთების ერთ-ერთი ფერდობი ციცაბოდ ეშვებოდა. ფლატეს თეთრ კედელს რაღაც ფართო ზოლები აჩნდა. ციცაბო კალთის ძირას მთის მდინარე ხტოდა ლოდიდან ლოდზე და ქვევით მიიჩქაროდა.

სიარული ძალზე გაჭირდა. მზეზე გავარვარებული თეთრი ქვის ლოდები ერთმანეთზე დახერგილიყო. მგზავრებს ხან გვერდის აქცევა უხდებოდათ, ხან ზედ აბობღება, შეიძლებოდა კისერიც მოეტეხათ ასეთ გზაზე.

ბოლოს, როგორც იქნა, ჯგუფმა ციცაბო ფერდობის თავამდე ააღწია.

— აი, შეხედეთ! — საზეიმოდ შესძახა ცარცმა. — თვალი მოავლეთ აქაურობას. ეს ფერდობი და ყველა ეს მთა, თავზე რომ გადმოგვყურებენ, წმინდა კირქვებისგან შედგება.

მე ადრეც გითხარით, რომ კირქვის შრეები, ჩვეულებრივ, ზღვის უამრავ პაწია ბინადართა ჩონჩხისა და ჯავშნის ნარჩენებს წარმოადგენს-მეთქი. ამ შრეებს მერე და მერე მდინარის მიერ ჩამოტანილი ქვიშა და თიხა ეფინებოდა ზევიდან. ამ ფენების წარმოუდგენელმა სიმძიმემ და, რაც მთავარია, წყლის დაწოლამ ზღვის მცხოვრებთა

ნარჩენების გორები გააქვავა. უძველესი დროის ზღვის ფსკერი მილიონი წლის განმავლობაში ხან ხმელეთად იქცეოდა, ხან ისევ წყალში იძირებოდა. და მაშინ ისევ წვიმასავით მოდიოდა ზღვის პაწია ცხოველთა ნიჟარები და ნაჭუჭები. მერე ამ ფენასაც ქვიშა და თიხა ეფარებოდა.

მაგრამ, აი, დედამიწის მძლავრი შინაგანი ძალები ისევ ჩაებნენ საქმეში. ზღვის ფსკერი ერთხელ კიდევ აქციეს ხმელეთად; მერე ეს ხმელეთი სულ ზევით და ზევით ასწიეს, დაგრიხეს, დაჭმუჭნეს, დატეხეს, დაწყვიტეს...

დროთა განმავლობაში თიხა და ქვიშაც ქვავდებოდა. ზედდაწოლილი ქანების კოლოსალურმა წნევამ და დედამიწის წიაღის სიმხურვალემ ქვიშა „ქვიშაქვად“ აქცია, რომლიდანაც სალეს და წისქვილის ქვებს ამზადებენ, თიხა კი ფიქალად იქცა.

ბოლოს და ბოლოს დედამიწის ქერქის ნაკეცებმა თითქმის ღრუ-



ბლებს უწია. აი, ამნაირად გაჩნდა ქვეყანაზე მთები, რომელთა ძირშიც ამჟამად ვიმყოფებით.

ფლატეს რომ ზოლებად გასდევს, ეს ქვაქვიშისა და ფიქალის ფენებია. ნამცხვარს ამიტომ მიაგავს ეს მთები. თეთრი ფერისა. კი იმიტომ არის, რომ კირქვები გაცილებით ჭარბობს სხვა ქანებს. ახლა რაღას იტყვით, მთის ქანებს ვეკუთვნით თუ არა? — იკითხა ცარცმა, როცა საუბარი დაამთავრა. — ვინ მოიგო სანაძლეო?

ბიძია გლობუსი დეიდა ჩვარს მოეთათბირა და მერე აჭრიალდა:

— ჩვენ, მო-ო-ოწმეები ვადასტურებთ, რომ ცარცი და მისი ნათესაობა მთის ქანები არიან! გა-ა-ამარჯვებაც ცარცს დარჩა. კალამი ადგეს და, როგორც დათქმული იყო, ცარცს გადასცეს თავისი პლასტმასის ქუდი.

— მოითმინეთ, მოითმინეთ! — შესძახა კალამმა და მოხერხებულად მოეწყო. — ერთი ეს მითხარი, მთაზე რომ თოვლი დევს, ისიც მთის ქანია? ისიც ხომ თეთრ ფერს აძლევს მთას.

— სისულელეა! — მოურიდებლად მიახალა ცარცმა. — თოვლი მთის ქანიაო?! რასაკვირველია, არა! ის ხომ ზევიდან დევს, მთები კი ქვის ქანებისაგან შედგება.

— უყურეთ ერთი, რას ამბობს? — ჩაიცინა კალამმა. — როგორ დაამტკიცებ, რომ კირქვაც თოვლივით მხოლოდ ზევიდან არა აქვს გადაკრული მთას? შიგ იქნებ სხვა ქანები დევს? ესეც ასე! მგონია, მალე მივიღებ დანაპირებ მარგალიტს.

— ეს ამბავი მართლაც გასარკვევია! — ჩაიბუტბუტა გლობუსმა და კეფა მოიქექა.

— წადი და გაიგე ახლა, რა დევს მთის გულში? — გლობუსს მხარი აუბა ჩვარმა. — ზედაპირზე კი მოჩანს ყველაფერი, მაგრამ...

— ნუთუ ჩემი არა გჯერათ? — აღელდა ცარცი. — მე აკი... — მოულოდნელად მთის ფერდობზე დიდ მუქ ლაქას მოჰკრა თვალი. — ეს საიდანღა გაჩნდა! — ჰკითხა ცარცმა ჩვარს და თავით ლაქაზე მიუთითა. — რამდენადაც მახსოვს, ჩემი დახატული არ უნდა იყოს!

— ჩემი ბრალია, პატივცემულო, — შეწუხდა ჩვარი, — შემთხვევით მომიხვდა! წაშლა რომ მითხარით, უცებ მომიხვდა მთაზე ხელი და აი, ეს ხვრელი გაჩნდა.

— მეც ეს მინდოდა! — შესძახა ცარცმა. — მომყევით!

ხვრელისკენ ჩამავალი გზა სახიფათო აღმოჩნდა. გლობუსმა ქვევით რომ გადაიხედა, გულმა რეჩხი უყო, უკან დაიხია და განაცხადა, თავბრუ დამეხვაო. მაშინ ცარცმა ჩვარს უთხრა, რამდენიმე ძაფი გამოიძრე და თოკი დაგრიხეო.

— ერთმანეთს უნდა გადავებათ, — აუხსნა ამ-ხანაგებს, — ერთი თუ მოწყდება, მეორე დააკავებს.

— მოდი, ასეთ საქმეში ნუ გამრევთ და უკან დამაბრუნეთ, — განაცხადა კალამმა.

— ვერ მოგართვით! — მოუჭრა ცარცმა. — სანაძლეო სანაძლეოა! თუ არ გამოგვყვები, სანაძ-ლეო წაგებულად ჩაგეთვლება.

კალამმა, რასაკვირველია, პლასტმასის სახურა-ვის მიცემა არ ინება და ნახევარ საათში მოგზაუ-რები ვეებერთელა შავ ხვრელს მიადგნენ. ხვრელი-დან სიცივე და ნესტი სცემდა. ცარცმა მომსკდარ ლოდს ფარანი დაახატა, და, როცა ჩვარმა ლოდი წაშალა, პატრუქს მოუკიდა. მალე მოგზაურები ერთმანეთის მიყოლებით ჩაყლაპა მთის შავმა ხახამ.

გამოქვაბულის კედლები ხან ისე ვიწროვდებო-და, გავლა ჭირდა, ხან კი ისე ფართოვდებოდა, კედლები სულ აღარ მოჩანდა. დერეფნების ლაბი-რინთში გზა რომ არ დაბნეოდათ, ცარცი კედელზე ჯვრებს ხატავდა.

ბოლოს, დიდი გაჭირვებით, ჩვენი მოგზაურე-ბი მაღალი სვეტებით დამშვენებულ დიდ დარბაზ-ში გავიდნენ. ჭერზე ვეებერთელა ლოლუები ეკიდა, იატაკიდან, თითქოს მათ შესახვედრად დაძრულა-ნო, წაწვეტილი სვეტები აღმართულიყვნენ. ირგვ-ლივ ყველაფერი თვალისმომჭრელად ბრწყინავ-და და ელავდა ფარნის მაცდურ შუქზე.

— ასეთი რამე ზღაპრადაც არ გამიგონია! — თქვა ჩვარმა და აღტაცებულმა დარბაზის თვალიერება განაგრძო. — ეს ხომ ვერცხლისსვეტებიანი ალმასის სასახლეა.

— დიახ, სასახლეა! — დაუდასტურა ცარცმა. — ჩვენი საგვარეულო სასახლე გახლავთ. თუმცა, ალმასისგან ნაგები სულაც არ არის, ირგვლივ ყოველივე, არც მეტი და არც ნაკლები, კირქვებია! მთელი ეს დერეფნები და დარბაზები წყალმა შექმნა: ვიწრო ნაბზარებში ჩამოსული წყალი ქვას რეცხავდა, შლიდა, ჯერ ვიწრო ხვრელებს აჩენდა, მერე კი თანდათანობით აფართოებდა, დროთა განმავლობაში ამ ხვრელებში მიწისქვეშა წყაროებმა და მდინარეებმაც კი იწყო დენა. კლდეში მათ სულ ახალ-ახალი გზები გაჰყავდათ. მართალია, წყალი ნელა ირჯებოდა და დიდხანს მოუნდა საქმეს, მაგრამ ეს მთებიც ხომ, ვინ იცის, რამდენი მილიონი წელია ასე დგას.

— სანამ არ დაგვიანებულა, ხომ არ გავბრუნდეთ? — შეიშმუშნა კალამი. — ჩემი აზრით, წყალს მეტისმეტად ბევრი გზა გაუკვალავს. რა არის ამდენი მისახვევ-მოსახვევი, დერეფანი, ჩიხი...შეიძლება გზაც აგვებნეს...

— გზა აგვებნესო?! მე გინდა შინ ვყოფილვარ და გინდა აქ! — გაამხნევა ცარცმა და ყოველი შემთხვევისათვის კედელზე მალულად დაასვა ჯვარი. — იცით, რომ სხვაგან გაცილებით დიდი მიწისქვეშა ლაბირინთები არსებობს. ამერიკაში ერთი გამოქვაბულია, სახელად მამონტის გამოქვაბულს ეძახიან; მისი დერეფნებისა და გადასასვლელების საერთო სიგრძე ორას ორმოც კილომეტრს აღემატება!

— ვიცი, — დაიჭრიალა ბიძია გლობუსმა. — საერთოდ, დედამიწის ზურგზე უამრავი გამოქვაბულია: კავკასიაში, ყირიმში, ურალში და ციმბირში რამდენიც გინდა იმდენია. ბევრია ჩეხოსლოვაკიაში, იუგოსლავიაში, საფრანგეთში, იტალიაში, ესპანეთში. ზოგიერთის სიღრმე რამდენიმე კილომეტრს სჭარბობს. მაგრამ ცოტანი არიან ისეთი გულადები, რომლებსაც არაფრად უღირთ უკუნეთ სიბნელეში ხეტიალი, მიწისქვეშა ნაპრალებში ჩაშვება და კლდეთა ქვეშ უხილავ მდინარეთა უამრავ ჩასადენში ყურყუმალი...

— ოჰო-ჰო, — შეაზრიალა ჩვარს. — რა თავზარდამცემი რაღა-

ცაა. ერთი უყურეთ, წყალს რამხელა ადგილები ჩამოუშლია და ჩამოუქცევია! ათ წელს რომ იყურყუტო, საიდანაც შემოხვედი, იმ ადგილს მაინც ვეღარ მიაგნებ.

— სხვათა შორის, წყალი ყოველთვის კი არ ანგრევს, ზოგჯერ აშენებს კიდეც, — უთხრა ცარცმა ამხანაგებს, როცა დასასვენებლად ჩამოსხდნენ. — მაგალითად, აი, ეს სვეტები ავიღოთ. საუკუნეების განმავლობაში წვეთ-წვეთად ჟონავდა კირქვების ფენაში წყალი და დარბაზის ჭერიდან, აი, ამ ადგილზე ეცემოდა. ასე, წვეთ-წვეთობით ჩამოიზარდა ჭერიდან ეს ლოლუები, რომლებიც წყალმა კირქვის ხსნარისაგან შეკრა. ამ ლოლუებს სტალაქტიტებს ეძახიან...

საუკუნეების მანძილზე ეს ქვის ენები იზრდებოდა, მსხვილდებოდა, გრძელდებოდა... მაგრამ კირქვების მთელი მარაგი როდი ილექებოდა ამ ლოლუებზე. ქანების ხსნარის ერთი ნაწილი წყლის წვეთებთან ერთად „იატაკზე“ ეცემოდა და, აი, ზედა ლოლუების — სტალაქტიტების შესახვედრად ქვემოდანაც იწყეს ზრდა სვეტებმა — სტალაგმიტებმა. დროთა განმავლობაში ისინი შეერთდნენ და მთლიანი სვეტები წარმოქმნეს. შეხედეთ, რამდენი ასეთი სვეტია!

ზოგჯერ კირქვების ჩამონატეხისგან ცხოველებისა და ადამიანის მსგავსი საოცარი ქანდაკებანი წარმოქმნილა, ასეთ გამოსახულებას უმეტეს შემთხვევაში გამოქვაბულის კედლებზე შეეხვდებით. კედლებზე, არცთუ ისე იშვიათად, წააწყდებით წვრილი წვეთებისგან ფაქიზად ნაქარგ არშიებს, ზღაპრული, ნატიფი ყვავილებით მოქარგულ იატაკებს და ჰაერში გამოშვერილ მოჩუქურთმებულ ქვას...

რას არ ნახავთ მიწისქვეშა სასახლეებში! გაქვავებულ ჩანჩქერებს, ქვის ბუჩქნარს და ნახევრად გამჭვირვალე, საოცარ ფარდებს...

მე მგონი, გამოქვაბულის ზოგიერთ საოცრებას ჩვენც წავაწყდებით. წამოდექით, მეგობრებო. დროა, გზას გავუდგეთ...

მოგზაურებმა ერთ საათამდე იხეტიალეს ნესტიან დერეფნებში და ისევ ერთ-ერთ დარბაზში გავიდნენ. ამ დარბაზისა არც თავი მოჩანდა და არც ბოლო. იმხელა იყო, დიდი სტადიონი თავისუფლად დაეტეოდა თავისი ტრიბუნებიანად. სადღაც შორს, სიბნელეში მიწისქვეშა მდინარე ბუყბუყებდა.



— ნუთუ ესეც წყლის ნამუშევარია? — იკითხა გლობუსმა.

— აბა, სხვა ვინ იზამდა! — უპასუხა ცარცმა. — ეს დარბაზი ყველაზე დიდი როდია... ბევრია უფრო მოზრდილი. ყველაზე დიდი მიწისქვეშა დარბაზი ასი მეტრის სიმაღლეს აღწევს. ასეთ მღვიმეში თავისუფლად მოთავსდება ცათამბჯენი; წარმოიდგინეთ, ეს ყველაფერი წყლის ნამოქმედარია. წყალი რეცხდა, შლიდა კირქვის ქანებს და სულ უფრო აგანივრებდა დარბაზს; ზოგჯერ თაღი ჩამოიქცეოდა ხოლმე, ჩამონაშალ ნამსხვრევებს მდინარე ალღობდა და მიჰქონდა. დრო მოვა და ეს დარბაზიც ჩამოიქცევა.

— ახლავე გავბრუნდეთ! — მოითხოვა ჩვარმა. — მე თუ რამე გამეგება, თავს ჭეშმარიტად ზღაპრულ საფრთხეში ვიგდებთ.

— ნუ დაფრთხებით, ასეთი ჩამოზვავება ძალზე იშვიათად ხდება ხოლმე, — დაამშვიდა ცარცმა ამხანაგები. — თუმცა ჩამოქცევა ყოველთვის ამ დროს, გაზაფხულზე იცის, როცა გამდნარი თოვლის წყალი ნიადაგქვეშ მიედინება. მაგრამ იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ჩვენ არაფერი შეგვემთხვევა. ამასთან, რასაც ვეძებ, ჯერ ვერ მიპოვნია.

ცარცი წყაროს მიუყვებოდა და დაწმენდილ წყალში იხედებოდა.

მეგობარო, სანამ ცარცი თანამგზავრებთან ერთად მიწისქვეშა წყაროს მისდევს, შევეცდები ცოტა რამ მაინც გიამბო მღვიმეების ჩამოქცევაზე.

1786 წლის 10 თებერვალს ყირიმის მხარის პატარა სოფლის ქუჩუკ-ქოეს მცხოვრებლებს უცნაური გრგვინვა შემოესმათ; გრგვინვა ციდან კი არ ისმოდა, არამედ სადღაც ქვემოდან, მიწის გულიდან. ვენახებიდან ხალხმა მოირბინა და სოფელს შეატყობინა, ხევის გაყოლებით მიწა ირღვევაო. იმავე დღეს სოფლის მდინარე და ორი წისქვილი სადღაც გაქრა.

მეორე დღეს მიწამ შიგ სოფელშიც დაიწყო სკდომა და ჩაქცევა. გლეხებმა ბარგი-ბარხანას ხელი დაავლეს და სასწრაფოდ გაიხიზნენ. სწორედ რომ დროზე უშველეს თავს! იმავე ღამით ერთი კილომეტრი სიგანისა და ორი კილომეტრი სიგრძის მიწა მთლიანად ჩაიქცა. ნასოფლარზე ორმოცი მეტრი სიღრმის უფსკრული გაჩნდა.

ესეც წყლის ნამოქმედარი იყო. უხილავი ნაკადები საუკუნეების მანძილზე თხრიდნენ კირქვების ქვეშ გასასვლელებსა და ხვრელებს. ბოლოს ძირგამოთხრილმა ქვამ ვეღარ გაუძლო ზედა ფენების სიმძიმეს და ჩაინგრა.

მაგრამ, როგორც ცარცმა თქვა, ასეთი კატასტროფები ძალზე იშვიათად ხდება.

მიწისქვეშა თაღმაც არ იცის ხშირად ჩამოშლა. ხოლო ისეთი შემთხვევა, როცა მიწისქვეშა ჩაქცევა დედამიწის სკდომას და ჩაშლას დაემთხვევა ხოლმე, ალბათ ათას წელში ერთხელ თუ მოხდება. გაცილებით ხშირია ნიადაგის დაწევა. არა ერთი და ორი ტბა თუ ტბორი წარმოქმნილა ამ გზით. ერთხელ ჩემი თვალით ვნახე მურმანსკის მახლობლად ტყეში, როგორ შეტოკდა ვერხვნარის ერთი ნაკვეთი და გრუხუნით ჩავარდა ორი მეტრის სიღრმეზე. იმ ადგილზე მაშინათვე წყალმა ამოხეთქა. რამდენიმე წუთში ნაკვეთი სანახევროდ დაიტბორა.

მოგვიანებით გეოლოგებისგან შევიტყვე, რომ მიწის ასეთი დაწევა გორკის ოლქში თურმე ხშირი ყოფილა. ეს იმის ბრალია, რომ იქ მიწის ქვეშ დიდი რაოდენობითა დევს კირქვა. ინჟინერ-მშენებლები აუცილებლად ითვალისწინებენ ამ მხარის თავისებურებას: მშენებლობის დაწყებამდე რჩევისათვის გეოლოგებს მიმართავენ.

იცი, ჩემო მეგობარო, კირქვის ფენებს მთლიანად რა ფართობი უკავიათ ჩვენს პლანეტაზე? 40 მილიონი კვადრატული კილომეტრი! ბევრია ეს თუ ცოტა? ჩვენი ქვეყანა, ჩინეთი და ავსტრალია ერთად რომ აიღო, 40 მილიონი კვადრატული კილომეტრი მაინც არ გამოვა. აი, რამხელა ფართობზეა გადაჭიმული კირქვის ქანები!

ყირიმისა და ვიეტნამის, კავკასიისა და ესპანეთის, შვეიცარიის და ინდოეთის მთები დიდი რაოდენობით შეიცავენ კირქვებს. მსოფლიოს უმაღლესი მწვერვალი ჯომოლუნგმაც კი ძირითადად კირქვებისაგან შედგება.

კირქვების შესახებ, მეგობარო, ბევრ საინტერესოს მოგიყვებოდი... თუმცა თავის დროზე ყველაფერს შეიტყობ. აგერ, კიდევ რამდენი ფურცელი დაგრჩა წასაკითხი! კირქვის ერთ უცნაურ ნიმუშს კი სულ მალე წააწყდები მიწისქვეშა წყაროში. კიდევ რამდენიმე ნაბიჯი და...

— ვიპოვე! — შესძახა ცარცმა და წყაროსკენ დაიხარა. მან ფარანი ქვაზე ჩამოდო და წყლიდან რამდენიმე პატარა მქრქალი, მოთეთრო ბურთულა ამოიღო...

— ეს რაღაა? — ხელებში ჩახედა ცნობისმოყვარე დეიდა ჩვარმა. — ხალხნო! ერთი უყურეთ, რა ლამაზია!

— ვიპოვე, რასაც ვეძებდი, ეს მარგალიტია!

— მა-ა-ა... მარგალიტი? — დაიჭრიალა განცვიფრებულმა ბიძია გლობუსმა... — შეუძლებელია! მარგალიტი მხოლოდ ზოგიერთი მოლუსკის ნიჟარაში იზრდება...

— სცდებით. იცით, რას წარმოადგენს მარგალიტი?

— ვიცი, მაგრამ... მთლად კარგად არა. ეს... მოკლედ... ძვირფასი ნივთია! — ბიძია გლობუსი გაჩუმდა და ცარცს მიაჩერდა, მართალი ვთქვი თუ არაო.

— ეჰ, აბა რა უნდა გელაპარაკოთ! თანაც რომ მეკამათებით! — წამოიძახა ცარცმა. — მარგალიტი, თავიდათავი, ჩემი ძმაა; ჩვენი, კირქვების ოჯახის ისეთივე წევრი, როგორიც მე ვარ. თქვენ უკვე იცით, რომ მოლუსკები ზღვის წყალში გახსნილი კირქვებისგან აკეთებენ ნიჟარებს. ისინი ძირითადად იმავე მასალისგან ამზადებენ სადაფსა და მარგალიტსაც, რომლებიც თითქმის არაფრით განსხვავდება ერთმანეთისგან.

მარგალიტი როგორ ჩნდება? მოხვდება ქვიშის მარცვალი რომელიმე მოლუსკის ნიჟარაში, წლიდან წლამდე ამ მოლუსკის მიერ გამოყოფილი სადაფით იფარება და მარგალიტიც მზად არის.

მართალია, ჩვენ რომ ვიპოვეთ იმასაც მარგალიტი ჰქვია, მაგრამ სულ სხვანაირად არის წარმოშობილი. ისე კი, ორივე, ნამდვილი მარგალიტი და „გამოქვაბულის“ მარგალიტიც, კირქვებისაგან არის დამზადებული. ცხადია, გამოქვაბულის მარგალიტს მოლუსკებთან არავითარი კავშირი არა აქვს. მოლუსკის მაგივრობას ამ შემთხვევაში წყალი ეწევა. ნელ მდინარეებში მოხვედრილი ქვიშის მარცვალი თუ პატარა მრგვალ ღრმულში ჩავარდა, წყალი მას განუწყვეტლივ აბრუნებს და კირქვის ფენით დაფარავს. აი, ასე წარმოიქმნება მრგვალი მძივები. საყურადღებოა, რომ გაზაფხულზე წყლის მომატებასთან ერთად მარგალიტის ფენაც იზრდება. მარგა-

ლიტს რამდენი ფენაც აქვს, იმდენი წლისაა. ახლა კი წავიდეთ, — ბრძანება გასცა ცარცმა და მარგალიტი შეინახა. — უკან დაბრუნების დრო მოვიდა.

როცა მიწისქვეშა ხანგრძლივი მოგზაურობა დამთავრდა და მთელი კომპანია თვალებმოჭუტული გამოვიდა მზის სინათლეზე, ცარცი კალამს მიუახლოვდა, მარგალიტები ხელისგულზე შეათამაშა და უთხრა:

— მართალია, გამოქვაბულის მარგალიტი სილამაზით ჩვეულებრივ მარგალიტს ვერ შეედრება, სამაგიეროდ, ძალიან იშვიათია და ძნელად თუ იპოვის ვინმე. კარგად იცით, იმიტომ ვეძებდი, წაგების შემთხვევაში ვალი გამესტუმრებინა. მაგრამ წავაგე თუ მოვიგე, დაე, მოწმეებმა გადაწყვიტონ.

კალამმა ხმა არ გასცა, დაღვრემილი გაეცალა.

— მაგას რა ბევრი დავა უნდა! — ხელი ჩაიქნია ჩვარმა. — მთა მთლიანად კირქვისგან შედგება. გინდა თუ არ გინდა, ასეა და!.. კირქვა მთის ქანი ყოფილა. ამაზე კამათიც ზედმეტია.

— სწო-რედ ასეა! — კვერი დაუკრა გლობუსმა, — სანაძლეო ცარცმა მოიგო. ჩვენი გადაწყვეტილება საბოლოოა. ადგეს კალამი და მისცეს თავისი ქუდი. გა-ა-ასაგებია?!

კალამი დუმდა. შერცხვენილი იდგა. პლასტმასისარშიებიან კაბაზე ლურჯი მელნის ცრემლები ღვარად სდიოდა და მიწას ეწვეთებოდა.

— აჰა, აიღოს! — შესძახა უცებ კალამმა და ქვაზე დაანარცხა თავისი სახურავი. — რიღას მაქნისი ვარ ასეთი, უქუდო!.. არა და, აფსუს, რა მარმარილოსავით ქუდი მქონდა! — და ამაყი კალამი აქვითინდა.

დაქანცული მოგზაურები კლასში რომ დაბრუნდნენ, უკვე თენდებოდა. ერთი წუთის შემდეგ ყველას ღრმა ძილით ჩაეძინა. არა, ყველას არა! ორმა მათგანმა თავი მოიმძინარა. მუჭში ამთქნარებდნენ წამდაუწუმ და დათქმულ დროს უცდიდნენ, რომ მარტოდ დარჩენილებს მოელაპარაკათ.



მეექვსე თავი

და საკმაოდ ნაღვლიანი. ამ თავში ავტორი იძულებულია გულისწუხილით შეგატყობინოს კალმის იდუმალებით მოცული გაქრობის ამბავი; გიამბოს, თუ როგორ ამზადებდნენ შეთქმულებას ბიძია გლობუსი და დეიდა ჩვარი, გამოგზაუროს „ბედნიერი" ქვისა და უბედური ადამიანების კუნძულზე. დანარჩენს კი თვითონ გაიგებ, როცა მას წაიკითხავ...

... სადღაც ელექტრომავალმა დაიღმუვლა ჩახლეჩილი ბანითითქოს ამ უხეშმა ხმამ შეაშინაო, ცაზე ვარსკვლავები აციმციმდნენ და ჩაქრნენ. საკლასო ოთახის სარკმელს გადაღმა ლურჯად მოკამკამე ჰაერი გახუნდა. აღმოსავლეთის მხრიდან, ჭირხლით გაჭაღარავებული მდუმარე გარეუბნიდან, ქალაქში დილა შემოდიოდა...

ზღაპრული ხანა გათავდა და კლასის ყველა საგანი ღრმა ძილს მიეცა. ეძინათ სიტყვაძვირ მძიმე მერხებს, მასწავლებლის თავმომწონე მაგიდას, ძველ, ჭრიალა ჭორიკანა კარს... გეოგრაფიულ რუკაზე დახატული დედამიწის ზურგიც თვლემდა. მხოლოდ ცეცხლსაქრობი ფხიზლობდა და, რაკი სახანძრო დაცვის წევრი იყო, მეზობელ ოთახში მოთავსებულ ქიმიის კაბინეტს დარაჯობდა, თუმცა, რანაირად უნდა გაიგოს კაცმა, ფხიზლობდა თუ ეძინა ცეცხლსაქრობს — ის ხომ სიცოცხლეში ერთხელ იღებს ხოლმე ხმას და ისიც თუ ხანძარი გაჩნდა.

ერთი სიტყვით, ის დრო იყო, როცა ქვეყანა ტკბილ სიზმრებშია გახვეული.

აი, რატომ დარჩა შეუმჩნეველი ის საიდუმლო თათბირი, რომელიც მაშინ მიმდინარეობდა, როცა ადამიანებისთვის ჯერ ძალიან ადრეა გაღვიძება, ნივთებისთვის კი ძილი უკვე დაგვიანებულია.

— მაშ, სად და როდის მივდივართ, ბიძია? — ჩურჩულით იკითხა ვიღაცამ ფანჯრის რაფის ქვემოდან.

— წყნარ ოკეანეში მივდივართ, დეიდა, წყნარ ოკეანეში! — ჩურჩულითვე უპასუხა ვიღაცამ მასწავლებლის მაგიდიდან. — ღვთის გულისათვის, ხმადაბლა ილაპარაკეთ! იცით, რა არის ატოლი?

— საიდან უნდა ვიცოდე. მე...

— სუ! შარიშური მომესმა!

— დამშვიდდით, ყველას სძინავს. ეგ მეეზოვის ცოცხის ხმაა, ქუჩასა გვის.

— ძალიან ცუდად კი გამოგვივიდა. სადაც არის გათენდება, ჩვენ კი ჯერაც არ დაგვიძინია! რომ გაგვიგონ, რა გვეშველება?

— ვინ უნდა გაგვიგოს? ცარცმა? როგორც კი დავბრუნდით, იმას მაშინვე ჩაეძინა, ძილში კი, როგორც მოგეხსენებათ, ქვასავით უგრძნობელია! ხვალ ყველას რომ ჩაეძინება, თუ მაშინვე გავემგზავრებით, შუალამემდე მოვასწრებთ დაბრუნებას. როგორც კი გაიღვიძებენ...

— სუ-მეთქი! აქეთ მოიწი, ძალიან ხმამაღლა ვლაპარაკობთ!

ალიონის ბინდბუნდში რაღაც სველმა საგანმა ყრუდ მოადინა ტყაპანი იატაკზე. ეს დეიდა ჩვარი გახლდათ, რომელიც საარდადეგოდ გამართულ რადიატორზე ამაოდ ცდილობდა გაშრობას. მიწისქვეშა მოგზაურობისას ჩვარი კარგა მაგრა გაილუმპა და ახლა, დილის სიგრილეც რომ ზედ დაერთო, აკანკალდა.

— ავად არ გაგვიხდეთ, პატივცემულო! — შეშფოთდა ბიბია გლობუსი, როცა აბუზული ჩვარი მაგიდაზე აფორთხდა და იატაკზე სველი კვალი დატოვა. — მოგზაურობის გადადება ხომ არ აჯობებს?

— არა მიჭირს-რა, მიჩვეული ვარ, — დაამშვიდა ჩვარმა და შინაურულად შეისრუტა ცხვირი. — მე ხომ გაკვეთილების დაწყებამდე ყოველთვის მასველებენ... ა-ა-ა!

— ს-სუ! — ხელები გაასავსავა გლობუსმა. — ჩუმად!

მაგრამ გვიან-ღა იყო. სამარისებურ სიჩუმეში ქუხილივით გაისმა ცხვირის დაცემინება.

— ხი, ხი, ხი! — სიხარულით გამოაჯავრა ექომ, დერეფანში რომ ჩამოირბინა და სადღაც გაიქცა თავის საქმეებზე.

დამფრთხალმა გლობუსმა თვალები დახუჭა და მხოლოდ ერთი წუთის შემდეგ აახილა.

— ოჰ! — თავისუფლად ამოისუნთქა გლობუსმა. — ღვთის გულისათვის, ასე ნუ აცემინებთ, თორემ ყველას დააფეთებთ! ცარცს რომ გაღვიძებოდა, სირცხვილით მიწა გამისკდებოდა. ღმერთმანი, უმსგავსოდ ვიქცევით. სანამ არ დაგვიანებულა, ხომ არ გამოვუტყუდეთ? იმასაც ხომ არ შევთავაზოთ, ა?

— აბა, რას ამბობ! — გადაჭრით იუარა ჩვარმა. — აბა, რას ამბობ! რაღაც აღარ მინდა, ცარცის ნათესავებს ვესტუმრო. აქ ხვლიკები შეგდგებიან ფეხით, იქ გამოქვაბული ნესტით დაგალბობს. სულ იმის შიში გაქვს, სადაც არის ჭერი თავზე დამენგრევაო. არა, მე ნამდვილი მოგზაურობა მინდა! ლურჯი აბრეშუმივით ხასხასა ზღვა, შიგ ტროპიკული კუნძულები, პალმები. ათასი ჯურის თუთიყუში... ერთი სიტყვით, როგორც წესი და რიგია. ბალღობიდან ოცნებადა მაქვს გადაქცეული ასეთი მოგზაურობა.



— ოჰო-ჰო! მაშინ მე, ძველმა გეოგრაფმა რაღა უნდა ვინატრო?!

სამარცხვინოა, მაგრამ უნდა გამოვტყდე, ჩემს დღეში ერთხელაც არ
მიმოგზაურია, ცარცმა რომ დიდებული მოგზაურობა მოგვიწყო, ი
პირველი იყო! ბედის დაცინვა არ არის, მთელი დედამიწის ბურთ
ხელთ გქონდეს და მაინც ოთხკედელშუა იყო გამოკეტილი! კმა
რა! ახლა ჩვენც ვიცით როგორ უნდა გადაილახოს შორეული მოგ
ზაურობის კარიბჭე! აი, ერთ დამოუკიდებელ გეოგრაფიულ ექსპე
დიციას მოვაწყობ, მე თვითონ ჩავუდგები სათავეში და მერე სა
დარდებელი აღარაფერი მექნება, მშვიდად მოვკვდები.

— კეთილი, მაგრამ მაინც საით აპირებ გამგზავრებას, აღა
ტყვი?

— ჩემო ძვირფასო, ერთი ეს მითხარით, ატოლი რა არის თ
ი ცით?

— აბა, საიდან მეცოდინება?! სულ უმცროს კლასებში ვესწრე
ბი გაკვეთილებს...

— ო, ეს საოცარი მოვლენაა! თქვენი თვალითა ნახავთ.

— პალმები ხომ იქნება?

— უამრავი! ოკეანის მოქცევაც იქნება, ფრინველთა გალობა
თავზე სამხრეთის ჯვრის თანავარსკვლავედი დაგვადგება. თუმცა
რა აზრი აქვს იმის მოყოლას, რასაც მალე საკუთარი თვალით ნ
ხავთ. ახლა კი დავიძინოთ, დეიდა ჩვარო.

კლასში სამარისებური სიჩუმე გამეფდა. ამ მყუდროებას დრო
დადრო მანქანის ხმაური, ან ძალიან სუსტი ფშვინვა (ფშვინვ
იმდენად სუსტი იყო, მეგობარო, ძალიანაც რომ მოგეწადინებინ
მაინც ვერ გაარჩევდი) თუ დაარღვევდა. დრო გადიოდა. მალ
ძრავების გუგუნს ბეღურების ჟივილ-ხივილიც შეუერთდა, ქუჩა
ში ნაადრევი გამვლელების ფეხის ხმა გაისმა. მერე ქარმა ფოთ
ლები ააშრიალა, სადღაც რადიო ამღერდა, ვიღაცის ბავშვი ატირ
და; გადაღმა მაღაზიასთან კი რძის გრუხუნა ავზებს დაუწყე
გადმოტვირთვა. ერთი სიტყვით, ქალაქი იღვიძებდა. მხოლოდ სკო
ლაში იდგა ისევ სიწყნარე. თუმცა უჩემოდაც კარგად მოგეხსენე
ბათ, რომ სკოლაში ყოველთვის სიწყნარე სუფევს... არდადეგები
დროს!

უკაცრიელ საკლასო ოთახში მზის სხივების კვადრატებზე დაუ
ღალავად ცეკვავდა მტვერი, საათის ისრები კი დინჯად მიცოცავდ

ნენ წინ და უკვირდათ, რომ ყურადღებას აღარ აქცევდნენ და თავის დროზე სკოლის ზარს აღარ რეკდნენ.

ბოლოს მზემ ყველა სარკმლიდან ამოკრიფა თავისი სხივები, გაიზმორა და ვარდისფრად დაფერილი ღრუბლის საბანში შეგორდა. მძლავრი მეტოქის წასვლით გახარებული შუქფარები და ჭაღები ფანჯრებში მხიარულად აციმციმდნენ, თან ჭრელი კაბებით, ბროლის მძივებითა და მინის ქუდებით იწონებდნენ თავს. მალე ისინიც ჩაქრნენ. ღამისა თუ შეეშინდათ. ახლა მხოლოდ ფარნები, ხვალინდელი დღის ეს ნაცადი დარაჯებიღა, იცავდნენ ქალაქის ქუჩებს ღამის წყვდიადისაგან... ხოლო, როცა საათის გრძელმა ისარმა უკანასკნელად, ოცდამეოთხეჯერ გადაკვეთა ყველა ციფრი, საკლასო ოთახის მყუდროება გაბმულმა წრიპინმა დაარღვია, — ცარცს გაღვიძებოდა და ამთქნარებდა.

— ეი, ძილისგუდებო, თვალის გახელას აღარ აპირებთ! — დაიძახა ცარცმა და იისფერი ქუდი გაისწორა.

— ე-ეჰ! — აბუზღუნდა ბიძია გლობუსი და თავი მოიქექა.,— თქვენ რა გიჭირთ, წამოწვებით და გძინავთ! მე უნდა ვიკითხო, წუთისოფელი ცალ ფეხზე რომ უნდა გავატარო!

— ამ სისხამ დილას გაღვიძება რაღა უბედურებაა! — უკმაყოფილოდ ჩაილაპარაკა ჩვარმა და გაიზმორა. — მაგ გიჟმა ისევ არ მოიგონოს რამე „არაჩვეულებრივი მოგზაურობა“ და კისერი არ მოგვატეხინოს! მთვარის ამოსვლამდე მაინც მოგეცადათ.

ცარცი ზედ თაროს კიდეზე მიგორდა და დამცინავი სიმღერა წამოიწყო:

ვინ მოახდენს სასწაულს
მამაცების გარდა?!
დრო, დრო, შორეულ
გზებს გაეუყვეთ მარდად!

— ვერ მოგაჯობებ! — განაცხადა ჩვარმა და ფეხები რაფაზე ჩამოკიდა. — მე საკმარისად დავიტანჯე. დღეს უნდა დავისვენო. გამოსასვლელი დღე მაქვს.

— კეთილი! ბიძია გლობუსი რაღას გვეტყვის? — იკითხა ცარცმა.

— იცით, ახალგაზრდა რომ ვიყო, მაშინ...

— გასაგებია! ახლა ჩვენს პატივცემულ კალამს მოვუსმინოთ! — პასუხი არავინ გასცა.

— აჰა! გაბუტული ბრძანდება! არაფერია, ახლავე ამოვადგმევინებთ ენას.

ცარცმა ჩაახველა და განგებ ხმამაღლა წარმოთქვა:

— რაც არის არის, კალამს ქუდი უნდა დავუბრუნო. მხოლოდ, კეთილი ინებოს და ნუღა შემეკამათება!

არც ამჯერად გამოეხმაურა ვინმე.

— ო, გეყოფათ, თვალთმაქცობა! — წამოიძახა ცარცმა. — ხომ ვიცი, რომ უკვე გღვიძავთ! გამოდით და ქუდი გამომართვით.

— აბა, რასა ჰგავს თქვენი საქციელი, აქ მოდით! — ცარცს მხარი დაუჭირა გლობუსმა. — გაბუტვა როგორ იქნება!

— იქნება! — გამოაჯავრა კარს უკან ექომ.

— მართლაც და სად დაიკარგა? — მოთმინების ფიალა აევსო ჩვარს. — ეი, პატივცემულო!



— აბა, ერთი მერხებში შეიხედეთ! — დაიძახა ცარცმა. უცებ კუპრივით ღამეში ვიღაცის ყრუ, მობუყბუყე ხმა გაისმა.

— თავს ტყუილად ნუ იწუხებთ. კალამი აქ არ არის!

— ეს ვილაა? — დაიწრიპინა ჩვარმა. ბიძია გლობუსი კი მოულოდნელობისაგან გადაყირავდა და გრუხუნით გაგორდა კუთხეში.



— ვინა ხარ? — იკითხა ცარცმა.

— მე! — უპასუხა ვიღაცამ მასწავლებლის მაგიდიდან. — მე ვარ, სამელნე. აგრე როგორ შეგეშინდათ თქვენი უახლოესი ნათესავისა, ჰა? ხა-ხა-ხა!

— ნათესავისაო?! — გაუკვირდა ცარცს. — რომელ ნათესაობაზე მელაპარაკები?

— ეგ როგორ მოგივიდა, ძმაო! რამ დაგავიწყა მარმარილოსი რომ ვარ! — აბუყბუყდა ნაწყენი სამელნე.

— ეს როგორ მომივიდა! — ქუდზე ხელი დაიფარა ცარცმა. — უცებ რატომ ვერ ვიაზრე! ბოდიში, დაო. მეც ხომ...

— კარგი ერთი და! — უსაყვედურა სამელნემ. — ყველა კირქვა მოინახულე, ჩვენი მარმარილოს ოჯახი კი დაგავიწყდა, არა? მეც უნდა ვთქვა, ბიძაშვილი მყავს-მეთქი! რაც იყო, იყო! ისე არ გამომივიდეს, თითქოს საყვედურის სათქმელად გამოგელაპარაკე. ამ წყენას გულში არ ჩაკიხვევ. აი, თქვენს მეგობარს კი ცუდად მოექეცით. იქნება, თვალით ვეღარცა ნახოთ.

— როგორ თუ ვეღარა ვნახოთ? — ვერ გაიგო ცარცმა.

— როგორ და უბრალოდ. ისე აწყენინეთ, რომ ადგა და სადღაც

გადაიკარგა. თვითონ არ ასწავლე შენს მეგობრებს, როგორ უნდა სასწაულებრივი მოგზაურობის მოწყობა!

— რაო-ო?! — შეხტა ცარცი. — სასწაულისა იმას ხომ არაფერი გაეგება. დაილუპება საცოდავი!

— მეც მაგას არა ვჩივი! მთელი ღამე ტირილში გაატარა „ქუდი წავაგეო“ — მოთქვამდა. — უიმისოდ რიღას მაქნისი ვარო, ისეთი ქუდი მქონდა, მარმარილობას ცოტაღა უკლდაო“. მეც ავდექი და არ ვუთხარი: სუფთა მარმარილოსი უფრო ლამაზი იქნებოდა-მეთქი! ჩვეულებისამებრ, ჯერ შემედავა, მერე მკითხა: „შეიძლება, მარმარილოსაგან ახალი ქუდი გავიკეთოო?“ მარმარილოსაგან ქუდი კი არა, ყველაფერი კეთდება-მეთქი, — ვუთხარი. მახსოვს, ეს რომ გაიგო, აი, ამ თქვენს... თავდიდა ბიძია გლობუსს მიადგა.

— მა-ართალს ამბობს! — თავი დაუქნია ბიძია გლობუსმა. — მაგონდება. მძინარეს მომადგა კალამი, შემანჯღრია და რაღაცა მკითხა მარმარილოზე. ძილ-მღვიძარემ ვუპასუხე... დაიცა, რა ვუთხარი... ნეტა გამახსენა... — ბიძია გლობუსი დაფიქრდა, ჩრდილო ატლანტიკა შეიშმუხნა და ვერაფრით ვერ გაიხსენა, რა უთხრა კალამს.

— არა, — ღრმად ამოიოხრა მან. — ნამდვილად რაღაცა ვუთხარი.

— „არა“, „ნამდვილად“! — გაბრაზდა ცარცი. — შენს გამოფხიზლებას საშველი აღარ დაადგა! სწრაფად გაიხსენე, კალამი ყოველ წუთას შეიძლება ხიფათს გადაეყაროს.

— ჰო, გამახსენდა! — დაიჭრიალა გახარებულმა გლობუსმა. — გამახსენდა! მე ვუთხარი, ძველ ბერძნულად მარმარილოს „მარმაროსი“ ჰქვია და იმ კუნძულსაც, სადაც იმ ლამაზ ქვას ჭრიდნენ შესანიშნავი ბერძენი მოქანდაკეებისა და არქიტექტორებისათვის, „მარმარი“ დაარქვეს. ამ კუნძულის გამო, მთელ ზღვასაც მარმარილოს ზღვა უწოდეს-მეთქი. მერე...

— რა „მერე“, — აჩქარებდა ცარცი.

— მერე ვუთხარი, რომ მარმარილოს ზღვა შავი ზღვის მეზობლად მდებარეობს და კუნძულის ზუსტი კოორდინატები დავუსახელე. ამას რომ ვეუბნებოდი, ბურანში მყოფი ჩემს სიტყვებს ანგარიშს ვერ ვუწევდი...

— სწორედ ეგრე იყო! — ისევ აბუყბუყდა სამელნე. — თქვენმა კალამმა, როგორც კი შეიტყო, რაც უნდოდა, მაგიდაზე ჩარჩო დახატა, შიგ კუნძული ჩახატა იმ კო... კო-ო...

— კოორდინატებიანად, — უკარნახა ბიძია გლობუსმა, — ანუ გრძედისა და განედის დასახელებით.

— დიახ, დიახ! — განაგრძო სამელნემ. — მერე კალამი დახატულ კუნძულზე დაჯდა და ლოდინი დაიწყო. ჩარჩო ადრე იყო დახატული და ამიტომ კუნძულზე ადრე აორთქლდა. ჩარჩოს წაშლა და კალმის გაუჩინარება ერთი იყო. თვალსა და ხელს შუა გაქრა.

— ყველაფერი ნათელია! — წამოიძახა ცარცმა. — უჩვენოდ კალამს დაბრუნება არ უწერია. ახლავე გზას უნდა გავუდგეთ, იქნება კიდევ ეშველოს რამე!

ცარცმა დაფაზე სასწრაფოდ დახატა კლდოვანი, ბუჩქნარით



დაფარული კუნძული, რომლის ციცაბო სანაპიროს ტალღები ღმუილით ეხეთქებოდნენ.

— წაშალე! — შეუძახა ცარცმა ჩვარს.

დაბნეული ჩვარი თავის საქმეს ეცა და რამდენიმე წუთის შემდეგ მაშველი ექსპედიცია კლდეში გაჭრილ, მზით გაფიცხებულ კუნძულს მიუყვებოდა... აქა-იქ, მზით გაბრწყინებულ ბორცვებს შორის, ზღვის ლაჟვარდოვანი ზედაპირი მოჩანდა. ზევიდან ვენახი ეშვებოდა ტერასებად, ქვევით კი ზეთისხილის მწვანე ტევრი მოჩანდა. უფრო ქვევით, პატარა ყურეს ნაპირზე, მეთევზეთა ბანიანი ქოხები და ქვისაგან სადად ნაგები, დაბალი სახლები იდგა.

— რა ვიცი, ახლა სად უნდა მოვძებნო ის ბუტია! — წუხდა ცარცი.

ჩვარი და გლობუსი უხმოდ მისდევდნენ.

უცებ მოგზაურებს თვალწინ დიდი მოედანი გადაეშალათ. მოედნის შუაგულში დაბალი, მაგრამ საოცარი სილამაზის შენობა იყო აღმართული. თვრამეტ აშოლტილ, თოვლივით ქათქათა სვეტს უნაგირა სახურავი ეყრდნობოდა. შესავალი კარის თავზე, ფართო, სამკუთხა ფარ-ფრონტონზე ქვისგან დიდის ოსტატობით გამოეკვეთათ ცხენისტანიანი ადამიანები და სატევრიანი მებრძოლები.

ფართო კიბის პირდაპირ ძლიერი, წვეროსანი მოხუცის ქანდაკება იყო აღმართული, რომელსაც ხელში სამკაპი ეჭირა. მის ფერხთით ქვისგან გამოთლილი დელფინი იწვა. კიბის საფეხურზე თუჯის სამფეხა იდგა თასით. თასიდან სურნელოვანი კვამლი ამოდიოდა.

— ეს ზღვის ძველბერძნული ღმერთის პოსეიდონის ტაძარია, — განუმარტა ცარცმა თავის თანამგზავრებს, რომლებიც პირდაღებული მისჩერებოდნენ თვალწარმტაც შენობას. — ნუ დაგავიწყდებათ, მთლიანად მარმარილოსაგან არის ნაგები.

ამ დროს ტაძრიდან ჭაღარა მოხუცი გამოვიდა. სიარულისას კვერთხს ეყრდნობოდა. თოვლივით ქათქათა, მხარეზე ბრინჯაოს ბალთით დამაგრებული და თავისუფლად ჩამოშვებული, სადა ხალათი ეცვა. თმა ვერცხლის რკალით ჰქონდა დამაგრებული...

— ისღა გვაკლია ახლა ძველ ბერძნებს ჩავუცვივდეთ ხელში! — ჩაიბუზღუნა ცარცმა. — ძალიან არ გაუკვირდებოდათ თქვენი დანახვა, ბიძია გლობუსო! ჩვენ ხომ ორი ათას ხუთასი წლით მაინც

გადმოვინაცვლეთ წარსულში. იმდროინდელმა ადამიანებმა ქაღალდი კი არა, ისიც არ იცოდნენ, რომ დედამიწა მრგვალია. მაგრამ ხუმრობა იქით იყოს და ჩვენ გვერდი უნდა ავუაროთ ამ ტაძარს.

ნახევარი საათის მანძილზე ეკლიან ჯაგებში ფორთხვის შემდეგ მოგზაურებს ხმაური შემოესმათ. ვიღაცა რკინას სცემდა ქვაზე. მეგობრები ფეხაკრეფით, ფრთხილად წავიდნენ იქით, საიდანაც ეს ხმა ესმოდათ და უცებ არც თუ ისე მაღალ ხრამს წაადგნენ. თვალწინ გადაშლილმა სურათმა მოგზაურები ძალზე გააკვირვა; ადგილზე გაიტრუნენ. შორიახლოს, ქვევით, კიბესავით საფეხურებად დაწყობილი თოვლივით თეთრი ქვაბულის ფერდობზე თითქმის დედიშობილა კაცები მუშაობდნენ. კისერზე სპილენძის საყელურები ებათ. ხორბლისფერ, ყავისფერ და თითქმის შავ სხეულზე, რომელიც ოფლისაგან ულაპლაპებდათ, ნაიარევები აჩნდათ. ეს ადამიანები ერთმანეთს არ ჰგავდნენ. ერთნი თუ ახოვანები იყვნენ და თმაც ქერა ჰქონდათ, სხვები ჯმუხნი, ბრტყელსახიანები იყვნენ. ზოგს შავი ხუჭუჭა წვერი უმშვენებდა სახეს...

მუშებს შორის თეთრ, მოკლე ტანსაცმელში გამოწყობილი რამდენიმე კაცი დადიოდა. მათ წელზე მოკლე სატევრები ერტყათ და ხელში მათრახებს ათამაშებდნენ. ცოტა მოშორებით, ბებერი წაბლის ჩრდილში სამი ჯარისკაცი ზარს თამაშობდა. მრგვალი ფარები და სახანძრო მუზარადის მსგავსი ბრინჯაოს ჩაფხუტები გვერდით დაეწყოთ. მებრძოლებს ტანზე სპილენძის ფირფიტებით მოჭედილი ტყავის სამკერდულები და სასაცილო თეთრი ქვედატანები ეცვათ.

უცებ კლდოვან საფეხურზე მომუშავე ერთ-ერთმა მუშამ გვერდზე გადადო ურო და იმ ბუჩქისაკენ წავიდა, რომელსაც ჩვენი მოგზაურები იყვნენ ამოფარებული. ბუჩქიდან რამდენიმე ნაბიჯზე შეჩერდა და მაღალი კოკა მოიყუდა.

— საყელურს დააკვირდით! — გადაუჩურჩულა ცარცმა ამხანაგებს. — ზედ აწერია: „დამიჭირეთ, გაქცევას ვაპირებ“.

— რატომ უნდა დაიჭირონ? ვითომ ახლა ეგენი დამალობანას თამაშობენ? — ვერაფერი გაიგო ჩვარმა. — იქნებ ამ საყელურს სამკაულად ხმარობენ.

— კარგი სამკაულია, მე და ჩემმა მზემ! — აიბურძგლა ცარცი.

— მაგაზე საშინელი მგონი არაფერი გამიგია. ეს საყელური ადამიანებმა სამუდამოდ, სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე უნდა ატარონ. ესენი ხომ მონები არიან! ბიჭი ხარ და გაქცევა ან დამალვა სცადე, როცა კისერზე განცხადება გკიდია, მე ადამიანი კი არა ვარ, არამედ მხოლოდ შრომის ცოცხალ იარაღს წარმოვადგენო!.. დიახ, დიახ, სწორედ რომ შრომის იარაღს, — გაუმეორა ცარცმა განცვიფრებულ თანამგზავრებს. — გინდა იყიდი, გინდა გაყიდი. ეს შრომის იარაღი ხშირად მძიმე შრომას ვეღარ უძლებს და მწყობრიდან გამოდის. მონათმფლობელისათვის მონის სიკვდილი მაინცდამაინც დიდ ზარალს არ წარმოადგენს, — ძალზე იაფი უჯდება ეს ცოცხალი მანქანები... ცოტაოდენი საჭმელი, ქვეშ დასაგები თიყო და კეტი, ეს არის და ეს!.. ეს ადამიანები და ათიათასობით მათი მსგავსი უბედური ბერძენმა მხედართმთავრებმა სისხლიან ლაშქრობათა დროს დაატყვევეს და საბერძნეთში წამოასხეს. რად უნდოდათ? აი, რად უნდოდათ: ძველ დროს სახელმწიფოს უმთავრეს სიმდიდრეს სწორედ მონები შეადგენდნენ. ქვეყანას რაც მეტი მონა ჰყავდა, მით უფრო ძლიერი იყო. სწორედ მათი ხელებით შენღებოდა მიუვალი ციხე-სიმაგრეები, ქალაქები, სასახლეები; იმათ გაჰყავდათ გზები, მიწასაც ისინი ხნავდნენ. თუ ვინმე ურჩობას გაბედავდა, მკაცრად სჯიდნენ პატრონები.

ამ დროს მონამ, წყლის დასალევად რომ განაპირდა, შიშით მიმოიხედა, მერე კოკა ასწია და მზით დამწვარ ზურგზე წყალი გადაისხა. კლდის ლოდს ამოფარებული თეთრტანსაცმლიანი კაცი დინჯად მიუახლოვდა და ზანტად აღმართა მსხვილი მათრახი... ყავისფერ კანს თეთრი ზოლი დააჩნდა. თეთრხალათიანს ხმა არ ამოუღია, მათრახი აკეცა და ისევ აუჩქარებლად გაბრუნდა.

— სა-ა-აშინელებაა! — დაიჭრიალა ბიძია გლობუსმა.

— მოდი და ნუ წაშლი ამ საზიზღრობას! — დაიჩურჩულა ბრაზისაგან აცახცახებულმა ჩვარმა. — მიმიშვით რა, ერთ წუთში გავაქრ...

— წარსულის წაშლა შეუძლებელია! — თავი გააქნია ცარცმა. — რაც იყო იმასთან ვეღარაფერს გააწყობ.

— გავეცალოთ აქაურობას! — ჩაიბუტბუტა ბიძია გლობუსმა და თავზე ხელები შემოიჭდო. — წავიდეთ!



— კალამს რას უპირებთ? — უსაყვედურა ცარცმა. — დასაკარგავად გაიმეტეთ?

— აბა, ამ ლოდებში იმის პოვნა არ გინდა?! — უიმედოდ ჩაიქნია ხელი ჩვარმა. — თანაც ვინ იცის, აქ არის თუ არა?

— აქ უნდა იყოს! სწორედ ამ ზღვაში და ამ კუნძულზე გამოემგზავრა კალამი, დროც ემთხვევა.

...მგზავრები დადუმდნენ. თაკარა მზით გავარვარებულ ქვაბულში უროს ცემის ხმა ისმოდა მხოლოდ.

— მონას „ქვისსამტეხლოს“ გაგონებაზე შიშისაგან ფერი მისდიოდა, — განაგრძო ცარცმა. — აი, ამ მთებს რომ უყურებთ, მალე მოხდენილ სვეტებად და სარკესავით კრიალა ფილებად აქცევენ, ხომალდებს დაუდებენ და დიდებული ტაძრების, თეატრების და სასახლეების ასაგებად საბერძნეთის ქალაქებსა და კოლონიებში წაიღებენ... საერთოდ, საბერძნეთში ძალიან ბევრგან ჭრიდნენ მარმარილოს. ყველას მაინც კუნძულ პაროსის მარმარილო სჯობდა. იქაურ თეთრ, ნაზ, რბილ მარმარილოს, რომელიც ისე ლაპლაპებდა, იტყოდი შუქს ასხივებსო, უპირატესად მოქანდაკეები ხმარობდნენ, და ძალზე ძვირად ფასობდა, იმიტომ რომ მარმარილოს თხელ ფენაში ჭირდა მოზრდილი ლოდის მოძებნა და მოჭრა; ამას გარდა, გადატანაც შორ მანძილზე უხდებოდათ ხომალდებით.

არანაკლებ სახელგანთქმული იყო პენტელიკონის მარმარილო, რომელსაც ქალაქ ათენის მახლობელ მთაზე ჭრიდნენ. ამ თეთრი ქვით ააშენეს სახელგანთქმული პართენონი, ათენის მფარველის, სიბრძნის ღმერთის ათენას ტაძარი, ოლიმპოს ზევსის ტაძარი და ხუროთმოძღვრების სხვა მრავალი დიდებული ძეგლი. დროთა განმავლობაში პენტელიკონის თეთრმა მარმარილომ ფერი იცვალა და მოწაბლისფრო-ოქროსფერი გახდა...

— მე რომ მკითხოს კაცმა, სულ არ ყოფილიყო ასეთი ქვა, ის აჯობებდა, — ჩაიბუზღუნა დეიდა ჩვარმა, — აბა დაფიქრდით, ქვეყნის ხალხი დაუტანჯავს ამ წყეულ ქვას!

— რას ამბობ! ქვას ტყუილადა სდებ ბრალს. ადამიანებს ისინი ტანჯავდნენ და აწვალებდნენ, ვინც სხვების შრომით ფუფუნებდნენ

და უსაქმოდ კლავდნენ დროს. მარმარილოს ქვას კი, პირიქით, ბედნიერ ქვას ეძახდნენ. ალბათ, იმიტომ, რომ ამ ქვისგან მრავალი ულამაზესი თვალისა და გულის გამხარებელი ნაგებობა თუ ქანდაკება არის შექმნილი. ძველ რომაელებს ასეთი ჩვეულება ჰქონდათ: თუ დღე ბედნიერად გაუთენდებოდათ ან დაუღამდებოდათ, თეთრი მარმარილოს ქვის ნატეხს ჩამოდებდნენ ხოლმე საამისოდ გათლილ თაროზე, მძიმე დღეებში კი შავ ქვებს აწყობდნენ. წლის ბოლოს დაგროვილ ქვებს გადაითვლიდნენ და გადატანილ მწუხარებას და სიხარულს იხსენებდნენ. არა! — დაასკვნა ცარცმა, რომელსაც პირში ბალახის ღერო ჩაედო და დაფიქრებული წიწკნიდა, — მარმარილო სიხარულის ქვაა. მე ვამაყობ, რომ ბიძაშვილად ვეკუთვნი მას.

მეშვიდე თავი

წინა თავის გაგრძელებაა. აქ შენ შეიტყობ, კიდევ რა შეემთხვა მაშველ ექსპედიციას, როგორ დაეხმარა მას პატარა შავი უცნობი, როგორ გაჩნდა დედამიწაზე მარმარილო და აგრეთვე, როგორ ხერხავს ქვასა და ფოლადს... ქვიშა.

იმ ბუჩქზე, რომლის ძირშიც სათვალთვალო პუნქტი ჰქონდა გამართული მაშველ ექსპედიციას, შაშვი შემოჯდა. მან მრგვალი თვალები შიშით მიაპყრო უცნაურ მოლურჯო სფეროს, მერე ფრთები მოიქექა, ხმა მოსინჯა და მჭახედ აჭახჭახდა. შაშვს დღემდე ასეთი ბურთი არსად ენახა და განცვიფრებული იყო. ნეტა ვინ დადებდაო ამხელა კვერცხს?

„ვინ? ვინ?“ — ჰკითხა თავის თავს შაშვმა და ქვედა ტოტზე ჩამოფრინდა. აქედან კი ჩინებულ, მშვენივრად გაწეწილ ჩვარს მოჰკრა თვალი.

„ესეც ასე! — გაიფიქრა შაშვმა. — ამ ჩვარს ძაფებს დავაძრობ და ისეთ მყუდრო ბუდეს გავიმართავ, კუნძულზე სანთლით რომ ეძებონ, მის ბადალს ვერ იპოვნიან“.

ის იყო შაშვი ზურგში ჩანისკარტებას უპირებდა ჩვარს, რომ ამ დროს გრუხუნით მოსჯდა მარმარილოს მოჭრილი ლოდი. შაშვი დაფრთხა, ხოლო მტვერში ამოგანგლული ჩვენი მოგზაურები კარ-

გა ხანს ახველებდნენ და თვალებს იწმენდდნენ. დეიდა ჩვარმა მტვერი ჩამოიბერტყა:

— ეგ თქვენი ძმა ცოტა ფრთხილად ვერ დაგორდება?! ერთი მითხარით, გეთაყვა, თქვენ მთელი ქვეყნის ქვები მოგხვდებიან ძმად თუ ზოგიერთები? რა ვიცი, მარმარილოსი კი არაფერი გცხია და...

— ასეა თუ ისე, ნამდვილად ღვიძლ ძმად მეკუთვნის, — მიუგო ცარცმა. — საქმე ის არის, რომ ბავშვობისას მარმარილო ისეთივე იყო, როგორიც ნიჟარაქვა, მე და ჩვენი კირქვების ოჯახის სხვა წევრები. მოგეხსენებათ, დედამიწის ქერქი ყოველთვის მოძრაობს. აი, სწორედ ამ მოძრაობის წყალობით, რომელიც ათეულ თაობათა მანძილზეც კი თვალისთვის შეუმჩნეველია, დედამიწაზე, — უფრო სწორად დედამიწაში — წარმოიშვა მარმარილო. ზღვათა ფსკერები, რომელზედაც ნიჟარების უდიდესი დანალექები იდო, ზევით იწევდა, წყალი უკან იხევდა... დედამიწის წიაღის გოლიათური ძალა ახლად წარმოშობილ ხმელეთს ზევით ეწეოდა, ზნექავდა, ანაოჭებდა. ისიც სულ მაღლა-მაღლა მიიწევდა, აქაფებული მდინარეებით იხრაჭებოდა, და მთიან ქედებს წარმოქმნიდა.

— ე-ე, მეც ხელად არ დაგიჯეროთ! ერთი გამაგებინეთ, ქვა როგორ უნდა გაიღუნოს და დანაოჭდეს? ბიჭი ხარ და გაღუნე ერთი! — უნდობლად ჩამოართვა სიტყვა ცარცს დეიდა ჩვარმა.

ჩვარი მცირეოდენ შეცდომასაც ვერ იტანდა. რას იზამ, ასეთი იყო მისი ხვედრი — ძალიან ხშირად უხდებოდა დაფაზე შეცდომების წაშლა.

— ერთბაშად თუ მოიწადინე ქვის გაღუნვა, მართლაც შეუძლებელია! — დაიწყო ცარცმა. — მაგრამ თანდათანობით, ნელ-ნელა თუ სცდი, გაღუნავ კიდეც. ცხადია, მთების ამოზრდისას ქვა იმტვრეოდა და სკდებოდა, მაგრამ იხრებოდა კიდეც. ახლავე გაგაგებინებთ: აი, მაგალითად, ყინული ავიღოთ. იგი მაგარია, მყიფე, მსხვრევადი; მისი გაღუნვა თითქოს წარმოუდგენელია, მაგრამ აბა უთო დაადეთ! რამდენიმე დღის შემდეგ, უთო ისე ჩაჯდება ყინულში, იტყვი ჩაძირულაო. ამოღებას თუ სცდით, გაგიჭირდებათ. ამოგლეჯას თუ დაუპირებ, ყინული ნამსხვრევებად იქცევა. რა მოხდა? როგორ ჩაიძირა უთო მაგარ ყინულში? მცირე ნაბზარი მაინც

რატომ არ წარმოიშვა ყინულზე? უთოს გამოწევისთანავე ნამსხვრევებად რად იქცა ყინული? საქმე ის არის, რომ უთოს წონა დიდხანს, თანაბრად და თანდათანობით აწვებოდა ყინულს. ამის შედეგად მყიფე ყინული ფორმას იცვლიდა, იღუნებოდა. უთო ასევე დიდხანს, თანაბარი ძალით და თანდათანობით რომ ამოგეწიათ, ყინული თავის „ნადავლს“ დათმობდა და არ გატყდებოდა.

ასეთივე ცდის დაყენება შეიძლება მინაზე. მინის მილაკი ერთი ბოლოთი გირაგში რომ დავამაგროთ და მეორეზე საწონი დავკიდოთ, მილაკი თანდათანობით მოიხრება. იგივე მილაკის უცებ მოხრა რომ სცადოთ, უმალ გადატყდება. მინა ხომ ძალიან მყიფე და მაგარია, მაგრამ მაინც იხრება... ბიტუმი ხომ გინახავთ? აი, შავი, მაგარი ფისი რომ არის, გზების მოსაასფალტებლად რომ ხმარობენ! ბავშვები „კევს“ ეძახიან და სკოლაშიც ხშირად მიაქვთ ხოლმე.

— მინახავს, — თავი დაუქნია ჩვარმა.—დასერიან ხოლმე მერხს ან იატაკს და მერე თავი რომ დააკლა, ველარ გაასუფთავებ.

— ჰოდა, აი, ამ ფისის ნატეხს ჩაქუჩი რომ დაარტყა, წვეტიან, ბრტყვიალა ნატეხებად დაიმსხვრევა. მაგრამ, აბა, დახრილ ფიცარზე დადეთ! რამდენიმე დღის განმავლობაში ფისის ნატეხი ფორმას შეიცვლის და დიდ წვეთს დაემსგავსება, რომელიც ქვევით მიგორავს. დაემსგავსება კი არა ნამდვილად ასეა: მყარი ფისი ქვევით მიიწევს, ღვენთავს, მხოლოდ ძალიან ნელა. ხომ არა გგონიათ, დარბილდა და იმიტომ? სულაც არა. ჩაქუჩი რომ დაარტყათ, ისევ ნამსხვრევებად იქცევა.

აი, ქვასაც დაახლოებით იგივე ემართება.

ცხადია, ქვის ჯიშები უფრო მტკიცე და მაგარია, მაგრამ მათაც ახასიათებთ პლასტიურობა და ღუნვადობა. ყველაფერი იმაზეა დამოკიდებული, რა ძალით და როგორ დავუპირებთ გაღუნვას.

მაგრამ მოდით ისევ მარმარილოს დავუბრუნდეთ, — განაგრძობდა ცარცი. — კირქვა, რომელსაც დედამიწის შინაგანი ძალით ამოძრავებული უდიდესი სიმძიმის ქვის მასები აწვებოდა და ანაოჭებდა, დედამიწის გულში წარმოქმნილ სიმხურვალეშია გამომწვარი. წიაღიდან დედამიწის ნაბზარებში ქვის გავარვარებული ცომი, მაგმა, მოიკვლევდა გზას ზედაპირისაკენ.

ამ ჯოჯოხეთურ ღუმელში ყველაფერი იცვლებოდა. კირქვებიც იცვლიდნენ სახეს, ისინი ერთმანეთთან მტკიცედ დაკავშირებულ, უმცირესი კრისტალებისგან შემდგარ მყარ მასად გამოიწვნენ.

კირქვების მთლიანად დაკრისტალების შედეგად წარმოიშვა სუფთა მარმარილო, სწორედ ისეთი, როგორიც აგერ იქ მოჩანს, — ცარცმა ქვაბულისაკენ გაიშვირა ხელი. — მაგრამ თუ დაკრისტალების პროცესი შუა გზაზე შეწყდებოდა, მაშინ მარმარილოსებური კირქვა წარმოიშვებოდა. ისიც კარგი საშენი მასალაა, მაგრამ მარმარილოს ტოლს ვერ დაუდებს.

მართალია, მარმარილო ჩვენს ოჯახში სილამაზითაც ყველასა გვჯობია, მაგრამ თავს არასოდეს გასვლია. თავისი წარსულის ნიშნად ხშირად გამოაჩენს ხოლმე უძველესი ნიჟარების კვალს.

— კა-არგი, — დაეთანხმა გლობუსი, — მაგრამ თქვენ, კირქვები, უპირატესად თეთრი ან მოყვითალო ფერისა ხართ, მარმარილო კი ვარდისფერიც შემხვედრია, მუქი-რუხიც, ყავისფერიც და მომწვანოც...

— ...იისფერიც, მოწითალოც, ფერადი ძარღვებით დასერილიც, — სიტყვა ჩამოართვა ცარცმა. — უფრო მეტსაც გეტყვით: ყველაზე იშვიათი თეთრი მარმარილოა. ეს იმიტომ, რომ წარმოქმნისას მარმარილოს სხვა ნივთიერებებიც უერთდებოდნენ. მაგალითად, რკინა მარმარილოს წითლად აფერადებდა, მარგანეცი ყავისფრად ან რუხად; ქრომი მომწვანო ტონებს აძლევდა. შავი პორები, რომლებსაც ასე ხშირად ვხვდებით მარმარილოში, არც მეტი და არც ნაკლები ზღვის მცენარეთა ნარჩენებისაგან წარმოქმნილი ჩვეულებრივი ქვანახშირია. სწორედ ამავე მიზეზით, კირქვებიც ხშირად სხვადასხვა ფერად არის შეღებილი და თქვენ ცდებით, ბიძია გლობუსო, როცა ამბობთ, თითქოს ჩვენ უთუოდ ან თეთრები უნდა ვიყოთ ან ყვითლები.

— აი თურმე როგორი ძმა გყოლიათ, — მორიდებით ჩაილაპარაკა ჩვარმა და მზის შუქზე ალაპლაპებულ მარმარილოს გახედა. — ჩვენი კალამი კი უთუოდ ამასაც არ დაიჯერებდა, კამათს ატეხდა. — მერე ამოიოხრა: — კიდევ დიდხანს უნდა დავიხრუკოთ ამ სიცხეში? არა სჯობდა, ის უბედური გვეძებნა?

— არა, — თავი გააქნია ცარცმა, — იქ ადამიანები არიან! კარგად შოგეხსენებათ, რა დღეს დაგვაყრიან თუ შეგვამჩნიეს!

ზღვიდან გრილმა, მომლაშო ნიავმა დაუბერა და ბუჩქნარის გამხმარი ფოთლები ააშრიალა. ქვაბულში სიჩუმე ჩამოდგა. რკინას ზრიალი აღარ გაჰქონდა ქვაზე. თითიქმის ყველა ძონამ ურიები დაყარა და ახლახან მონგრეულ, ვეებერთელა ლოდზე გამობმულ ბაგირებს მოჰკიდა ხელი.

ბაგირის თვითეულ ბოლოს რამდენიმე კაცი ეწეოდა. მოგზაურებს გარკვევით ესმოდათ ქვისმთლელთა ქშენა და მათ ფეხქვეშ ხრეშის ჩხრიალი. ლოდს საგორავი მორები ჰქონდა დადებული, მაგრამ მაინც ძვრა ვერ უყვეს. მათრახის ენები ასისინდა ჰაერში. მონების მეთაურმა თვლა დაიწყო: „ერთი და, ორი და...“ სხვებიც აყვნენ, ერთად დაჭიმეს თოკები და ლოდი დაძრეს, ქვევით დააცურეს.

ამასობაში ერთი თეთრ სამოსში გამოწყობილი კაცი, — მონების ზედამხედველი თუ იყო, — მარმარილოს მაღალ შვერილთან მივიდა, ჯოხით გადაზომა და თეთრ ქვაზე ხაზი გაავლო.

— ახლა კი მე ვიცი, — წამოხტა ცარცი. — ოღონდ ამ კაცმა თან არ წაიღოს!

— რა? — ერთხმად იკითხეს გლობუსმა და ჩვარმა.

— ვერა ხედავთ, კაცი რაღაც შავით რომ ხაზავს? ნამდვილად ნახშირი უჭირავს ხელში. აქედან ფეხი არ მოიცვალოთ! — ცარცი თავქუდმოგლეჯილი დაგორდა ქვევით.

— თა-ავს წააგებს! — დაიჭრიალა ბიძია გლობუსმა.

— რა იცით, იქნებ გადარჩეს კიდეც, — უპასუხა ჩვარმა. — თეთრია, მომცრო ტანის, ნახეთ თუ შეამჩნიონ...

ამასობაში, ცარცი იმ შვერილთან ჩავიდა, რომელთანაც თეთრსამოსიანი ადამიანი იდგა და მარმარილოზე მოსაჭრელი ლოდი გაშოჰყავდა ნახშირით. ცარცი ქვებში ჩაჯდა და თვალისათვის შეუმჩნეველი გახდა.

მალე კაცი საქმეს მორჩა, რაღაც გადასძახა ხელქვეითებს და ოქაურობას მოშორდა.

დეიდა ჩვარმა და ბიძია გლობუსმა თვალები ხელით მოიჩრდი-

ლეს და ცარცს დაუწყეს ძებნა, მაგრამ თეთრი ქვების სამყაროში ვეღარ გაარჩიეს.

დრო ისე ნელა გადიოდა, იტყოდი, მონები რომ მიათრევენ, იმ მარმარილოს ლოდზე მეტად დამძიმებულაო.

უცებ, იქვე, ბალახში ფაჩუნი გაისმა.

— უჰ! — სული მოითქვა მაყვლის ბუჩქიდან მოულოდნელად გამომძვრალმა ცარცმა, მას პატარა ნახშირიც ახლდა. — აი, მეც მოვედი! გაიცანით, ჩემი კოლეგაა! მართალია, ის შავით თეთრზე წერს, მე კი თეთრით — შავზე, მაგრამ, რაც მთავარია, წერს! როგორც კი კაცმა ქვას ხაზვა დაუწყო, მაშინვე შვება ვიგრძენი: აი, კალამს ვინ მოგვაძებნინებს-მეთქი, გავიფიქრე. ნურაფრის შიშინუ გექნება, — მიუბრუნდა ცარცი კუთხეში მიყუჟულ ნახშირს. — ხელს არავინ დაგაკარებს. ესენი ჩემი მეგობრები არიან!

ნახშირი მაინც ფრთხილობდა, თვალებდაჭყეტილი მისჩერებოდა მაღალ გლობუსს და ხმას არ იღებდა.

— შენი დახმარება გვჭირდება, გესმის, დახმარება!

ნახშირმა თავისი მოკლე ფეხებით ადგილის ტკეპნა დაიწყო და ხმას არ იღებდა.

— აი, ხათაბალა თუ გინდა! — ამოიოხრა ცარცმა. — ჩვენი ენა ამას არ ეყურება, მე კიდევ ბერძნული მიჭირს.

ცარცმა კეფა მოიქექა, შუბლი შეიჭმუხნა და რამდენიმე სიტყვა ძლივს გაახერხა ბერძნულად.

ნახშირს ისე გაუკვირდა ეს ამბავი, რომ შეკუნტრუშდა და მაშინვე ალაპარაკდა.

ცარცი ნელა ლაპარაკობდა, ნახშირმა კი სეტყვასავით დააყარა სიტყვები. თანდათან ააწყვეს საუბარი, მაგრამ ცარცი გაუთვალისწინებელ დაბრკოლებას წააწყდა.

— ავტოკალამი, გესმის? ავტოკალამი! — უმეორებდა ნახშირს, — ავტომატური კალამი! „აუტომატოს“ უნდა იყოს თქვენებურად.

გაკვირვებული ნახშირი თვალებს აპარპალებდა და ვერაფერი გაეგო.

— აი, თავისით რომ წერს, „გრაფოს“, „გრაფო“, ერთი სიტყვით, წერს, — უხსნიდა ცარცი და თანამოსაუბრეს იმედით მისჩერებოდა დაფჩენილ პირში. — რა ვქნა, როგორ გავაგებინო! აი, „სტილოს“, არ გეყურება? კალამს თქვენებურად „სტილოსს“ არ ეძახიან?

— ა, სტილოს! — წამოიძახა გახარებულმა ნახშირმა და თავის კანტურს მოჰყვა.

პატარა ხანს შემდეგ ნახშირი კოტრიალით დაქანდა ქვევით, მოქანცული ცარცი კი მრავალძარღვას ჩრდილში წამოწვა.

— ეს რა შტერს გადავეყარე! — კმაყოფილებით გაიზმორა ცარცმა. — ძლივს არ შევასმინე ორიოდ სიტყვა!

— ჩამორჩენილია ვიღაცაა! — მხრები აიჩეჩა ჩვარმა. — ანდა რას ემართლები, ეგ ხომ ისევ ჩვენს ერამდე ცხოვრობს...

— რაო, რა გითხრა მაგ ნახშირმა? — გულმა არ მოუთმინა ბიძია გლობუსს. — კალმის გზა-კვალს ხომ არ მიგვასწავლის?

— მოთმინება იქონიეთ. ნახშირი შემპირდა, მივიკითხ-მოვიკითხავ და შეგატყობინებთო. როგორც კი „სტილოსი“ ვუსხენე, მაშინვე მიხვდა, რას ვეკითხებოდი, და მითხრა, სადღაც მოვკარი თვალიო!

— მაშ აქა ყოფილა! — ხელები გაშალა ჩვარმა. — ვაშა!

ლოდინში ზოზინით გადიოდა დრო. იმედმოცემული მოგზაურები თვალს არ აცილებდნენ ქვისსამტეხლოს.

ყელსაბამიანი ადამიანები ისევ შრომობდნენ. ისევ შემართეს წერაქვები და ურიები, ისევ ააზრიალა ქვები მძლავრმა დარტყმებმა, იქაურობა მტვერში გაეხვია. როგორც კი სადმე ნაბზარი გაჩნდებოდა, მონები თუჯის სოლებს ასობდნენ შიგ...ზოგჯერ სოლებად ხისგან გათლილ პალოებსაც იყენებდნენ. დროდადრო წყალს ასხამდნენ სოლებს.

— წყალი რაღად უნდათ? — იკითხა ჩვარმა.

— რა ძნელი მისახვედრი ეგ არის! — გამოეხმაურა ცარცი. — ხის სოლი წყლით იეღინთება და სიგანეში მატულობს, ერთი ორი ასეთი სოლი საგრძნობლად ზრდის ნაბზარს და ქვას ხეთქავს.

— ე-ე! ალბათ საათობით მოუწევთ ლოდინი, სანამ ხე და წყალი თავის საქმეს გააკეთებს. მომქანცველი იქნება ლოდინი!

— საათობით კი არა, დღეებიც ნუ გშურს! — შეუსწორა ცარცმა. — სამაგიეროდ, ასეთი ხერხით მარმარილოს მოჭრა გაცილებით ადვილია, ვიდრე წერაყინითა და მეტალის სოლებით. თუმცა, ზოგჯერ უფრო სწრაფად და ადვილადაც მოიპოვებენ მარმარილოს. უყურეთ! — ცარცმა მეგობრებს მძიმე ხერხი დაანახვა, რამდენიმე კაცი ძლივს რომ მოათრევდა.

გრძელი, თუჯისაგან გამოჭედილი ხერხი, ბოლოებზე, გარდიგარდმოდ დამაგრებული ვეება სახელურებით, გოჯის სიმსხო მაინც იქნებოდა.

— ამ ხერხით უფრო სწრაფად მზადდება მარმარილოს ლოდი. სამწუხაროდ, ქვა ხშირად ძნელი მისადგომია. ჯერ სოლებითა და წერაყინებით უხდებათ ხერხისთვის კბილის მოსაკიდებელი ადგილის შემზადება.

— დავიჯერო, თუჯი ქვას გახერხავს? — ეჭვით გააქნია თავი ბიძია გლობუსმა.

— მართალია, ამ ხერხსაცა აქვს თავისი ნაკლი, სწრაფად ჩლუნგდება. მაგრამ ქვისმთლელებმა კარგი დამხმარე მოუძებნეს. თუმცა, ყველაფერს ახლავე საკუთარი თვალით დაინახავთ.

მონები კლდოვან შვერილთან მივიდნენ და ქვას ხერხი მოარგეს. ორივე სახელურს ორ-ორი კაცი მოეჭიდა, ერთი კი, რომელსაც ხელში ქვიშით სავსე კალათი ეჭირა, ქვაზე ავიდა და იქ ჩაცუცქდა, სადაც ხერხის კბილები ქვას ედებოდა. მან მარმარილოს ნაბზარს ქვიშა მოაყარა და ნიშანი მისცა. ხერხმა გაიწ-გამოიწია. მონების მხრები ავიდა და ჩავიდა, ავიდა და ჩავიდა... ხერხის კბილებმა ხრჭიალი მოიღო მარმარილოზე. ზევით ასული მონა კი მუჭით აყრიდა ზედ ქვიშას.

რამდენიმე წუთში შეეტყო, რომ მარმარილო ნამდვილად იხერხებოდა; ხერხი სულ უფრო და უფრო ღრმად ჯდებოდა ქვაში.

— აი, ხედავთ! — გაიღიმა ცარცმა. — მშრომელი ადამიანი ოდი-



თგან საზრიანი იყო, იცოდა, მარტო თუჯის ხერხით ვერაფერს გახდებოდა, კბილებს ქვა დაუბლაგვებდა და ჩლუნგი ხერხი გინდა გქონია, გინდა არა — ჰოდა ქვისმთლელებმაც ქვიშა გამოიყენეს.

თუ არ ვცდები, მეგობარო, ახლა გაოცებული სახე უნდა გქონდეს. გეფიცები, ისიც ვიცი, თუ რა კითხვა გაწვალებს: „ქვიშა აქ რა მოსატანიაო, ამბობ, თვითონ დააჩლუნგებს ნებისმიერ ხერხს? ქვიშამ რა სამსახური უნდა გაუწიოს ქვისმჭრელებს?“ უწევს და თანაც ძალიან დიდ სამსახურს. ქვიშა ხომ თითქმის მთლიანად ერთი ციცქნა, ძალზე მტკიცე მინერალის — კვარცის კვნიწებისაგან შედგება. აი, სწორედ ეს კვნიწი ხერხავს მარმარილოს.

მაპატიე, პატარა მოგზაურებს რომ მოგწყვიტე, მაგრამ, სანამ ნახშირი მობრუნდება და ცარცსა და მის მეგობრებს კალმის ამბავს მიუტანს, ცოტაოდენს მოვასწრებთ. იმის თქმა მინდოდა, რომ ქვიშა დღემდე პატიოსნად ემსახურებოდა ქვისმთლელებს. ათასნაირი ქვის სახერხი მანქანა გამოიგონეს ადამიანებმა. ქვიშას კი მაინც ვერ შეელიენ. აი, მაგალითად, გვარლის ხერხი ავიღოთ: მბურღავები ქვას შუაში გაბურღავენ, მერე შიგ ფოლადის გვარლს გაუყრიან, ბოლოებს მტკიცედ შეკრავენ და წრეს მიიღებენ. სპეციალური მან-

ქანა ამ დიდ ყულფს აბრუნებს, თავისკენ ეწევა და ქვას ჭრის. გვარლს განუწყვეტლივ აყრიან ქვიშას. გრეხილ გვარლს ქვიშა მარმარილოს ჭრილში შეაქვს და სწრაფად ხეხავს ქვას.

ძველი დროის ოსტატების აღმოჩენას მათი შთამომავლები ხშირად უბრუნდებოდნენ და აი, ერთხელ ადამიანს ასეთი აზრი მოუვიდა თავში: იქნება ულითონოდაც შეიძლება ქვის ხერხვა, გაჭრა და ლესვა? ქვიშისაგან ან უფრო მკვრივი ნივთიერებისაგან ხომ არ შეიძლება მჭრელი ხელსაწყოს გაკეთება? გაჩნდა უამრავი სხვადასხვაგვარი ინსტრუმენტი, მათ „აბრაზული“ საჭრელები ეწოდებათ; სახელწოდება ლათინური სიტყვა „აბრაზიო“-საგან არის წარმომდგარი, რაც ნიშნავს „ვფხეკ“.. ამ ინსტრუმენტებს ძალზე მკვრივი მინერალების კაჟის, კვარცის, გრანიტის, კორუნდის და ასე გასინჯეთ, ალმასის ფხვნილისაგან ამზადებენ. უფრო ხშირად კი ხელსაწყოების მასალას ხელოვნურად ღებულობენ, 2000 გრადუსამდე გახურებულ საგანგებო ელექტროღუმელში კვარცისა და კოქსის ნარევის გამოწვით. ამ ნაერთს კარბორუნდი ჰქვია და სიმკვრივით ალმასსაც არ ჩამოუვარდება. მერე კარბორუნდის თუ სხვა მინერალის ფხვნილს საგანგებო წებოვან ნივთიერებას ურევენ და ამრიგად ღებულობენ საჭირო მოყვანილობის ხელოვნურ ქვას.

ასობით სხვადასხვა სახის სათრაშავი დაზგა სწორედ კარბორუნდისგან დამზადებული ინსტრუმენტით ამუშავებს უმკვრივეს მეტალებს.

კარბორუნდის დისკო, ცილინდრი თუ კონუსი თავბრუდამხვევი სისწრაფით ბრუნავს. მილიონობით უმცირესი ქვის საჭრისი მეტალს ეახუნება, ჭრის და თვალით უხილავ ბურბუშელას ისვრის. მართალია, ნაქლიბი არა ჩანს, მაგრამ საკმარისია, ერთი წუთით თვალი მოწყვიტოთ დაზგას და დასამუშავებელი დეტალი წახდება.

ქვიშისაგან დამზადებული იარაღი ყოველმხრივ კარგია, რაც მთავარია, არ ბლაგვდება. პირიქით, რაც მეტს ხმარობ, მით უფრო უკეთ ჭრის. როგორ ხდება ეს? კრისტალების უმცირესი კვნიწი, რისგანაც ინსტრუმენტის საჭრისია დამზადებული, იმდენად მაგარია, რომ თითქმის არა ცვდება. კვნიწები იმტვრევა, მაგრამ წატეხილი კრისტალი უფრო უკეთესად ჭრის.

არსებობს საგანგებოდ დამზადებული დისკოსებური ხერხი, რომლითაც მარმარილოს თუ გრანიტის ლოდს, თანაბარი ზომის ნა-

ჭრებად ხერხავენ. ამ ხერხის დისკოც კარბორუნდისაგან ან სხვა აბრაზივისგან მზადდება.

ასეთი ხელსაწყოების გამოგონება კი იმ ქვიშით დაიწყო, რომელსაც ადამიანი ხერხის პირს აყრიდა თავის დროზე.

მგონია, ლაპარაკი გაგვიგრძელდა, მეგობარო. თუ დროზე არ მიეხედეთ ჩვენს გმირებს, იქნება გამოგვრჩეს კიდეც იმათი მოგზაურობის რომელიმე ამბავი.

— ს-სუ! — თითი პირთან მიიტანა გლობუსმა და ამხანაგები გააფრთხილა. — მგონი, აქეთ ვიღაც მოიპარება.

მოგზაურებმა ყურები ცქვიტეს. ხრამში ჩაკიდებულ, გაშიშვლებულ ფესვებში ვიღაცა აფხაკურდა. მშრალი მიწა წვრილ ნაკადებად ჩაიქცა და შრიალი გაიღო.

ის იყო ჩვარს ამხანაგებისთვის უნდა ენიშნებინა, დაიმალეთო, მაგრამ ველარ მოასწრო, მის ფერხთით ბალახი გადაიწია და იქიდან გამოგორდა... ნახშირი. შავი სახე უბრწყინავდა, წამდაუწუმ თვალს უკრავდა მოგზაურებს და ანიშნებდა, გამომყევითო.

მეგობრებმა ერთმანეთს გადახედეს. ნახშირმა ეს შენიშნა, მიწაზე მიგდებულ ჩხირს დასწვდა და ხმელ ფოთოლზე წრიპინი დააწყებინა, ვითომ ვწერო.

— კალამზე გვეუბნება რაღაცას! — შვებით ამოისუნთქა ჩვარმა. — ეტყობა, მოუნახავს!

ნამდვილად ასე იყო.

მოგზაურები თავის შავ მეგზურს გაყვნენ, თან ბუჩქებსა და ქვებს ეფარებოდნენ. ნახშირმა მეგობრები მიხვეულ-მოხვეულ ბილიკებზე ატარა და ისე გაიყვანა ქვაბულის მეორე ნაპირზე, ბებერი ვერხვის ხესთან, რომლის ძირშიაც ქვის სატეხის უფროსი იჯდა. რის ვაი-ვაგლახით მთელი ჯგუფი ხრამს თავზე მოექცა, იქიდან გზა ციცაბოდ ეშვებოდა ვერხვისკენ. ნახშირმა ცარცს ანიშნა, მომიახლოვდიო, და რაღაც წასჩურჩულა, წამდაუწუმ „სტილოს“ იმეორებდა და ვერხვის ძირას მოკალათებულ კაცზე უთითებდა, რომელიც რაღაცას ანგარიშობდა. ცარცს სახე მოექუფრა.

— რაო, რა მინდაო? — ცნობისმოყვარეობამ წასძლია ჩვარს.

— აგერ, იმ კაცსა აქვსო კალამი!

— ეჰ! — მუხლები მოეკვეცა სასოწარკვეთილ გლობუსს. — კალმის საქმე გათავებულია!

— დაგვაცადეთ! ნახშირმა მირჩია, ქვას ამოეფარეთ და მანამდე იყავით განაბულები, სანამ ეს კაცი და მე ისევ მარმარილოს ლოდების გადასაზომად არ წავალთო... ქაღალდსა და კალამს ხის ძირში ტოვებს ხოლმეო. აი, ამ დროს თუ ვიხსნით კალამს.

— ვაითუ იმ თეთრად გამოწყობილმა ჩვენც ხელში ჩაგვიგდოს? — ცოტა არ იყოს შეშინდა ჩვარი.

— რა თქმა უნდა, სახიფათო საქმეს ვაპირებთ. — ცარცი ჩაფიქრდა. მერე მტკიცედ განაგრძო: — აი, რას გეტყვით. მოდი, მარტო ჩავალ! მე ვერ შემნიშნავს. ეჰ, ამ იისფერი ქუდის მოხდა მაინც შემეძლოს!

— მეც... მეც წამოვალ! — გადაჭრით განაცხადა ბიძია გლობუსმა.

— მაშინ არც ჩემი დარჩენა იქნება! — ამოიოხრა ჩვარმა. — რამე რომ მოხდეს, ამ ძველ ბერძენს ერთის ხელის მოსმით გავაქრობ!

— თუ მთლად გამოუვალ მდგომარეობაში არ ჩავცვივდით, ამას ნუ იზამ! — გააფრთხილა ცარცმა. — ნუ დაივიწყებ, რომ იმათთან ერთად ჩვენს კალამსაც მოსპობ, თანაც სამუდამოდ.

მგზავრებმა მადლობა მოახსენეს ნახშირს და ფრთხილად დაეშვნენ ქვაბულისკენ. მეგობრებმა უხიფათოდ ჩაიარეს ფლატე და ქვას ამოეფარნენ.

მზე შორს, ჰორიზონტზე გადაჭიმული ქედის მწვერვალებისკენ გადაიხარა და ქვაბულის თეთრ ფლატეებზე ჩრდილი ჩამოწვა, როცა თეთრწამოსასხამიანი კაცი წამოდგა, ნახშირი აიღო და მარმარილოს შვერილისკენ გაემართა. ცარცი მაშინვე ადგილს მოწყდა. მოხერხებულად ეფარებოდა გამხმარ ბალახს და ისე გარბოდა ხისკენ. ათიოდე მეტრიც არ ექნებოდა გავლილი, უცებ შენიშნა, გრძელი ჩრდილი ნელა უახლოვდებოდა. ცარცი ბალახებში გაწვა და სული განაბა: სახე რომ აიღო, დაინახა, თავს ერთ-ერთი დარაჯი წადგომოდა. ალბათ; იმის გაგება უნდოდა, ბალახში რა გაფაჩუნდაო. იდგა და დაძაბული პირდაპირ ცარცისკენ იყურებოდა.

მერე ერთი გულიანად დაამთქნარა, მწვანეზე ჩამოჯდა, ხეს მიეყრდნო და ბალახის ღეროს ღეჭვა დაუწყო.

დაფეთებულმა ცარცმა ისევ ქვისკენ მოკურცხლა, სადაც შიშისაგან თავზარდაცემული დეიდა ჩვარი და ბიძია გლობუსი ელოდებოდნენ.

ისევ მოლოდინის წუთები. დრო საშინელი ზოზინით გადიოდა.

— ქიმწმენდაში გენახოთ ჩემი თავი, თუ ცარცის ნათესაობისკენ როდისმე კიდევა ვქნა პირი! — ჩურჩულებდა ჩვარი და თან წვეტიან კენჭებს იძრობდა.

ცარცმა მხრებიღა აიჩეჩა.

— კიდევ კარგი, ამ დასაქცევ მარმარილოსგან მარტო წარსულში აშენებდნენ ბინებს! — არ ისვენებდა დეიდა ჩვარი.

— ვიცი, ძალიან გეწყინებათ, მაგრამ უნდა მოგახსენოთ, რომ ახლა გაცილებით მეტ მარმარილოს ჭრიან. რას იზამ, ადამიანებს ლამაზი ბინები და ქალაქები უყვართ. ულამაზეს შენობებს კი მარმარილოს პერანგი რომ არ ჩააცვან, არ იქნება... ნეტა იცოდეთ, რამდენნაირი მარმარილო მოახმარეს მოსკოვის უნივერსიტეტს, ლენინის გორაკებზე რომ არის გაშენებული! მეტროს მიწისქვეშა სასახლეებს ხომ ნულარ იკითხავთ! ამ მშენებლობებზე მარმარილო ურალიდანაც ჩამოიტანეს, შუა აზიიდანაც, კავკასიიდანაც და ალტაიდანაც.

ცარცს რაღაცა გაახსენდა და ისე ამოიოხრა, ლამის გული ამოაყოლა.

— ეჰ! ჩვენს სკოლაში რომ შეგვეძლოს ახლა დაბრუნება. იცით რას გაჩვენებდით? ელექტროსაცობებს! ისე როგორც დიდ სახლში, ჩვენთანაც მარმარილოს დაფაშია ჩახრახნილი. ახლა ელექტროსადგურს აღარ იკითხავთ! იქ თეთრი მარმარილოთი მოპირკეთებულ მთელ დარბაზებს ნახავდით, ასობით ხელსაწყოს, სხვადასხვა ფერ ნათურებს, გადამრთველებს... მარმარილო ხომ შესანიშნავი იზოლატორია. ტყავის ქარხნებში მარმარილოს ლილვებით ტკეცავენ საუკეთესო ხარისხის ტყავს; სასადილოებში ადამიანები მარმარილოს გლუვ მაგიდებს უსხედან, რომლებიც ადვილად ირეცხება. საოპერაციო ოთახებშიც მარმარილო ბრწყინავს, მაღაზიის ვიტრინებიც მარმარილოთია გამართული. იქ, სადაც განსაკუთრებით საჭიროა სისუფთავე, მარმარილო შეუდარებელი საშენი მასალაა.

— ჰე-ეშმარიტად უკვდავი ქვაა! — დაფიქრებით წარმოთქვა ბიძია გლობუსმა. — რამდენმა ათასწლეულმა განვლო, ადამიანს კი მარმარილო ისევ სჭირდება.

— ახლა უფრო მეტად სჭირდება, — გამოეხმაურა ცარცი. — ერთი კი უნდა ითქვას: ქალაქში მარმარილო სწრაფად ძველდება. ვთქვათ სასახლე ააშენეს. სვეტები, კედლები სარკესავით გააპრიალეს. იფიქრებ, საუკუნეების მანძილზე შეინარჩუნებს ამ სილამაზესო, მაგრამ გაივლის ათი თუ ოცი წელი და მარმარილო ბრწყინვალებას ჰკარგავს, ხუნდება, ხაოიანი ხდება. ეს წყლისა და გაზების ბრალია. წელიწადში ერთ მილიმეტრამდე მარმარილოს „ჭამენ“

ისინი. იქ კი, სადაც... — ცარცმა უცებ ხმა გაკმინდა, ტუჩებზე თი-თი მიიდო და თავი გაყო საფარიდან.

ხის მხრიდან, სადაც დარაჯს მოეკალათებინა, ხვრინვა ისმოდა.

— აბა, დროს დაკარგვა არ ივარგებს! — სწრაფად აცნობა ცარცმა მეგობრებს. — დარაჯს ჩაეძინა. ჩვარო, მომყევი! ბიძია გლობუსო, თქვენ აქაურობა დაზვერეთ, თუ ვინმე გამოჩნდა, გვა-ნიშნეთ... წავედით!

ცარცმა და ჩვარმა ფესვებში იძრომიალეს და რამდენიმე წუთში იმ ადგილზე მიხოხდნენ, სადაც წეღან უფროსი იჯდა და რაღაცას იწერდა. კალამი არსად ჩანდა. ხეს შემოუარეს, დარაჯის ფეხქვეშ გაძრომასაც არ დაუშინდნენ, ყველგან მოძებნეს, მაგრამ კალამი ვერსად ნახეს და გაკვირვებულნი მიაჩერდნენ ერთმანეთს: მათ წინ სპილენძის გასანთლული დაფა იდო, რომელზედაც რაღაც ასოები იყო დაფხაჭნილი.

— აი, თურმე რით წერდა! — დაიჩურჩულა გაოცებულმა ჩვარ-მა. — მე კი მეგონა, მელნით წერს-მეთქი...

— რიყის ქვა ვარ და მეტი არაფერი! — შუბლზე ხელი იტკიცა ცარცმა. — ეს როგორ მომივიდა!

— რა? — ვერაფერი გაიგო ჩვარმა.

— რა და როგორ ვერ მოვიფიქრე! აი, რომელ „კალამზე" მე-ლაპარაკებოდა ნახშირი! — და ცარცმა დაჭრელებულ ხის ჩხირზე მიუთითა, რომელიც სპილენძის დაფის გვერდით ეგდო. ჩხირს ერთი მხარე წამახვილებული ჰქონდა, მეორე კი პატარა ნიჩაბივით გაბრ-ტყელებული. — ეს სტილოსი ბერძნების ერთადერთი საწერი იარა-ღი იყო, — აუხსნა ჩვარს ხასიათწამხდარმა ცარცმა. — წამახვილე-ბული მხარით ასოები გამოჰყავდათ სანთელზე, მეორე — ბრტყელი მხარით კი შეცდომებს ტკეპნიდნენ. ნახშირს ეგონა ამ კალამზე ვე-კითხებოდი. მე ვუთხარი, რითაც წერენ, იმას ვეძებ-მეთქი, და იმან აქ მოგვიყვანა!

— მაშ ჩვენი კალამი რაღა იქნა, ჰა? — მთლად დაიბნა ჩვარი.

— ეს კი არც მე ვიცი. მგონია, აქ არ უნდა იყოს.

ამ დროს ქვაბულს გულისგამაწვრილებელმა, გაბმულმა ხმამ გადაუარა.

— გესმის? — ყური მიუგდო ცარცმა. — ეს სამუშაო დღის დამ-

თავრების ნიშანია. ადამიანები სოფლისკენ დაიძვრებიან. ჩვენც უნდა დავბრუნდეთ.

ბინდდებოდა, როცა ჩვარი და ცარცი ბიძია გლობუსთან მივიდნენ.

— წაშალე! — უხალისოდ უბრძანა ცარცმა ჩვარს. — თავს იქით ძალა არ არის.

რამდენიმე წუთის შემდეგ მოგზაურებმა საკლასო ოთახში ამოყვეს თავი. პირველი, ვინც იმათ დაინახეს, კალამი იყო... იდგა ფანჯრის რაფაზე, მინაში თავის თავის ცქერითა ტკბებოდა და ცარცის დატოვებულ ჩაჩს ისწორებდა...

— თქვენა?.. საიდან... როგორ... — ლამის თვალები გადმოკარკლა ცარცმა.

— აქ საიდან გაჩნდით? — ძლივს ამოთქვა დეიდა ჩვარმა.

— არსაიდანაც არ გავჩენილვარ! — არხეინად მიუგო კალამმა. — თქვენა ხართ ქვეყანა ფეხქვეშ რომ გაიგეთ, თორემ მე აქაც მშვენივრადა ვგრძნობ თავს.

— მაშ, თქვენ ფეხი არ გაგიდგამთ ამ ოთახიდან? — წარმოთქვა თავგზააბნეულმა ბიძია გლობუსმა.

— ცხადია, არა. უბრალოდ, ეს ძველი სამელნე შემოსწყრა ცარცს, ნათესაობაში რატომ გამომწყვიტეო. მეც ავდექი და ოინი ვასწავლე, ხომ კარგად გაგაცურეთ! მე და სამელნე კინაღამ სიცილით დავიხოცენით.



მერვე თავი,



რომელიც თავიდან არ იწყება, შუიდან გრძელდება, ხოლო სად და როგორ მთავრდება, ჯერ არავინ იცის. მოთხრობის ორი გმირი, იმდენად მძიმე გასაჭირში ვარდება, რომ ავტორი იძულებულია გულახდილად აღიაროს, თავადაც არ ვიცი, შეეძლებ თუ არა მათ გადარჩენასაო. კარგი იქნება თუ ამ თავში მოთხრობილი ამბავი ჭკუას გასწავლის და მიგახვედრებს, რომ წინდაუხედაობა და ზედმეტი თავდაჯერებულობა, ასე გასინჯეთ, ზღაპრულ მოგზაურობაშიც კი უბედურების მეტს ვერაფერს გნევთ.

— მგონია, წყალი მიქცევას აპირებს, ბიძაჩემო!

— მიქცევას კი არა, მოქცევას! რამეს მოეჭიდე! ისევ დაიძრა ტალღა!

მთასავით ატორტმანებული ზურმუხტისფერი ტალღების ჯარი ბუხუნითა და შხუილით მოქრის წყალმცენარეებით დაფარული ლოდებისაკენ. ადრე მოქცეულმა წყალმა ნაპირისკენ გამოქანებულ ზვირთს ადგილი მოუცალა, სველი ქვიშა გამოაჩინა. წყლის უზარმაზარი მასა ცისკენ ავარდა, მზის სხივებით განათებული ერთ წამს გაიყინა შემართული და, თითქოს ქვემეხები დაცალესო, ისეთი ხმით მიასკდა ნაპირს. თვალისდახამხამებაში ზღვა თეთრად აქაფდა ბრაგების გარშემო. მლაშე წყლის შხეფებში ათობით პატარა ცისარტყელა აციმციმდა.

— გა-ადარჩით?

— კინაღამ წამლეკა!..

— ცოტაც გაუძელით და მალე მიიქცევა...

— ეჰ, ბიძაჩემო, სულ მაგას გაიძახით მიიქცევა — მიიქცევაო, ზვირთები კი მატულობს და მატულობს. მოდი და გულზე ნუ გას-

კდები, — ორიოდ ნაბიჯზე ვართ კუნძულიდან, ჩიტუნების ეღურ-ტულიც გვეყურება, ჩვენ კი... ჰარიქა, ტალღა წამოვიდა!

მძლავრმა დარტყმამ ხელახლა შეაზანზარა ქვის ლოდები და ზე-აისროლა შხეფების შადრევანი.

— ეს ტალღა წინაზე სუსტი იყო. იქნება გვეშველოს და მართ-ლა მიიქცეს ზღვა?

— ვიცი, გამიწყრები, მაგრამ მაინც უნდა გამოგიტყდე; მგონი დროის განსაზღვრაში შევცდი... ახლა მიქცევა კი არა, მოქცევა იწყება.

ზღვა ისევ გუგუნით დაეტაკა ნაპირს, ათასტონიანმა წყლის მა-სამ ისევ შეარყია ქვები...

დეიდა ჩვარი ტალღამ კინაღამ გაიტაცა, სწორედ რომ ბედად მოასწრო, ბიძია გლობუსს ჩააფრინდა და ისევ ლოდზე აფორთხდა. კრიჭაშეკრულმა ერთ ხანს ხმა ვეღარ ამოიღო, მერე ტირილი აუტყდა.

— მორჩა, ჩვენი საქმე გათავებულია! — აქვითინდა ჩვარი. — ალარაფერი გვეშველება! ოთხივ მხრით ოკეანე გვარტყია. ძალიანაც რომ მოინდომონ, მაინც ვეღარ გადაგვარჩენენ. უბედურს რა შავ ქვად მინდოდა ეს მოგზაურობა? ჩემი დღენი ისე გავიარე, თვალით არ მინახავს არც პალმები და არც თუთიყუშები, ავად იყო თუ კარ-გად, ვცხოვრობდი. არ დავდექი და აჰა, ხომ გადავეყარე ჭირს. ნე-ტა, რა ეშმაკმა ჩამაგონა სამოგზაუროდ წამოსვლა.

ჩვარმა მწარედ ამოიკვნესა და მწუხარებისგან დადუმებულ გლობუსს მიადგა.

— სულ თქვენი ბრალია! — აკივლდა გაავებული ჩვარი, თავისი ხმით ტალღების ხმაურის დაფარვას ცდილობდა. — თქვენ წამაქე-ზეთ, ცხრა მთას იქით გადმომკარგეთ! ყურები გამომიჭედეთ, მარჯ-ნის კუნძულებს გაჩვენებო, პალმის შრიალსა და ტალღების ბუბუნს დამახარბეთ... აჰა, ახლა ხომ მოისვენეთ! დატკბით, თქვენი „ტალ-ღების ბუბუნით“! თქვენც გეოგრაფი ყოფილხართ, რა! კიდევ კარ-გი, ბრაგზე მოვხვდით, თორემ ჩვენი ხსენებაც აღარ იქნებოდა, ცოტაც და პირდაპირ წყალში, შუა ზღვაში მოვადენდით ზღართანს!

— ი-იცით, რა დამემართა, — ხმა ამოიღო ნირწამხდარმა გლო-ბუსმა, — ჩვენს საკლასო ოთახში ძალზე მცირე მასშტაბის რუკა

ჰკიდია. იმ რუკის მიხედვით ადგილის ზუსტად განსაზღვრა შეუძლებელია. აი, მეორედ რომ...

— ერთი ამას დამიხედეთ! ვერ მოგართვით, თუ აქედან ცოცხალი გავედი, თქვენთან ერთად ნაბიჯს აღარ გადავდგამ! საერთოდ, უცარცოდ... — ჩვარმა ღრმად ამოიოხრა, გაჩუმდა და ბრაგებსა და ნაპირს შორის მოქცეულ სივრცეს გახედა.

— რაღაც უნდა ვიღონოთ! — ძველი გეოგრაფი მხარზე შეეხო ჩვარს. — გადაწყვიტეთ! ნამდვილი მოქცევა ჯერ არ დაწყებულა. დრო კიდევა გვაქვს.

ჩვარი ხმას არ იღებს, ლოდის ქიმზე წყალი რომ ირწევა, იმას მისჩერებია. წყალი თვალდათვალ მატულობს.

ბიძია გლობუსიც ბრაგის ნაპირზე მიჩოჩდა და ქვევით გადაიხედა. ბრაგის კიდესთან ციცაბო კედელი იწყება. კედელზე რუხი წყალმცენარეები ირწევიან. წყალქვეშა ლოდის შვერილზე რაღაცა მაგარი ტოტები იზრდება. ტოტებში ლურჯი, ყვითელი და წითელი ჭიჭყინები დასრიალებენ. მახვილი კბილებით დროდადრო ხარბად წიწკნიან ტოტის ყლორტებს; ყლორტები რატომღაც იმსხვრევა, იფშვნება და ამოტივტივების ნაცვლად, ფსკერზე იძირება.

— ვერაფერი გამიგია! — გაიკვირვა ბებერმა გეოგრაფმა.

თევზები, თითქოს ვიღაცამ დააფრთხო, თვალის დახამხამებაში გაუჩინარდნენ. ბიძია გლობუსი მომწვანო წყალს ჩააშტერდა, ვერავის მოჰკრა თვალი. მერე უცებ ისეთი რამ დაინახა, რომ ჟრუანტელმა დაუარა სხეულში. ბიძია გლობუსს კლდის ნაბზარიდან დიდი, ყვითელი, მოგრძო, შავგუგიანი თვალი მისჩერებოდა. უცებ ვერ მიხვდა, ვინ უთვალთვალებდა, მოეჩვენა, რომ თვით წყალქვეშა კლდე მიშტერებოდა ავი თვალით.

აი, ნაპრალიდან ნელა დაიძრა მაწოვარებიანი წვრილი საცეცი; იკლაკნება, იწელება, პირველს მეორე მოჰყვა, მეორეს მესამე. კედელს რაღაცა მახინჯი, გალიპული ტომრის მსგავსი სხეული მოსცილდა.

— რვაფეხა! — შესძახა თავზარდაცემულმა ბიძია გლობუსმა და უკან გადახტა.

შიშითა და ზიზღით აცახცახებულმა ჩვარმა სწრაფად აინაცვლა ზევით.

— ეს რა უმსგავსი ციღაცა ყოფილა! — აბუზღუნდა ჩვარი. — უყურეთ, როგორ გაფარჩხა საცეცები! ეტყობა ერთი სული აქვს, გვიცდის, ფეხს როდის ჩავდგამთ წყალში. იმას როდი დაგიდევთ, საშმელად რომ არ ვვარგივართ, თვალისდახამხამებაში გადაგვსანსლავს!

დეიდა ჩვარი ისევ აწუწუნდა:

— სახლში დაბრუნება მინდა-ა! სკოლაში წამიყვანეთ, დაფაზე დამსვი-ით...

— „დაფაზე... დაფაზე... დაფაზე...“ — ავტომატურად იმეორებდა ბიძია გლობუსი, — „დაფაზე“... — მერე უცებ შეხტა და დაიძახა: — გვეშველა! ეს როგორ-ღა გადაგვავიწყდა?!

— რა? — ვერაფერი გაიგო ჩვარმა.

— რა და თქვენი ჯადოსნური კალთა. რომელსაც ყველაფრის წაშლა შეუძლია. ყველაფრის! რვაფეხასიც, ოკეანისაც და კუნძულისაც, — ყველაფრის!

ამასობაში სადღაც ოკეანის უსაზღვრო სივრცეში გაჩენილმა ტალღამ, მწვანე მხრები გამართა და ზანტად, თითქოს ეზარება კიდეცო, ნაპირისაკენ გამოგორდა. იგი წუთით იზრდებოდა და

ხვლას უმატებდა... ტალღას გზაზე თავთხელი ადგილი დახვდა, ამან გაახელა; აიჯაგრა, ყალყზე შედგა, ცის კიდურს გამჭვირვალე ფაფარი გადააფარა და მთელი ძალით შეასკდა კლდეს. გამწარებულ ოკეანეს ყრუ გმინვა ამოხდა, გუგუნმა გადაუარა ზღვის შეტორტმანებულ ქვეშეთს.

როცა ოკეანემ წყალი უკან წაიღო და კლდე გამოაჩინა, ლოდზე ალარავინ იდგა.

* * *

ქარისგან შექანებული ფარნის შუქი ხან ჭერს ეცემოდა, ხან ჩამოკიდებულ გეოგრაფიულ რუკას, ხან კიდევ დაფას, რომლის რაფაზეც შეშფოთებული ცარცი ბოლთას სცემდა.

— ნეტავი, ვიცოდე, სად დაიკარგნენ? — გაისმა კალმის ხმა.

— გუშინ რომ ოინი გვიყავი, დალაპარაკებაც არ მინდა შენთან! — გაეპასუხა ცარცი.

— კი, მაგრამ, ამჟამად საქმე მე როდი მეხება. შეუშვით თავში: ჩვარი და გლობუსი ნამდვილად დაიკარგნენ.

— გინდათ, რომ ისევ ოინი მომიწყოთ, არა?

— პატიოსნებას გეფიცებით!

— დიდი ამბავი — პატიოსნებას მეფიცება! მე თქვენი არა შჯერა!

— მაშინ თვითონ დაათვალიერეთ! თუმცა, გეუბნებით, აქ არ არიან. მთელი ოთახი გადავაქოთე. დღისით სხვა ოთახში ხომ არ გაიტანა დამლაგებელმა? — მორიდებულად იკითხა კალამმა.

— არდადეგების დროს ჩვარი და გლობუსი ვის რად უნდოდა? — მხრები აიჩეჩა ცარცმა.

— სამელნესაც ვკითხე, კარსაც და მერხებსაც; მათი ასავალ-დასავალი არავინ იცის.

— კარადას თუ ჰკითხეთ?

— არც კარადამ იცის რამე.

— მაშინ ისინი ან სხვა ოთახში იქნებიან, ან და... — ცარცმა აზრი ალარ დაამთავრა, სწრაფად დაიწყო დაფიდან ჩამოსვლა:

— ხატვა რომ არც ერთმა არ იცის?

— სამაგიეროდ, წაშლა იცის ჩვარმა და ეს შეიძლება სავსებით საკმარისი აღმოჩნდეს!

— საკმარისი? არაფერი მესმის!

— მერე გაიგებ! ახლა კი დაუყოვნებლივ უნდა გავჩხრიკოთ სკოლა.

ცარცმა კართან მიირბინა, ქვედა ღრიჭოში გაძვრომა სცადა, მაგრამ ვერ გაეტია.

— თქვენ მოგიწევთ აქ გაძვრომა, ჩემზე თხელი ხართ! — სხაპასხუპით მიაძახა კალამს. — დერეფანში გადით და ყველა კლასი და კაბინეტი ჩამოიარეთ!

— ღირს კი? — შეიშმუშნა კალამი.

მან წარმოიდგინა, როგორ უნდა ჩამოევლო ბნელით მოცული, უკაცრიელი დერეფანი, ყველა კაბინეტი, კლასი. შიშმა წაახდინა.

— ღირს-მეთქი? — გაიმეორა კითხვა კალამმა. — თანაც, მე ხომ ჯერ ერთხელაც არ გავსულვარ ამ კლასიდან. ჩანთით მომიყვანეს. გზები არ ვიცი. ამასთან, თუ ბიძია გლობუსი და დეიდა ჩვარი სკოლაში არიან, რაღა დახმარება უნდათ.

— სკოლაში რომ არ იყვნენ? ვაითუ ისინი... ტყუილად ნუღარ აყოვნებთ! რა იცით, რომ სადღაც, ძალიან შორს, მათ სიკვდილი არ ემუქრებათ?

— თქვენც ერთი! რა საფრთხეც არ უნდა იყოს, ჩვარი ხელს გაიქნევს და გათავდა — უცებ წაშლის ყველაფერს.

— იქნება, ჩვარმა ვერ შენიშნოს საფრთხე, ან ვერ მოასწროს!

— ორნი არიან. ნურაფრის დარდი ნუ გაქვთ. დავუცადოთ.

— მხდალივით იქცევით. მაშ, არ გაძვრებით?

— აკი გითხარით...

— კეთილი! რადაც არ უნდა დამიჯდეს, მე მაინც გავჩხრეკ სკოლას. უთქვენოდაც გავიტანთ თავს. — ცარცმა ზურგი შეაქცია კალამს და კარადისკენ გაემართა.

კარადასთან რომ მივიდა, კედელს ზევით ააყოლა თვალი და რატომღაც მერხზე ავიდა.

— რას სჩადიხართ, თავი ხომ არ მოგძულებიათ? — შეჰყვირა განცვიფრებულმა კალამმა, როცა დაინახა, რომ ცარცი ელექტროგაყვანილობას მოეჭიდა და ზევით აცოცება დაიწყო.

პასუხი ვერ მიიღო.

ელექტროგაყვანილობა ზედ კარადის კიდესთან გადიოდა. რამდენიმე წუთის შემდეგ ცარცი კარადის ბრტყელ სახურავზე მოექცა.

— აკი გითხარით, მანდ არავინ არის-მეთქი, — ასძახა კალამმა.

ცარცმა არც ახლა აღირსა პასუხი.

კალამს, ცოტა არ იყოს, შერცხვა... ცარცის წინაშე ბოდიშის მოხდაც კი დააპირა, უნდოდა ეთქვა, ამხანაგების ბედი მეც მაწუხებსო, მაგრამ ამაყმა ხასიათმა არ დაანება.

— მანდ რატომ ახვედით? — ისევ ასძახა კალამმა.

ცარცმა ხმა არ გასცა, სახურავის კიდესთან მივიდა, ქვევით რომ ჩაიხედა, ელდანაცემივით დაიხია უკან. სიბნელეში ზევიდან ძლივს შოჩანდა იატაკი, კარადის სახურავიდან სამი მეტრი მაინც იქნებოდა იატაკამდე. ქვევით, ზედ კარადის წინ, ფანჯრის ჩარჩოს ჩრდილი გაწოლილიყო.

„არ აღელდე! თავს უნდა მოერიო!“ — უბრძანა თავის თავს გუნებაში ცარცმა.

— ბოლოს და ბოლოს არ გამაგებინებთ, რა ხუშტურებმა მოგიარეს?

— უნდა დავპატარავდე, — დაცინვით წარმოთქვა ცარცმა და რამდენიმე ნაბიჯით უკან დაიხია გამოსაქანებლად. — ნეტა კი არ დავიფშვნებოდე და სხვას არას ვჩივი. ე, რაც მოხდება, მოხდეს!

ცარცის თავგანწირვით გაოგნებულმა კალამმა მისი შეჩერება მოინდომა, უნდოდა დაეყვირა, ოღონდ მაგას ნუ იზამ და წავალ დაკარგულების საძებრადო, მაგრამ ხმა ჩაუწყდა.

თითქოს წყალში გადახტომას აპირებსო, ცარცმა ჩაისუნთქა და დაითვალა:

— ერთი, ორი და...

— შ-შ-შ! — აშრიალდა რაღაც, — შ-შ-შ! შეჩ!.. შეჩ!..

თითქოს ვიღაცას უნდოდა დაეძახნა „შეჩერდითო“, მაგრამ სიტყვის დამთავრებას ვეღარ ახერხებდა.

ცარცმა ყური მიუგდო.

— შეჩ! შეჩ! — ისმოდა ვიღაცის აღელვებული ხმა. — მეორმოცე... მოცე... მოცე... სადგური! შეჩ!



— ვინა ხარ? — იკითხა ცარცმა და ბნელში საგნების გარჩევა სცადა.

— შ-შ-შ! ევროპა, აზია, ამერიკა, აფრიკა, ავსტრალია!

— ვერაფერი გავიგე!

— მგონი, რუკა უნდა იყოს! — ასძახა კალამმა ცარცს. — ჩქარა ჩამოდით. შეხედეთ, მთლად თახთახს აუტანია.

როცა ცარცი და კალამი კედელზე ჩამოკიდებულ ძველ გეოგრაფიულ რუკას მიუახლოვდნენ, ის ერთიანად ცახცახებდა. ცარცი და კალამი გაკვირვებული მისჩერებოდნენ კედელს.

რუკა ციებიანივით ძაგძაგებდა. გეგონებოდათ, მთელ დედამიწაზე საშინელი მიწისძვრა დაწყებულაო. უფრო ცუდ დღეში, რატომღაც, სამხრეთი ნახევარსფერო იყო.

ცარცმა და კალამმა ერთმანეთს გადახედეს:

— რა დაემართა? ხომ არ გააცია?

— ამხანაგობის კუნძულები! — საბრალოდ შრიალებდა რუკა.— ხსნისა! მოლოდინისა!... კეთილი იმედის კონცხი...

— თქვენ მაინც თუ მიხვდით რამეს? — იკითხა კალამმა.

— ჯერ ვერა, მაგრამ...

— ...ხსნისა! — გაიძახოდა რუკა. — ...კეთილი იმედისა...

— ჰო, მართლა! — წამოიძახა ცარცმა. — უცებ როგორ არ გამახსენდა, რუკას მხოლოდ იმის თქმა შეუძლია, რაც ზედ აწერია! ყველაფერი იმის ბრალია, რომ რუკამ ლაპარაკი არ იცის.

— ...თანხმობის კუნ-ლი!.. — სიხარულით ამოთქვა რუკამ.

— აი, თვითონაც დაგვიდასტურა, — შესძახა კალამმა. — ყველაფერი ნათელია!

— მე მგონი, ჯერ არაფერია ნათელი! — წაიბუზღუნა ცარცმა და შუბლი შეიჭმუხნა, ჩაფიქრდა. — ასე რამ ააღელვა ჩვენი უსიტყვო მეზობელი? რისი თქმა უნდა?

— ამხანაგობის! ამხანაგობის კუნძულები! — ხელახლა აშრიალდა მავედრებლად რუკა. — კეთილი იმედის კონცხი! ხსნის!

— ამხანაგობა... იმედი... — მექანიკურად გაიმეორა ცარცმა და უცებ ისეთმა აზრმა გაუელვა თავში, რომ სიხარულით შესძახა რუკას: — მაშ ჩვენი ამხანაგების გადარჩენაზე გვეუბნები?

— თანხმობის კუნძულები! — გაიხარა რუკამ.

— დაკარგულების უკანასკნელ იმედს ჩვენ წარმოვადგენთ, — ახსნა ცარცმა რუკის ქარაგმული სიტყვები. — ჰორნის კონცხი, ანუ ქარიშხლის კონცხი — ამას დიდი მიხვედრა არ უნდა; ეტყობა, ჩვენი მეგობრები სამხრეთ ამერიკაში არიან. ქარიშხლის კონცხი ხომ ცეცხლოვანი მიწის უკიდურეს სამხრეთ ნაწილს წარმოადგენს.

— შ-შ-შ! — გახელებით აშრიალდა რუკა. — მარჯნის ზღვა! მარჯნის კუნძულები!..

— მაშ, ქარიშხლის კონცხი რაღას უნდა ნიშნავდეს?

— ქარიშხალს, — უკარნახა კალამმა...

— მართალს ამბობ! ახლა იმ ჭკუის უბედურების ადგილსამყოფელი უნდა გავიგოთ ზუსტად... მარჯნის ზღვა ძალზე დიდია.

— აღმოსავლეთ გრძედის ას ორმოცდათხუთმეტი გრადუსი და სამხრეთ განედის თორმეტი გრადუსი! — გარკვევით თქვა რუკამ.

— ძალიან კარგი! — წამოიძახა ცარცმა.

იგი ხელახლა შედგა მერხზე. რუკას რომ მიუახლოვდა, სახტად დარჩა.

— ახლა კი ყველაფერს მივხვდი! შეხედეთ! — ცარცმა ჭუჭყიან ზოლებზე მიუთითა, რომლითაც ოკეანეები და მატერიკები იყო დათხვრილი.

— უყურეთ ერთი, რა უქნია! — გაიმეორა ცარცმა. — ჩემთვის დღესავით ნათელი გახდა ყველაფერი: ეს რუკა ჩვრის წაშლილია! ხელუხლებელი მხოლოდ ერთი ბეწო კუნძული დაუტოვებია მარჯნის ზღვაში, ავსტრალიის მახლობლად მისთვის საგულდაგულოდ აუვლია გვერდი.

— კი, მაგრამ... რად უნდოდა, ამას რომ აკეთებდა?

— რად უნდოდა? იმისთვის რომ, ხატვა არ იცის. სხვაგვარად როგორ წავიდოდა სამოგზაუროდ? ადგა ჩვარი და ყველაფერი წაშალა: საკლასო ოთახი, კედლები და თითქმის მთელი რუკა, — ერთი სიტყვით, ყველაფერი, ამ პატარა კუნძულის გარდა. რატომღაც ეს კუნძული მოსწონებია. ეს კუნძული გაიზარდა და სხვა გამქრალი საგნების ადგილი დაიკავა. აკი გითხარით, წაშლის უნარიც საკმარისია-მეთქი!

— ჩინებულად მოუფიქრებია!

— არა მგონია, მაინცდამაინც მოსაწონი იყოს მათი საქციელი, — შენიშნა დაღვრემილმა ცარცმა. — რაც მათ ჩაიდინეს, უგუნურობას, დაუფიქრებლობას უფრო ჰგავს! ასეთმა ხერხმა შეიძლება დიდი მარცხი შეამთხვიოს. გესმით, რუკაზე ერთი პატარა წერტილიც რომ დატოვო წაუშლელი, სინამდვილედ რომ იქცევა, უზარმაზარი ტერიტორია აღმოჩნდება.

— მასშტაბი! — თანაგრძნობით წაიჩურჩულა რუკამ.

— მართალს ამბობს! — დაეთანხმა ცარცი. — რუკას მცირე მასშტაბი აქვს. მისი ერთი სანტიმეტრი ასობით კილომეტრს შეიცავს. ის პატარა კუნძული კი, რომელზედაც ბიძია გლობუსი და დეიდა ჩვარი გაემგზავრნენ, იმდენად მცირეა, სახელწოდებაც კი არ აწერია რუკაზე. სამაგიეროდ, ირგვლივ რამდენი წყალი არტყია! სხვათა შორის, ერთი კი არა, ორი წერტილი დარჩენია წაუშლელი. ო, რამდენი წყალი დარჩენია წაუშლელი... ეჰ, რა დაუდევრად მოქცეულა!

— მაშასადამე, ცოტაც და, — სიტყვა ჩამოართვა აღელვებულმა კალამმა, — პირდაპირ...

— ...პირდაპირ ზღვაში ამოყოფდნენ თავს.

— რა გზას დავადგეთ? ნუთუ არაფრით აღარ შეიძლება იმათი გადარჩენა?

— მაგაზე არ ვიმტვრევ თავს?!

ცარცმა თავი ჩაქინდრა და ბოლთის ცემას მოჰყვა კედლის გასწვრივ. „იქნება?.. მაგრამ, ეს ძალზე სახიფათოა, — ბუტბუტებდა თავისთვის. — თუმცა, სხვა გზა აღარ არის!“

— ყური დამიგდე, — თქვა ცარცმა და კალამს წინ გაუჩერდა.— მე მარჯნის ზღვის კუნძულს დავხატავ დაფაზე. კოორდინატს დავუსვამ...

— მერედა, უჩვაროდ რომ ვერსად ვერ გავემგზავრებით?

— ამაზეც ვიფიქრე. ამოცანებს რომ ასწორებენ, დაშვებულ შეცდომებს გადახაზავენ ხოლმე. მოდი, ეს კლასიც შეცდომად ჩავთვალოთ, ეს კედლებიც, ეს სკოლაც, ყველაფერი შეცდომად მივიჩნიოთ, გარდა მარჯნის ზღვის ერთი კუნძულისა.

— მართალია! სწორედ ეგრე უნდა მოვიქცეთ! — დაეთანხმა კალამი.

— ვაითუ, ჩვენი მოგზაურები მეორე კუნძულზე აღმოჩნდნენ? შეიძლება, აქამდე ჩაიძირნენ კიდეც?

— პატარა ნავიც დაგვჭირდება და უნდა დავხატოთ.

— დაგვჭირდებაო? — ჩაიცინა ცარცმა. — რაო, თქვენც აპირებთ წამოსვლას? ხომ არ გავიწყდებათ, რომ იქ გამგზავრება ბნელ სკოლაში სიარულზე სახიფათოა, ჰა?

კალამმა თავი დახარა, არაფერი უპასუხა, ძალიან შერცხვა წეღანდელი საქციელისა.

— კარგი, რაც იყო, იყო, — ჩაიბუტბუტა ცარცმა. — წარსულს ნუღარ გავიხსენებთ. რაც შეეხება პატარა ნავს, იმას პირველივე ტალღა გადააბრუნებს. არც დიდი, ნამდვილი ხომალდი გამოგვადგება, — თავს ვერ გავართმევთ.

— ვერტმფრენი! — შეახსენა კალამმა. — პატარა ვერტმფრენი!

— არც ეგ იქნება: მართვა არ ვიცით... აი, რამდენიმე... — ცარცი გაჩუმდა. — მოიცადეთ. მგონი, ბრწყინვალე აზრი მომივიდა, — ჩაიბუტბუტა დაფიქრებულმა ცარცმა და მტკიცედ დაასკვნა: — ჩვენ საჰაერო ბურთით გავემგზავრებით. თანაც, ერთით კი არა!



— როდისმე თუ გიფრენიათ საჰაერო ბურთით? — დაინტერესდა კალამი. — პირადად მე ნახატებშიც არ შემხვედრია.

— ნამდვილი საჰაერო ბურთი არც მე მინახავს. მე სულ სხვა ბურთები, ბავშვების სათამაშო ბუშტები მქონდა მხედველობაში. ჩვენს ასაწევად, ასე, ხუთი-ექვსი ბურთიც იკმარებს.

— ეგ ყველაფერი კარგი, მაგრამ უკალათოდ როგორ აპირებთ გაფრენას?

— არაფერია, მაგასაც მოევლება.

ცარცი დაფასთან მივიდა და სწრაფად დაიწყო ხატვა. ჯერ ჰორიზონტალური ხაზი გაავლო, დაფა ორად გაყო. ზედა ნაწილზე მზე და ხუთი საჰაერო ბურთი დახატა, ბურთებს ბაწრები მიაბა, ბაწრებზე კალათი ჩამოკიდა. ქვედა ნაწილზე ზღვა გამოხატა. ზღვის შუაგულში ცარცმა დიდი წაგრძელებული წრე ჩახატა. კალამმა ვე-

რასგზით ვერ გაიგო, რა უნდოდა ამ წრეს ზღვაში, მაგრამ მალე წრეზე პალმები გაჩნდა და კალამი მიხვდა, რომ ცარცმა კუნძული დახატა. თუ კუნძულია, ასეთი უცნაური მოყვანილობა რატომღა აქვს? ირგვლივაც წყალი არტყია და შუაშიც წყალია ჩამდგარი!

პირველ კუნძულს მეორეც მოჰყვა. ზღვის ქაფით გადათეთრებულ ნაპირზე უთვალავი ბრაგა გამოჩნდა.

ცარცმა დაფას კიდეზე კუნძულის სახელწოდება, გრძედისა და განედის რიცხვები დააწერა, ერთი ნაბიჯით უკან დაიხია და თავისი ნახატი შეათვალიერა.

— მგონი, მზად უნდა იყოს! — ჩაიბუტბუტა თავისთვის. მერე რაღაც გაახსენდა; დაფასთან მიირბინა და პატარა კალათას, ბაწრებით რომ ეკიდა საჰაერო ბურთზე, თოკის გრძელი კიბე მიახატა, რომელიც დაფის რაფას უწევდა. ცარცი კიდევ ერთ ხანს დაფიქრდა, კალათში რამდენიმე პარკი ჩახატა და ზედ დააწერა: „ქვიშა“.

— ახლა კი შეიძლება გამგზავრება! — წარმოთქვა მან.

კალამმა იფიქრა, ვკითხავ ერთი, საჰაერო ბურთზე ქვიშა რაღად უნდაო, მაგრამ ვეღარ მოასწრო. ცარცმა ნახატ კიბესთან ახლოს დადგომა უბრძანა, თვითონ კი კედელთან მივიდა, ერთ წამს შეყოვნდა, და თითქოს შეცდომას აღნიშნავსო, ზედ ჯვარი დაასვა. კედელი თითქოს აორთქლდაო, მაშინვე გაქრა.

— ძალიან კი გაუკვირდება ჩვენს დამლაგებელს, მთელი კლასი დაფხაჭნილი რომ დახვდება! — ჩაილაპარაკა ცარცმა. — თუ ჩვარი დროზე ვიპოვნეთ, იქნება, ამ ჯვრების წაშლაც მოვასწროთ. — ცარცმა ამოიოხრა და კიდევ ერთ კედელს გადაუსვა ხაზი.

კალამი ყოველი შემთხვევისათვის უფრო მიუახლოვდა ნახატ კალათს.

როგორც კი ცარცმა ფანჯარასაც გადაუსვა ხაზი, კლასში კუნაპეტი ღამე ჩამოწვა. მხოლოდ დაფაზეღა მოჩანდა ნახატის თეთრი ხაზები. ცარცი თოკის კიბესთან მივიდა და დაფის ჩარჩოც გადახაზა. უცებ ყველაფერი მზის თვალისმომჭრელმა შუქმა გაანათა. თვალებმოჭუტულმა ცარცმა ძლივს მოასწრო მოქანავე საფეხურისთვის ხელის ტაცება.

თვალი რომ .ააბილა, დაინახა, ირგვლივ ოკეანის უსასრულო ზურმუხტოვანი სამყარო გადაშლილიყო, ფეხქვეშ კი ტალღების ჭარავანი მიირწეოდა ზანტად.

— აქ ამოდით! — შეშინებულ კალამს ჩალის მოწნული კალათიდან თავი გამოეყო და ცარცს ზევით უხმობდა.



და შესაძლოა, უკანასკნელიც, იმიტომ, რომ უგზო-უკვლოდ დაკარგულთა მოსაძებნად წასული ექსპედიცია თვითონ ჩავარდა დიდ განსაცდელში. მაგრამ წიგნის არც ერთ გმირს მშობლიური კლასის კედლებში დაბრუნებაც რომ არ ეწეროს, ან ავტორს ისინი გზაში შემოეფანტონ და სხვა ამბის მოყოლა მოუხდეს, შენ მაინც შეიტყობ რაღაც-რაღაცეებს იმ კუნძულებზე, რომლებმაც მშობელი დედამიწის სურვილი არ აღასრულეს; უდიდესი მშენებლობისა და უმცირესი მშენებლების, პალმის ქურდების, მეზღვაურის-კაკლებისა და სხვათა ამბავსაც გაიგებ.



საჰაერო ბურთები თანდათან ზევით მიიწევდნენ და ფაფარაყრილი წყლის ვეება ტალღები, ზანტად რომ მიგორავდნენ პატარა კუნძულისაკენ, ჩვენს მოგზაურებს ვიწრო თეთრ ზოლებად ესახებოდათ. კუნძულიც თანდათან მცირდებოდა, ზღვა კი უზარმაზარ ფინჯანს დაემსგავსა, რომლის ნაპირები ალისფერ ნისლში იკარგებოდა.

ცარცმა ძლივს მოწყვიტა თვალი დიდებულ სანახაობას, თითი ნერწყვით დაისველა და ზევით აიშვირა.

— პირდაპირ კუნძულისკენ მიგვაქანებს ქარი, — დაასკვნა ცარცმა. — ნიავი საიდანაც უბერავს, თითმა იმ მხარეს იცის გაციება.

— ცოტა დაბლა ხომ არ დავშვებულიყავით? — იკითხა შეშინებულმა კალამმა და კიდევ ერთხელ გადაიხედა ქვევით. — ქარმა კუნძულს არ გადაგვაცილოს.

ცარცი ხმას არ იღებდა, ახლაღა მიხვდა, რა საბედისწერო შეც-

დომა მოუვიდა, საჰაერო ბურთი რომ დახატა: ამ ბურთებს ხომ მხოლოდ აფრენა შეეძლოთ.

„აირის გამოსაშვები სარქველები! სადღაც მომიკრავს ყური,— ცდილობდა გაეხსენებინა ცარცს. — როგორც კი ამ სარქველს გახსნი, აირი გარეთ გამოიჭრება და ბურთი ქვევით დაეშვება. ეჰ, შემეძლოს მაინც ამ სარქველების ხატვა! თუმცა, წამხდარ საქმეს ახლა აღარაფერი ეშველება".

— რამ დაგამუნჯათ? — აწრიალდა კალამი. — აქედანვე თუ არ გცადეთ დაჯდომა, კუნძულზე ვეღარ მოვხვდებით!

ცარცმა ამოიხვნეშა.

— უთქმელობას აზრი აღარა აქვს, — ბოლოს ყრუდ ამოთქვა მან. — საკმაოდ მძიმე მდგომარეობაში ჩავცვივდით. ეს ჩემი ბრალია. დაშვებას ვერ მოვახერხებთ. არა, ახლა ვერ მოვახერხებთ-მეთქი, თორემ, რამდენიმე ხნის შემდეგ კი დავეშვებით, — დასძინა მაშინვე. — ბურთებს ძალიან მაგრადაც რომ ჰქონდეთ პირი მოკრული, თანდათან გაზი მაინც გაეპარება და კალათი დაბლა დაეშვება.

— ამასობაში ხომ ქარი შუა ზღვაში გაგვიტაცებს!

ცარცმა უიმედოდ ჩაიქნია ხელი:

— ლაპარაკით საქმეს ვეღარ ვუშველით.

— მაშ, თქვენმა დაუდევრობამ... თქვენმა გულმავიწყობამ უნდა... — კალამს ხმა ჩაუწყდა.

— ვჩქარობდი, ამხანაგებს როგორმე მივუსწროთ-მეთქი, და...

— მე... ცურვაც არ ვიცი, — ძლივს წარმოთქვა კალამმა.

— არც მე...

კალამმა იფიქრა, ერთი მაგრად გამოვლანძღავო ცარცს, უნდოდა გაეგებინებინა, რის ღირსნი არიან ზოგიერთი თავდაჯერებული მოგზაურები, მაგრამ კრინტი არ დაუძრავს. ანდა, აბა, რა უნდა ეთქვა? სისულელეა დავის წამოწყება იმ დროს, როცა რამდენიმე წუთში დაღუპვა გელის.

კალათში სამარისებური სიჩუმე ჩამოწვა. დაჭიმულ ბაწრებში ქარი წიოდა.

ბურთები სულ უფრო და უფრო მაღლა მიიწევდა.

ორივე კუნძული ხელისგულივით გადაეშალათ კალათში მოკა-



ლათებულებს: პირველი, უფრო მოზრდილი კუნძული, გულდასმით გამოყვანილ რგოლს წარმოადგენდა. კუნძულის წყნარი, წრისებური ტბა ზღვის ტალღებისაგან ვიწრო სანაპირო ზოლით იყო გამოყოფილი. კუნძულებს ფართო სრუტე ჩაუდიოდათ შუაზე. სრუტის წყალი სანაპირო ქვებს თეთრად აექაფებინათ. მეორე კუნძული ნახევარ მთვარეს მიაგავდა, რომლის ორივე კონცხის გაგრძელებას რიფები წარმოადგენდა.

მოგზაურები რამდენიმე წუთში ისეთ სიმაღლეზე ავიდნენ, რომ აქა-იქ მიმოფანტული პალმები მწვანე წერტილებადღა მოჩანდა.

— დაშვებით, მგონი, მაინც დავეშვებით. იქნება საჭიროზე ადრეც მოხდეს ეს, — დაარღვია დუმილი ცარცმა.

— მაინც როგორ? — მოგვიანებით იკითხა კალამმა.

იგი კალათის კუთხეში მიმჯდარიყო, თვალები დაეხუჭა. კალათი ქანაობდა, ტრიალებდა და ამაზე კალამს ზღვის ავადმყოფობა მოერია.



— რაც უფრო მაღლა მივიწევთ, ჰაერის წნევა მით უფრო იკლებს.

— მერე რა?

— ჩვენმა ბურთებმა გაბერვა დაიწყეს და სანამ არ გასკდებიან, სულ ასე იმატებენ ზომაში. ერთიც რომ გასკდეს, ესეც საკმარისია, თავისი ნაჭრებით დანარჩენებსაც დახეთქავს...

ბუჰ!!!

დაბორიალებული ცარცი თავზე დაემხო კალამს. ჰაერნაოსნები გონს რომ მოეგენ, კალათი ხუთზე კი არა, ოთხ ბურთზეღა ეკიდა.

— ქვევით მივქრიკართ! — შეჰკივლა კალამმა.

— მგონი, ჯერ არა, — უპასუხა ცარცმა. — ბედი გვქონია, გადავრჩით. მთავარია, ბურთებმა ზევით აღარ წაგვიყვანონ!.. — დაუმატა ქვევით გადახედვის შემდეგ. — მშვიდობით ვეშვებით — სიხარულით შესძახა ცარცმა მოგვიანებით. — ვაშა! ჩვენ ვეშვებით! თანაც სადაც გვინდოდა, იქ დავჯდებით!

ოთხივე ბურთი კვლავ ზევით ავარდნას ლამობდა, მაგრამ ჩალის კალათს, ორ მგზავრს და ქვიშის პარკუჭებს ვეღარ ერეოდნენ.

— პირველ რიგში ჩვენი საჰაერო ხომალდი უნდა დავაბათ, — დაიძახა ცარცმა, მას შემდეგ, რაც კალათი რამდენჯერმე დაენარცხა ქვებს და მერე ბუჩქებში გაიხლართა.

ცარცმა და კალამმა კიბე საიმედოდ გამოაბეს ერთ-ერთი პალმის ფესვს და ამხანაგების საძებრად გაემართნენ.

კუნძული დაბლობ ადგილს წარმოადგენდა, უკაცრიელი იყო. ძლიერი ღელვის დროს ოკეანის ტალღები, ეტყობა, ტანაყრილ ქოქოსის პალმებამდე წვდებოდა, ზოგ ადგილას კი ნაპირს მთლიანად გადადიოდა და წყნარ ტბაში იღვრებოდა.

მგზავრებმა გულდასმით დაათვალიერეს თეთრად მოქათქათე ტალღებით დატკეპნილი სანაპირო. მაღლობზე შეფენილი პალმების ჩრდილს შეფარებულ ბუჩქებშიც ჩაიხედეს, ყოველი ორმო და ქვა გადასინჯეს, მაგრამ ამაოდ, უგზო-უკვლოდ დაკარგულების ასავალ-დასავალიც ვერ გაიგეს.

ცარცმა და კალამმა რაღაც მოძრავ საგანს მოჰკრეს თვალი, მისკენ გაქანდნენ, მაგრამ ხელში ზღვის უშველებელი კუ შერჩათ. კუმ ალმაცერად გამოხედა მოგზაურებს და ნელა ჩაყვინთა წყალში.

პალმის ხმელ, საოცრად დიდ ფოთლებზე რომელიღაც მწვანე ჩიტები შემომსხდარიყვნენ და მჭახე მოძახილს ამბობდნენ; ზღვიდან თოლიები ეხმიანებოდნენ...

ცარცმა და კალამმა მთლიანად შემოუარეს კუნძულს და მალე ისევ ქარზე მონანავე საჰაერო ბურთებს მიადგნენ.

— უცნაური კუნძულია, — თქვა დაქანცულმა კალამმა. — სალტესავით მრგვალია; კაცი იფიქრებს, საგანგებოდ აუშენებიათო.

— კარგად შეატყვეთ; ეს კუნძული ნამდვილად აშენებულია.

— კუნძულია აშენებული? — კალამს ისე გაუკვირდა ეს ამბავი, ნაბიჯი ვეღარ გადადგა. — კი მაგრამ, ზედ რომ არავინ ცხოვრობს! უწინ თუ ცხოვრობდნენ?

— არა. კუნძული ადამიანების აშენებული არ არის.

— რას ხუმრობთ! სხვას ვის შეეძლო ამოდენა სამუშაოს შესრულება? გოლიათების ნახელავია?

— პირიქით, ლილიპუტების, ერთი ბეწო, ქინძისთავისოდენა ორსებების ნამოქმედარია. ცხადია, ერთს ბევრის გაკეთება არ შეეძლო, მაგრამ პატარა მშენებლები ძალზე ბევრნი — მილიარდობით — იყვნენ. თანაც ამ საქმეზე მთელი თაობები ათასობით წლის მანძილზე იღვწოდნენ. აი, ამრიგად გაჩნდა ეს კუნძული. ის ხომ მარჯნისაა...

— მარჯნისა? მარჯანს იმ ქვას არ ეძახიან... დაიცა, რომელ ქვას?... ჰო, რომლიდანაც მძივებს, გულქანდებსა და საყურეებს ამზადებენ.

— მარჯნები, უფრო სწორად, მარჯნის სიპინები, ცოცხალი ორსებები, მედუზების უახლოესი ნათესავები არიან. ის გათლილი ნაჭრები კი, რომელთაგანაც წითელი, თეთრი და შავი ფერის სამკაულებს ამზადებენ, მარჯნის ჩონჩხის გაქვავებული ნარჩენებია.

... მოულოდნელად ზღვა აიმღვრა. კუნძულს გრიგალი დაატყდა თავს, აქაფებულ ტალღებს თეთრი ფაფარი მოგლიჯა და კუნძულზე ისროლა, პალმებს ქოჩორი აუწეწა და თავი ლამის მიწამდე დაახრევინა. მოგზაურებმა უფრო მაგრად დაიბეს საჰაერო ბურთები, თვითონ კი ბუჩქს შეაფარეს თავი. ასეთ ქარტეხილში მეორე კუნძულზე გადაფრენა ნამდვილად უაზრო თავისგანწირვა იქნებოდა.

დრო რომ მოეკლა, ცარცი კალამს მოუყვა, რაც კი რამ იცოდა მარჯნების შესახებ.

აი, რა უამბო ცარცმა კალამს:

ზღვებსა და ოკეანეებში მარჯნის სიპინების ორიათას ხუთასამდე სახე ბინადრობს, მათგან მხოლოდ ორი თუ სამი სახეა დასამუშავებლად გამოსადეგი. მათ კეთილშობილ მარჯანს ეძახიან. ისინი გარეგნობით ჩირგვნარს, დაგვალულ ხეებსა ჰგვანან, მაგრამ სინამდვილეში ცხოველები არიან.

მარჯნის სიპინებს სხვადასხვაგვარი აღნაგობა აქვთ. ერთნი საოცარ ყვავილებს, ან ფოთლებს ჰგვანან, მეორენი — ფრინველთა ფრთა-ბუმბულს, უცნაურად ნაქარგ მაქმანებიან მარაოს, სხვები სოკოებსა თუ ირმის რქებს გვაგონებენ...

საყურადღებოა, რომ პოლიპებს შედუზების მსგავსად არც კუჭი აქვთ და არც ნაწლავები, მეცნიერებმაც სწორედ ამიტომ შეარქვეს ღრუ-ნაწლავიანები, ანუ ცხოველები, რომელთაც ნაწლავის მაგივრად ღრუ აქვთ.

მარჯნის სიპინა უმეტესად ჭიქის მოყვანილობისა არის. დღისით იგი წყალქვეშა ქვას ან წინაპართა გაქვავებულ ნარჩენებს მიეტკეპნება ხოლმე. ჭიქის კედლები ჩვეულებრივ სამი შრისაგან შედგება,



რომელთაგან ერთი, კირქვის ანუ ქვისაა. მართალია, ეს ჩონჩხის მაგიერი შრე, ანუ კედელი ძალზე თხელია, მაგრამ სიპინის ნაზი სხეული შიგ საკმაოდ უშიშრად გრძნობს თავს. ამიტომ არის, რომ თევზები ვერას აკლებენ. მხოლოდ თუთიყუშა თევზებს შეუძლიათ მათი დამარცხება. ამ თევზებს ყბები ნისკარტივითა აქვთ მოკაუჭებული. თუთიყუშა თევზი მარჯნის სიპინას ჩაუნისკარტებს და ნამსხვრევებად აქცევს ხოლმე!

მარჯნები თვითონაც მტაცებლურ ცხოვრებას ეწევიან. ჭიქის პირი ხახის მაგივრობას უწევთ. რაც ხახაში მოხვდება, ჭიქაში ჩაიძირება, იქ გადაიხარშება და გადამუშავდება ხოლმე. ცხადია, სიპინას თავისით ხახაში ბევრი არაფერი ჩაუვარდებოდა, პატარა საცეცები რომ არა ჰქონოდა. ამ საცეცების წყალობით, სიპინა ყვავილს ემსგავსება, თუმცა ისინი მას სამკაულად როდი სჭირდება. საცეცებს სიპინა იარაღად ხმარობს და თანაც ძალზე საშიშ იარაღად. ვთქვათ, შოწითალო ყვავილს პატარა ასთაკვი შეეხო, გვირგვინის ფურცლების მსგავსი საცეცები შეირხევიან და უსულო, გაშეშებული ცხოველი მაშინვე ჭიქაში მოექცევა.

რა მოხდა?

საქმე ისაა, რომ მარჯნის სიპინას საცეცებზე მომწამლავნივთიერებიანი ბუშტუკები აზის. როგორც კი საცეცს რომელიმე ცოცხალი ორგანიზმი შეეხება, იგი მაშინვე პატარა შხამიან ისრებს

გამოყოფს და მსხვერპლს დააყრის... შემდეგ უსულო სხეულს საცეცები პირთან მიაცურებენ და ხახაში გადაუძახებენ. ცხადია, ზღვის სქელქერცლიანი ბინადარი ასეთ თავდასხმას ვერც კი შეიგრძნობს, მაგრამ ამგვარი „მსხვერპლი“ ხომ პაწაწინა სიპინასაც არ აინტერესებს.

...იმ მშენებელ მარჯნებს, რომელთა შესახებაც ცარცი კალამს ელაპარაკებოდა, მადრეპოროვანთ ეძახიან. ისინი თავის განსაცვიფრებელ თანამოძმეებზე გაცილებით პატარები არიან. მშენებელი მარჯნების კოლონია შორიდან ხაოიან, თეთრ-მოწითალო ხავსით დაფარულ მრგვალი ლოდების გროვას ჰგავს. ასეთი მარჯანი თავთხელში ბინადრობს, სამოც მეტრზე ღრმად ისინი აღარ ჩადიან.

სიპინები ფეხს არ იცვლიან ადგილიდან, სამაგიეროდ, მათი მატლები დაუდეგარი მოგზაურები არიან. ისინი ტალღებსა თუ ზღვის დინებას გაჰყვებიან ხოლმე, სახლიდან ძალზე შორს გაცურავენ და ახალ კოლონიებს ქმნიან. მიეწებება ასეთი მატლი იმ წყალქვეშა კლდეს, რომელიც ჭკუაში დაუჯდება და ზრდას დაიწყებს, სიპინად გადაიქცევა. მერე სიპინას კვირტივით ამოუვა ხორკლები, ეს ხორკლები ტოტივით ეზრდება და ბოლოს ისიც ნორჩ სიპინად იქცევა... სულ ახალი და ახალი კვირტები წარმოიქმნება ბაბუა სიპინას, მისი შვილებისა და შვილიშვილების სხეულზე. პოლიპების კოლონია განუწყვეტლივ იზრდება. გაივლის ერთი, ხუთი, ან ათი წელი და წყალქვეშა კლდეს მთლიანად დაფარავს მარჯნის უშველებელი ახალშენი.

ყველაზე პირველმა სიპინამ — ასე ვთქვათ მარჯნის პაპის პაპამ — დიდი ხანია თქვენი ჭირი წაიღო. მისი შვილები და შვილიშვილებიც დაიხოცნენ. მაგრამ სიკვდილის შემდეგ თვითეულმა მარჯანმა ცოტაოდენი კირი დატოვა. სწორედ ამიტომ იწევს კოლონია ზევით და ბოლოს ზღვისა თუ ოკეანის ზედაპირამდეც აღწევს ხოლმე. ხელსაყრელ ადგილზე კოლონია სწრაფად იზრდება: წელიწადში სამ და ზოგჯერ ხუთ სანტიმეტრსაც იმატებს. გასაგებია, რომ ასეთი ნაგებობის დიდი სიმძიმე ფშვნის და ტკეპნის კოლონიის დამაარსებელთა ფაქიზ ჩონჩხებს.

ათასგვარი მატლი, მოლუსკი თუ ბაქტერია მტკიცედ ჩაკირავს ხოლმე სიპინების დაფშვნილ ჩონჩხებს და კოლონიის გულს თან-

დათანობით ლოდად აქცევს. კოლონია კი ისევ განაგრძობს ზრდას სიმაღლეშიც და სიგანეშიც.

სად აგროვებენ მარჯნის სიპინები ამდენ საშენ მასალას? სად და წყალში. შენ უკვე იცი, რომ წყალში უამრავი ტონა სხვადასხვა ნივთიერებაა გახსნილი, მათ შორის ისეთებიც, რომლებიც შენთვის აწ ნაცნობ უჩინმაჩინ ლითონს, კალციუმს, შეიცავენ და მისი წყალობით კირქვად გადაიქცევიან.

მარჯანი ჩვენი პლანეტის უძველესი ბინადრების რიცხვს მიეკუთვნება. ადამიანები არცთუ ისე იშვიათად წააწყდებიან ხოლმე ხმელეთზე მათი ჭეშმარიტად ტიტანური შრომის ნაყოფს — კილომეტრებზე გადაჭიმულ ასობით მეტრის სისქის კირქვის მასივს. კირქვის ეს ნაგებობანი მილიონი წლის წინათ არის წარმოშობილი. იმის დაახლოებით წარმოდგენაც კი ჭირს, ერთი ციცქნა სიპინების რამდენ თაობას უნდა ეშრომა, რომ ამხელა მთები დაედგათ. სხვათა შორის, ამ სახის კირქვებს მშენებლების პატივსაცემად მარჯნის კირქვებს ეძახიან.

— ნამდვილად ზღაპარსა ჰგავს, არა? მშენებლები ნამცეცები არიან, ნაგებობა კი უზარმაზარია!

სიპინების შრომის შედეგად ყოველ წელს მილიონობით კირქვა წარმოიშობა: ამ ტვირთის გადასაზიდად მსოფლიოს ყველა მატარებლისთვის რომ მოგეყარა თავი, მაინც მთლიანად ვერ დაეტეოდა.

მარჯნის სამშენებლო ფართობი გაცილებით დიდი იქნებოდა, მაგრამ ჰავამ მკაცრად მიუზომა საზღვრები. სიპინებს ხომ მხოლოდ იქ შეუძლიათ არსებობა, სადაც წყლის ტემპერატურა ოც გრადუსზე დაბლა არ ჩამოდის. ცხადია, მთელი, ასე ვთქვათ, სამარჯნეთი წყალქვეშ არის მოთავსებული — ჰაერი სიპინების დაუძინებელი მტერია.

მკითხავ, მაშ, მარჯნის კუნძულები და ბრაგები როგორღა გაჩნდაო? ეს დედამიწის ქერქის მოძრაობით აიხსნება. ფსკერი, რომელზედაც მარჯნებმა თავისი შენობა აღმართეს, ამოიწევს და მარჯნის კუნძული თუ რიფიც მზად არის. მარჯნებისთვის, ცხადია, ეს კატასტროფას წარმოადგენს — ისინი, ვინც წყალს ზემოთ მოხვდებიან, განწირულები არიან, დანარჩენებს კი მხოლოდ ახალ წარ-

მოქმნილი კუნძულის მახლობლად სიგანეშიღა შეუძლიათ კოლონიის გაზრდა, ასეთ ადგილებს ჩვენ მეჩეჩს ვეძახით. სიპინები ამაზე უარეს დღეშიც შეიძლება ჩაცვივდნენ. მათი გაჭირვება მაშინ უნდა ნახო, ფსკერმა სამოც მეტრზე დაბლა თუ დაიწია. ასეთ შემთხვევაში მარჯნის მთელ კოლონიას დაღუპვა ელის.

შენ ალბათ გაინტერესებს, მარჯნის ახალშენები, ანუ როგორც მათ ეძახიან, ატოლები, რატომ არიან ასეთი უცნაური მოყვანილობის — რგოლისებრი, არა?

კალამმაც სწორედ ეს ჰკითხა ცარცს, როცა მან თხრობა დაასრულა.

იცი, როგორ უპასუხა ცარცმა?

ზღაპრით! აბა, ყური დაუგდე:

ზღაპარი, რომელიც ცარცმა უამბო კალამს, სანამ მარჯნის კუნძულზე გრიგალი ბობოქრობდა.

იყო და არა იყო რა, იყო ერთი კუნძული. ძალზე პატარა გახლდათ ეს კუნძული, დედამიწის შვილთა შორის უმცირესი. წყალქვეშა მთას ზღვის ზედაპირზე მხოლოდ კეფა ჰქონდა ამოყოფილი. ეს იყო და ეს.

ბრაზობდა კუნძული, ასეთი პატარა რადა ვარო. დედამიწა დედინაცვალივით ექცეოდა და არ ზრდიდა. კუნძული შეევედრა მიწას, ზევით ამიყვანე და განზე გამწიე, გულ-მკერდზე ბალახი ამიბიბინე, ხეებით მომრთე, ზედ ხალხი დამასახლეო.

მიწამ ყური არ ათხოვა კუნძულის თხოვნას. შიშველ კლდეს ისევ თაკარა მზე წვავდა, ისევ ქარი შოლტავდა და მძიმე ტალღები ამათრახებდა... კუნძულზე კაცის ჭაჭანება არ იყო, ანდა საიდან იქნებოდა!

ძალზე მოიწყინა კუნძულმა.

კარგა ხანი გაატარა მარტოობაში. მაგრამ, აი, ერთხელ გაქვავებულ თავში ერთი ეშმაკური აზრი მოუვიდა.

— რაკი ეგრეა, ეგრე იყოს! — დაიქადნა კუნძულმა. — ახლა კი ვიცი, როგორ გავაბრიყვო დედამიწა! ჩემი გაზრდა თუ არ უნდა,

ნუ უნდა! შესახვეწი არაფერი მაქვს, უიმისოდაც ვეწევი საწადელს!"

და კუნძულმა მარჯნებს მოუხმო დასახმარებლად...

„რატომაც არ უნდა მივეხმაროთ? — თქვეს მარჯნებმა. — ჩვენთვის ხომ სულ ერთია, სად გავაშენებთ კოლონიას, მთავარია წყალი თბილი იყოს და ზღვა კიდევ თავთხელი".

დასახლდნენ მარჯნები წყალქვეშა მთის კალთებზე, გარს შემოერტყნენ კუნძულს და ზრდა დაიწყეს. გამოხდა ხანი და მარჯნის სიპინებმა წყლის ზედაპირამდე აიყვანეს თავისი ნაგებობა.

— კუნძულო, უფრო მაღლა თუ ვერ აგიყვანეთ, ამაზე ნუ დაგვემდურები, მეტი აღარ შეგვიძლია — ჰაერს ჩვენთვის სიკვდილი მოაქვს.

— რაც სიკეთე მიყავით, ამაზეც დიდი მადლობა მომიხსენებია, — უთხრა კუნძულმა. — ახლა მარჩხობი მარტყია ირგვლივ, ტალღები ძველებური გააფთრებით ვეღარ მცემენ. ყველაზე უფრო ის მიხარია, სიცოცხლე რომ დამკვიდრდა ჩემთან. მართალია, სიტყვაძვირი მეზობლები მყავხართ, მაგრამ არც კუნძულები ვართ ყბედები.

მალე კუნძულზე თოლიები მოფრინდნენ, თავთხელში თევზებზე ნადირობა დაიწყეს; ლოდებქვეშ კიბორჩხალები დასახლდნენ.

მაგრამ კუნძულს დიდხანს არ დასცილდა სიხარული. დედამიწამ უმცროს შვილს თავხედობა გაუგო, გაწყრა და ურჩის დასჯა გადაწყვიტა; წყალში ჩაძირვა მიუსაჯა. მთას უბრძანა, დაბლა დაიწიეო.

რა უნდა ექნა საბრალო კუნძულს? ნათქვამია, ძალა აღმართსა ჩანავსო. გამოეთხოვა მარჯნებს და ნელა დაიწყო ჩაძირვა. სულ ლრმად და ღრმად მიდიოდა მთა და მარჯნის კოლონიაც თან მიჰქონდა.

აღშფოთდნენ მარჯნები, გადაწყვიტეს, უბრძოლველად ნუ დავჩებდებითო. მოითათბირეს და მთელი ძალით დაიწყეს ზევით ზრდა.

ყველას მოეხსენება მთების ამბავი, ნელა იციან გარჯა. რამდენი სანტიმეტრითაც მთა დაბლა დაიწევს, იმდენ სანტიმეტრს მარჯნები კოლონიას მაშინვე თავზე დააშენებენ. ბოლოს ზღვამ პირი შეკრა მთის მწვერვალის ზევით. გაქრა კუნძული. მარჯანი კი ისევ იზრდებოდა და იმავე სიღრმეზე — ზედაპირიდან სულ ორიოდ მეტრზე დარჩა.

გავიდა დრო.



და, აი, ერთ მშვენიერ დღეს დედამიწას თავისი ურჩი შვილი გაახსენდა: მგონი, ძალზე ღრმად ჩავძირე პატარა კუნძული? მეტის-მეტად მკაცრი სასჯელი ხომ არ დავადე იმ სულელსო?

შეებრალა დედას შვილი და უბრძანა წყალქვეშა მთას, ცოტაზე ამოიწიეო. თან დაუბარა, სინათლეზე კი ამოდი, მაგრამ იცოდე წყლიდან ცხვირი არ ამოყოო.

ნელა წამოვიდა მთა ზევით, როცა გაჩერდა, მაშინღა შეამჩნია, უცხო თანამგზავრები — მარჯნები რომ ამოეზიდა წყალზევით. სანამ მოიფიქრებდა რა გზას დადგომოდა, უკვე გვიან იყო: ახალი კუნძული რუკებზე აღნიშნეს.

ახალი კუნძული არაფრით არ ჰგავდა ძველს. ძველი კუზიანი იყო, ახალი, მარჯნისა კი რგოლისებური. თუმცა რა მნიშვნელობა აქვს ამას, კუნძული-კუნძულია!

ცხადია, დედამიწა ამან ძალზე გაახელა. ადგა და ახლად შობილ კუნძულს გრიგალი დაატეხა თავს.

ტალღები ნაპირს და მეჩეჩებს დაეტაკნენ და რღვევა-დაფშვნა დაუწყეს. ლოდები სულ ქვიშად აქციეს. არც მარჯნის წყალქვეშა ნაგებობანი დაინდეს — მთელი ლოდები მოამსხვრიეს. არც თუ ისე ადვილი აღმოჩნდა სიპინების დაჯაბნა — ტალღებს მილიონიანი



ლაშქრით დაუხვდნენ. ვერაფერი გააწყვეს ტალღებმა მარჯნის კოლონიასთან. რამდენს დაუნგრევდნენ, მარჯნები ორ იმდენს აშენებდნენ.

ამასთან მარჯნის ნამსხვრევები ღრმულებში ცვიოდა და ზღვის ფსკერი კუნძულის ირგვლივ სულ ზევით და ზევით იწევდა. ერთი სიტყვით, ყველგან და ყოველნაირად იბრძოდა და იღწვოდა მარჯანი.

კუნძულს მაინც ძალზე ცუდი დღე ადგა. როცა ოკეანე გახელდებოდა, აზვირთებული ტალღები კუნძულს წალეკავდნენ და ყოველგვარ ცოცხალ არსებას მოსპობდნენ ხოლმე, ხეებსაც კი ამსხვრევდნენ. და, აი გამოჩდნენ ადამიანები, რომლებმაც კუნძულზე დასახლება გადაწყვიტეს.

ადამიანებმა ქოხები ჩადგეს, ბაღ-ბოსტანი გააშენეს. ერთხელ სოფელს აზვირთებული ზღვა დაატყდა თავს და ადამიანების ნაშრომი წყალს გაატანა. ვინც გადარჩა, კუნძულიდან არ გაქცეულა. ზღვიდან ქვები ამოზიდეს, ერთმანეთზე დააზვავეს და კუნძული აამაღლეს. ეს ქვებიც ბევრჯერ ჩამოშალა ზღვამ, მაგრამ ბოლოს და ბოლოს კუნძული ისე აამაღლეს, რომ ახლა ტალღა ვეღარაფერს აწყობდა მასთან.

აი, ესეც რგოლისებური კუნძულის ზღაპარი...

უნდა გამოგიტყდე, მეგობარო, რომ ამ ზღაპარში ზღაპრული არაფერია. ყველაფერი სწორედ ასე მოხდა. ცხადია, გარდა დედამიწისა და კუნძულის წაჩხუბებისა.

ჩვენს პლანეტას თავისი კანონები აქვს და ამ კანონების მიხედვით ცხოვრობს. მათი მოქმედების გამოა, დედამიწა ხან რომ აიწევს და ხან დაიწევს. მარჯნის კუნძულები ადგილებზეა წარმოშობილი. სიპინების კოლონიები კუნძულის გაუჩინარების შემდეგაც იზრდებოდნენ. საკმარისი იყო ზღვის ფსკერი ცოტაზე მაინც აწეულიყო ისევ და ზედაპირზე მაშინვე მარჯნის რგოლი გამოჩნდებოდა ხოლმე.

მარჯნის კუნძულები სწორედ ამგვარად რომ არის წარმოშობილი, ამას მასში ჩამდგარი ტბის ფსკერის სიღრმეც ამტკიცებს, რომელიც ასე 20—30 მეტრი თუ იქნება; კუნძულის გარშემო კი ზღვა ათჯერ და ასჯერ უფრო ღრმაა. ახლა ხომ ხვდები, რატომ არ არის ღრმა? — მარჯნის ტბას ფსკერად წყალქვეშა მთის მწვერვალი უდევს, რომელიც ოდესღაც თვითონ წარმოადგენდა კუნძულს.

მოგონილი არც ის არის, რომ ადამიანები ოკეანესთან ბრძოლაში თანდათან ამაღლებენ თავის კუნძულებს.

მაგრამ დროა, ისევ ცარცსა და კალამს დავუბრუნდეთ. ისედაც დავაგვიანეთ: გრიგალი ხომ კარგა ხანია ჩადგა და ჩვენი გმირებიც ისევ ცაში აფრინდნენ.

— ერთი მეტრიღა დარჩა წყლის ზედაპირამდე.

— ბალასტი გადაყარეთ!

— რა ბალასტი?

— ქვიშა.

— არის!

თითქოს უხილავმა ხელმა აიტაცაო, საჰაერო ბურთები და გონდოლა ზევით გაქანდნენ. უზარმაზარმა ტალღამ კალათს ძირთან გაუარა და კინაღამ აქაფებული მხარიც გაჰკრა.

— უ-უჰ! — ძლივს მოითქვა სული ცარცმა და შუბლი მოიწმინდა, — ამ ბურთებმა წეღან კინაღამ ზეცაში აგვიყვანეს, ახლა კი ლამის შუა გზაზე წყალში ჩაგვყარეს.

— გაზი თუ ეპარებათ!

— ახლა ქარი წამოეშველათ, — თავი დაუქნია ცარცმა. — შეხე-

დე, როგორ მიგვაქროლებს. ახლა კი ნამდვილად მივაღწევთ კუნძულამდე.

ძლიერი ქარი ზევით აფრენას არ ანებებდა ბურთს. ჩალის კალათიდან კარგად მოჩანდა თავთხელი სრუტის ვარდისა და იასამნისფერი მარჯნის სიპინებით დაფარული ფსკერი. ადგილ-ადგილ მარჯნის კოლონიებს ზღვიდან თავი ამოეყოთ. ასეთ ადგილებში ზღვა ბუყბუყებდა და თეთრად ქაფდებოდა.

— ეს რიფებიც ფსკერმა ამოზიდა ზღვის ზედაპირზე? — იკითხა კალამმა, რომელიც დაჟინებით მისჩერებოდა ზღვას, იქნება ქვებში დაკარგული ამხანაგების კვალი მაინც აღმოვაჩინოვო.

— კი, მარჯნის კუნძულებივით, — კალმისკენ გაუხედავად წარმოთქვა ცარცმა. — აკი გითხარი, სიპინები თავისით ცხვირის ამოყოფასაც ვერა ბედავენ წყლიდან. — მერე ცოტა ხანს დაფიქრდა და განაგრძო: — სხვათა შორის ყველა მარჯნის ბრაგას ერთად რომ მოუყარო თავი, მარჯნის კუნძულებზე გაცილებით დიდი ფართობი გამოვა. წყალქვეშა მთები ზღვის ზედაპირზე ყოველდღე კი არ ამოდიან და იძირებიან, ასეთი რამ ძალზე იშვიათად ხდება. ამიტომ არის, რომ მარჯნის კოლონიები უპირატესად მატერიკებისა და კუნძულების სანაპიროთა გაყოლებით არის გაშენებული. ამ ადგილებში ფსკერი როგორც კი ოდნავ მაინც აიწევს, მარჯნის ნაგებობათა ასიათასობით მწვერვალი მაშინვე გაუვალ დაბრკოლებად აღიმართება ხოლმე გემებისა და ტალღების წინაშე. ზოგჯერ სანაპირო ზოლის ის რაიონიც ამოიწევს, რომელიც ადრე თავთხელი ყოფილა, მერე კი დაწეულა და მარჯნის მასიური ქედი დაუდგამს ზურგზე. ასეთ შემთხვევაში ზღვაზე შედარებით მაღალი, თანაბრად ნაგები, თითქმის გაუღწეველი ბრაგა გაჩნდება ხოლმე. ასეთი ბარიერი ზოგჯერ მატერიკისა თუ კუნძულის სანაპიროს გასწვრივ ასეულ კილომეტრზეა გადაჭიმული. მარჯნის ამგვარი ტიპის ნაგებობებს სახელიც შესაფერისი აქვთ — ბარიერული ბრაგები. — ცარცი გაჩუმდა და მეორე კუნძულის სანაპირო ზოლს მიაჩერდა, რომელიც სწრაფად უახლოვდებოდა მათ.

...ეჰ, ჩემო მეგობარო! ცოტა არ იყოს გულიც კი დამწყდა, ქარი ასე სწრაფად რომ მიაქანებდა ბურთებს. დრო რომ ჰქონოდა, ცარცი აუცილებლად გიამბობდა ყველაზე საოცარი, ყველაზე გრან-

დიოზული ბარიერული ბრაგის ამბავს. თუ მე
დამეჯერება, ნამდვილად ღირდა ამის მოსმე-
ნა, მაგრამ, სამწუხაროდ, ცარცს ახლა ამ საქ-
მისათვის არა სცხელა. რას ვიზამ, ისევ მე
უნდა გიამბო.

ოდესღაც ავსტრალიის ნაპირებთან წყნა-
რი ოკეანის მხარეს, უფრო ზუსტად — მარჯ-
ნის ზღვის სანაპიროზე — დედამიწის ზურ-
გზე უდიდესი მარჯნის ნაგებობა გამოჩენი-
ლა; ეს საქვეყნოდ ცნობილი ავსტრალიის დი-
დი ბარიერული ბრაგა გახლავს. წყლიდან
თავამოყოფილი ქვების ჯაჭვი 2200 კილო-
მეტრზეა გადაჭიმული. 2200 კილომეტრი!
წარმოიდგინე მოსკოვიდან კუსტანაიმდე ოცი
მეტრის სიმაღლეზე გადაჭიმული კირქვების
უზარმაზარი გროვები. აი, რამოდენაა ავსტ-
რალიის დიდი ბარიერული ბრაგა.

საყურადღებოა, რომ მატერიკის ნაპირსა
და მარჯნის კედელს შორის სანაოსნო სრუ-
ტე მდებარეობს, რომელიც ოკეანის ტალღე-
ბისაგან ჩინებულად არის დაცული მარჯნის
ჯებირით.

სიგრძის მიხედვით მეორე მარჯნის ბრაგა
ავსტრალიის აღმოსავლეთით, კუნძულ ახალ
კალედონიის მახლობლად მდებარეობს. ამ
ბარიერული ბრაგის სიგრძე 1500 კილომეტრს
აღწევს.

ახლა კი ისევ მოგზაურობის ამბავს მივუ-
ბრუნდეთ, მითუმეტეს, რომ ცარცმა წყალში
შენიშნა...



— საჰაერო ბურთი!.. აგერ იქით გაიხედე, რაღაც ბურთი მოჩანს!

კალამი კალათის მოაჯირს ეცა და იმ მხარეს მიაპყრო მზერა, საითაც ცარცი მიუთითებდა.

მათ პირდაპირ, საჰაერო ბურთი რომ მიქროდა, სწორედ იმ მიმართულებით, ნაპირის მახლობლად რაღაცა, ბურთივით მრგვალი საგანი ტივტივებდა.

— ბიძია გლობუსია! — შესძახა კალამმა, — ნამდვილად ის არის! აბა, ამ დაუსახლებელი კუნძულების მახლობლად სხვა რა ბურთი იქნება? ერთი ვერ გამიგია, სილურჯე რად დაუკარგავს, შავი ფერი რატომ დასდებია?

— ეჰ, ჭოგრიტის დახატვა რაღამ დამავიწყა, ჰა! — მთელი ძალით დაჰკრა მუშტი კალათის კიდეს ცარცმა. — თუმცა არა უშავს რა, კარგია, რომ პირდაპირ მისკენ მივფრინავთ. მთავარია, ბიძია გლობუსმა ორიოდ წუთი კიდევ გაძლოს წყალზე.

— საბრალო ვერას გზით ვერ გასულა ნაპირზე! — წამოიძახა კალამმა. — ხომ ნამდვილად გადავარჩენთ?

მოგზაურები მალე პირში ჩალაგამოვლებულები დარჩნენ, მღელვარება მოწყენილობით შეეცვალათ. ბურთთან ახლოს რომ მიფრინდნენ, გლობუსის ნაცვლად ჩვეულებრივი ქოქოსის კაკალი შერჩათ ხელში.

კაკალს ტალღები ათამაშებდნენ, ხან ქვებს დაატაკებდნენ, ხან ჩაძირავდნენ, მაგრამ კაკალი ბოლოს მაინც ზევიდან მოექცეოდა ხოლმე წყალს.

— ეს გაჭირვებული მაინც ამოვიყვანოთ! — ხმამაღლა გაიფიქრა კალამმა. — მაგასაც ხომ დაღუპვა ელის.

— დაღუპვაო?! — ჩაიცინა ცარცმა. — რომელ დაღუპვაზე მელაპარაკებით. კაკალი თევზივით გრძნობს წყალში თავს. ზოგჯერ იმსიშორეზე შედის ზღვაში, გაგიკვირდებათ.

— ახლა ისიც არ მითხრათ, თავისით ჩაგორდა წყალშიო? — დამცინავად შენიშნა კალამმა.

— თუ გეტყვი, მართალიც ვიქნები. აი, რა! ქოქოსის კაკალი ისეთივე თესლია ხისა, როგორიც სხვა ყველა ნაყოფი, ეგ არის, ცოტა მოზრდილია. ნებისმიერმა მცენარის თესლმა რომ კარგად

ჯაიხაროს და დროთა განმავლობაში თავის წინაპრებს დაემსგავსოს, ამისთვის ხელსაყრელი ადგილი ესაჭიროება. მშობლის გვერდით ნერგი თავს ვიწროდა გრძნობს, ჩრდილშია მოქცეული და არც მიწაა საკმაოდ მსუყე. აი, ამიტომ, მცენარეები ცდილობენ თავისი ნაყოფი სხვაგან, თავისუფალ მიწაზე მოახვედრონ. მცენარეთა ერთი ნაწილი ამას ქარის დახმარებით აკეთებს, მეორე — ფრინველებს იყენებს მიზნის მისაღწევად. ისეთი თესლიც არსებობს, რომელიც ცხოველების მატყლს თუ ბალახს გამოედება ხოლმე ეკლებით და ასე ვთქვათ, ამხედრებული, მიბრძანდება დასასახლებლად. ქოქოსის პალმა კი თავის პირმშოს ცურვით აგზავნის სხვა მხარეში. უნდა ითქვას, რომ ქოქოსის კაკლები საუკეთესო მეზღვაურთა რიცხვს მიეკუთვნებიან. ტროპიკული ქვეყნების სანაპიროზე ქოქოსის ბევრი პალმა ხარობს. დამწიფებული ნაყოფი ხიდან ცვივა და ზოგიერთი წყალშიც ჩაგორდება ხოლმე. მათ ტალღები ატივტივებენ და შუა ზღვაში მიაქვთ. თითქოს ქოქოსი ადვილად უნდა იყლინთებოდეს და იძირებოდეს, მაგრამ არაფერი ამის მსგავსი არა ხდება. კაკლის ნაჭუჭს ისეთი აგებულება აქვს, რომ არც თვითონ ისრუტავს წყალს და გულისკენ ხომ წვეთსაც არ ატარებს.

ეს უცნაური პაწია ხომალდი ზოგჯერ თვეობით ცურავს. სანამ ღელვა ან ზღვის მოქცევა სადმე ნაპირზე არ გამორიყავს, ასე მოგზაურობს. იქ კი, თავის კაიუტაში მიყუჩებული თესლი იღვიძებს, ღივდება, და სამუდამოდ უშვებს ღუზას. პაწია ფესვი ისე მაგრა ჩაეჭიდება ხოლმე მიწას, რომ ვერავითარი ტალღა ვეღარ მოგლეჯს ადგილიდან.

გავა მცირე ხანი და უდაბურ ნაპირზე ქოქოსის ნორჩი ნერგი მწვანე ყლორტს გაიწვდის ცისკენ.

ამის გამოა, რომ მეზღვაურები ხშირად ისეთ კუნძულებს ნახულობენ, რომელზედაც ქოქოსის პალმის გარდა, თითქმის არაფერი ხარობს. სხვა მოგზაურ თესლებს ვინ მისცათ იმის გამბედაობა, გაცურონ იქ, სადაც მეზღვაური კაკალი ცურავს!

სამხრეთის უკაცრიელ კუნძულთა უმრავლესობა და, რაც მთავარია, მარჯნის კუნძულები ქოქოსის კაკლებმა აღმოაჩინეს. ამ მხარის პირველი მოსახლეებიც ქოქოსის პალმები იყვნენ.

ტალღების მიერ მარჯნის კუნძულზე გამორიყული წყალმცენა-

რეები მზეზე ლპებოდნენ და პირველი მწვანე ახალმოსახლეებისათვის სასუქით ამდიდრებდნენ ნიადაგს. ხშირი წვიმები კუნძულის პატარა ბინადრებს მტკნარ წყალს არ აკლებდნენ და, აი, მოშიშვლებული კუნძული მწვანე ფოთლების შრიალმა გაახმიანა. გავარვარებულ ქვიშას ჩრდილი ეღირსა. ქარის მიერ მოტანილმა ბალახის, ყვავილის თუ ბუჩქის თესლმა ამ ჩრდილს შეაფარა თავი და გაიხარა. ფრინველებმა ოკეანეში მწვანე ფერს რომ მოკრეს თვალი, აქეთ მოაშურეს. ასე მოიტანა ქოქოსის კაკალმა სიცოცხლე კუნძულზე...

ამასობაში ქარი, საჰაერო ბურთებს ქვევით, ზღვის ტალღებისკენ რომ ეწეოდა, ჩადგა და გონდოლა მაღლა წავიდა.

— ხედავთ, ჩვენი ბურთები რა დღეში არიან! — უკვირდა ცარცს. — როგორ აიწყვიტეს თავი! ერთი ეს გამაგებინეთ, ბალასტი მთლიანად ხომ არ გადაყარეთ?

— თქვენ არ მიყვირეთ, ბალასტი გადაყარეო?! — მხრები აიჩეჩა კალამმა.

— ჰო, მაგრამ ის კი არ მითქვამს, კალათი პირწმინდად დაცალეთ-მეთქი. ვინ იცის, ახლა საით გადაგვაგდებს ქარი.

— კიბე ჩავუშვათ, იქნება როგორმე პალმის კენწეროს წამოვედოთ, — ურჩია კალამმა.

ცარცმა დაუჯერა და კიბეს მოჰკიდა ხელი, მაგრამ უკვე გვიან იყო. საჰაერო ბურთმა ხმელეთის ვიწრო ზოლი უკან მოიტოვა, ბრაგით შემოზღუდულ ყურეს გადაუფრინა და კუნძულის გადაღმა ნაპირს უახლოვდებოდა.

— თუ ახლაც ვერაფერი მოვახერხეთ... ერთადერთი, გადახტომაღა დაგვრჩენია! — ჩაილაპარაკა გაფითრებულმა ცარცმა, ქვიშის ნამგალა ნაპირს რომ უყურებდა მონუსხულივით. — იქნება მშვიდობით გადავრჩეთ.

— დამაცადეთ! — მტკიცედ თქვა კალამმა. — ახლავე დავსვამ ჩვენს ხომალდს.

— როგორ?

— მიყურეთ!

კალამმა ქუდი მოიხადა, მხნედ შეხტა კალათის ნაპირზე, თოკებს

მოეჭიდა და ბურთებისკენ აცოცდა. მისმა სიმძიმემ საჰაერო ბურთები გვერდზე გადახარა და კალამი ზღვის თავზე ჰაერში გამოეკიდა.

— სულელო! ზღვაში ჩავარდები! — შესძახა ცარცმა. — რას აპირებ?

— ბურთს უნდა ვუჩხვლიტო! — ჩამოსძახა კალამმა.

საშინელმა ბათქმა შეძრა იქაურობა და კალათი ტრიალ-ტრიალით დაეშვა ქვევით.

„ამჯერად ერთმა გამსკდარმა ბურთმა სხვებიც დახეთქა", — ამის გაფიქრებაღა მოასწრო ცარცმა და გრძნობა დაკარგა.

გონს რომ მოვიდა, სახსრები მოისინჯა და შვებით ამოისუნთქა; გაიფიქრა, აი, სად გამომადგა ტანმორჩილობაო. მხოლოდ ერთი პატარა ნატეხი მოსტეხოდა და რამდენიმე ადგილას ოდნავ იყო ჩამოფშვნილი.

წამოდგა და კოჭლობით გაემართა კალმის საძებნელად. რამდენიმე ნაბიჯის დაშორებით, ქვიშის გროვის იქით იპოვნა. კალამი ბრტყელ ქვაზე იჯდა და პლასტმასის კაბას ითვალიერებდა, სადმე ხომ არ გამეფხაჭნაო.

— ე, გეტყობა შენ უფრო იოლად გადარჩენილხარ, — გაუხარდა ცარცს.

— ტყუილად კი არა ვარ პლასტმასისა, — სცადა გაღიმება მისმა თანამგზავრმა.

მომსკდარმა ტალღამ მეგობრებს უკან დაახევინა. როცა წყალი

უკან მიიქცა, ჩალის კალათის ახლომახლო მიმოფანტული ნარჩენები დაინახეს.

— ჩვენ ახლა რობინზონები ვართ, — ჩაილაპარაკა კალამმა და თავჩაქინდრული აედევნა ცარცს. — მორჩა, სახლში დაბრუნება აღარ გვეღირსება.

— ნუ ჩამოყარეთ ყურები, გამოსავალს ვიპოვით, — გაამხნევა ცარცმა: — ჯერ კი კუნძული უნდა მოვიაროთ, ერთი გოჯი არ უნდა გამოგვრჩეს მოუჩხრეკავი. თქვენ ერთ მხარეს წადით, მე კი — მეორე მხარეს დავადგები.

ცარცი ნელა მიუყვებოდა სანაპიროს, მეჩხერ პალმებს გარს უვლიდა, ქვებსა და ზღვისგან გამორიყულ წყალმცენარეებს ათვალიერებდა...

მალე ქვიან კონცხზე გავიდა, რომლითაც ნამგლისებური ხმელეთის ზოლი მთავრდებოდა.

მეჩეჩზე ნახევრად ქვიშით დაფარული ტრიდაკნას გიგანტური ნიჟარა შენიშნა. ამ მოლუსკის სახლში ყველაზე მაღალი მეორეკლასელი და, იქნება, მესამეკლასელიც მოთავსებულიყო.

„ბიძია გლობუსი და დეიდა ჩვარი არ გაოცდებოდნენ, ამხელა ნიჟარა რომ მეჩვენებინა!“ — გაიფიქრა გულდაწყვეტილმა ცარცმა და უკან გამობრუნდა.

ცარცმა თითქმის იმედი გადაიწყვიტა, ალბათ, ვეღარ ვიპოვნით ამხანაგებსო. უსიამოვნო ფიქრებში გართულს ის იყო პალმებისთვის გვერდი უნდა ჩაევლო, რომ უცებ ფაჩუნი შემოესმა. ნახევარი მეტრის დაშორებით, პალმის ხიდან უზარმაზარი კიბო ჩამოდიოდა. გადმოკარკლული თვალები ჯიქურ მიეპყრო ცარცისათვის. კიბომ მარწუხები გაატკაცუნა და ქვიშაზე ჩამოხტა. ცარცი დაფრთხა და გაიქცა, მაგრამ კინაღამ იქვე მეორე კიბოს შეაწყდა, რომელიც ქოქოსის გამსკდარი კაკლის ნაჭუჭს უტრიალებდა.

თავზარდაცემულმა ცარცმა ნაპირისკენ მოკურცხლა და ქვებში ჩაიმალა. ჯავშანში ჩამსხდარ ურჩხულებს დადევნება აზრადაც არ მოსვლიათ, ადგნენ და თავისი ნადავლი სადღაც წააგორეს.

ცარცმა, როგორც იყო, სული მოითქვა და საფარიდან გამოვიდა. ამ დროს სასოწარკვეთილი კალმის კივილი შემოესმა:

— მიშველეთ! ვიღუპები!

ცარცი მაშინვე მისაშველებლად გაიქცა. ქვიშის ბორცვი გადაირბინა, ბუჩქნარში გასხლტა და... ადგილზე გაქვავდა.

კალამი ნორჩ პალმას აკვროდა და თავზარდაცემული გაჰკიოდა. მის წინ რამდენიმე ნაბიჯზე უზარმაზარი კიბო იდგა, საგონებელში ჩავარდნილი მისჩერებოდა კალამს. ალბათ იმის გაგებას ცდილობდა, იქმებოდა თუ არა ჯერ არნახული პრიალა ჩხირი. პალმისკენ კიდევ ორი კიბო მობობღავდა.

„როგორმე უნდა გავიტყუო ეს ოხრები“, — გადაწყვიტა ცარცმა და ქვიშის პატარა მოედნის შუაში გადახტა.

სამივე კიბო ერთბაშად შებრუნდა ცარცისკენ, ყველაზე დიდი ტანკივით ატორტმანდა და ჯიქურ გამოქანდა მისკენ. გვერდულად მოდიოდა, ერთი მარწუხი საბრძოლველად ჰქონდა მომარჯვებული, მეორე კი თავის დასაცავად აეფარებინა.

ცარცი განზე გახტა, გაქცევა დააპირა, მაგრამ მეორე კიბომ გადაუჭრა გზა; ცარცი აწრიალდა. „ჩემი აღსასრულის ჟამმა დაჭკრა! — გაუელვა თავში. — ასეთი მარწუხებით ერთ წამში დამფშვნიან!“ და დასაღუპად განწირულმა გააფთრებით შეუტია კიბოებს. სხარტი მოძრაობით დაუძვრა სასიკვდილო მარწუხს და მტკიცე ჯავშანზე ხაზი გადაუსვა, კიბომ უკან დაიხია, ცარცმა კიდევ ერთხელ დაუსვა და ცხოველი, თითქოს მეხი დაეცაო, ადგილზე გაშეშდა.

ერთი წუთის შემდეგ მეორე კიბომაც დაკარგა მარწუხები და ბოლოს წაიშალა კიდეც. მესამემ საფრთხე რომ იგრძნო, პალმის ფესვებს შეაფარა თავი.

— თავს უშველეთ! — ხვნეშით მიაძახა ცარცმა კალამს. — გაიქეცით, ამას მე დავაკავებ.

— ჩემი დარდი ნუ გაქვთ, — შეჰკივლა კალამმა. — უკან მიიხედეთ. უკან!

ცარცი უცებ ვერ მიხვდა, რაზე ანიშნებდა კალამი, შებრუნდა და ბუჩქებში შენიშნა... ბიძია გლობუსი. გეოგრაფის უსიცოცხლო სხეულს დინჯად მიაგორებდა მეოთხე კიბო.

ცარცი შურდულივით გაქანდა ყაჩაღისკენ. კიბო არ ელოდა თავ-



ᲓᲐᲡᲮᲛᲐᲡ ᲓᲐ ᲨᲔᲛᲝᲑᲠᲣᲜᲔᲑᲐᲪ ᲙᲘ ᲕᲔᲠ ᲛᲝᲐᲡᲬᲠᲝ, ᲠᲝᲛ ᲪᲐᲠᲪᲛᲐ ᲮᲐᲖᲘ ᲒᲐᲓᲐᲣᲡᲕᲐ.

ᲑᲘᲫᲘᲐ ᲒᲚᲝᲑᲣᲡᲘ ᲔᲠᲗᲘᲐᲜᲐᲓ ᲓᲐᲙᲐᲬᲠᲣᲚᲘ ᲘᲧᲝ. ᲐᲢᲚᲐᲜᲢᲘᲡ ᲝᲙᲔᲐᲜᲔ ᲘᲓᲜᲐᲕ ᲩᲐᲬᲣᲚᲔᲢᲝᲓᲐ; ᲡᲮᲕᲐᲤᲠᲘᲕ ᲡᲣᲚ ᲛᲗᲔᲚᲘ ᲘᲧᲝ.

— ᲒᲐᲗᲐᲕᲔᲑᲣᲚᲐ ᲣᲑᲔᲓᲣᲠᲘ! — ᲨᲔᲡᲫᲐᲮᲐ ᲙᲐᲚᲐᲛᲛᲐ, ᲠᲝᲪᲐ ᲒᲚᲝᲑᲣᲡᲗᲐᲜ ᲛᲘᲘᲠᲑᲘᲜᲐ.

ᲪᲐᲠᲪᲛᲐ ᲐᲠᲐᲤᲔᲠᲘ Უ�პᲐᲡᲣᲮᲐ. ᲒᲚᲝᲑᲣᲡᲡ ᲐᲓᲒᲘᲚᲘᲓᲐᲜ ᲓᲐᲫᲕᲠᲐ ᲛᲝᲣᲜᲓᲝᲛᲐ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲕᲔᲠ ᲨᲔᲫᲚᲝ, — ᲒᲔᲝᲒᲠᲐᲤᲘ ᲫᲐᲚᲖᲔ ᲓᲐᲛᲫᲘᲛᲔᲑᲣᲚᲘᲧᲝ. ᲐᲨᲘᲜ ᲛᲗᲔᲚᲘ ᲫᲐᲚᲘᲗ ᲭᲙᲠᲐ ᲮᲔᲚᲘ ᲓᲐ ᲛᲙᲔᲠᲓᲖᲔ ᲧᲣᲠᲘ ᲛᲘᲐᲓᲝ.

— ᲜᲐᲛᲓᲕᲘᲚᲐᲓ ᲐᲡᲔᲐ, — ᲩᲐᲘᲑᲣᲢᲑᲣᲢᲐ ᲗᲐᲕᲘᲡᲗᲕᲘᲡ. — ᲚᲐᲧᲚᲐᲔᲑᲡ! ᲬᲧᲚᲘᲗ ᲒᲐᲒᲣᲓᲣᲚᲐ ᲡᲐᲪᲝᲓᲐᲕᲘ. ᲮᲔᲚᲝᲕᲜᲣᲠᲘ ᲡᲣᲜᲗᲥᲕᲐ ᲠᲝᲛ ᲓᲐᲐᲬᲧᲔᲑᲘᲜᲝᲗ ᲕᲔᲠᲐᲤᲔᲠᲡ ᲕᲣᲨᲕᲔᲚᲘᲗ. ᲝᲞᲔᲠᲐᲪᲘᲐ ᲣᲜᲓᲐ ᲒᲐᲕᲣᲙᲔᲗᲝᲗ, ᲥᲜᲔᲑᲐ ᲒᲐᲪᲝᲪᲮᲚᲓᲔᲡ.

— ᲛᲔ ᲠᲝᲛ ᲛᲔᲓᲘᲪᲘᲜᲘᲡᲐ ᲐᲠᲐᲤᲔᲠᲘ ᲒᲐᲛᲔᲒᲔᲑᲐ! — ᲣᲮᲔᲠᲮᲣᲚᲐᲓ ᲨᲔᲨᲛᲣᲨᲜᲐ ᲙᲐᲚᲐᲛᲘ.

— ᲠᲐ ᲓᲘᲓᲘ ᲪᲝᲓᲜᲐ ᲛᲐᲒᲐᲡ ᲣᲜᲓᲐ. ᲐᲘ, ᲔᲡ ᲡᲞᲘᲚᲔᲜᲫᲘᲡ ᲛᲠᲒᲕᲐᲚᲘ ᲥᲐᲜᲘ ᲣᲜᲓᲐ ᲐᲛᲝᲮᲠᲐᲮᲜᲝ ᲙᲔᲤᲐᲖᲔ ᲑᲘᲫᲘᲐ ᲒᲚᲝᲑᲣᲡᲡ, ᲔᲒ ᲐᲠᲘᲡ ᲓᲐ ᲔᲒ, — ᲒᲣᲠᲘ ᲒᲐᲣᲙᲔᲗᲐ ᲪᲐᲠᲪᲛᲐ.

ᲙᲐᲚᲐᲛᲘ ᲓᲐ ᲪᲐᲠᲪᲘ ᲒᲐᲤᲐᲪᲘᲪᲔᲑᲘᲗ ᲨᲔᲣᲓᲒᲜᲔᲜ ᲡᲐᲥᲛᲔᲡ. ᲑᲘᲫᲘᲐ ᲒᲚᲝᲑᲣᲡᲘ ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲐ ᲠᲝᲓᲘ ᲘᲧᲝ, ᲚᲔᲠᲫᲘ ᲓᲐᲭᲐᲜᲒᲔᲑᲝᲓᲐ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲡᲐᲔᲠᲗᲝ ᲫᲐᲚᲘᲗ ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲘᲧᲝ ᲐᲛᲝᲐᲒᲓᲔᲡ ᲥᲐᲜᲩᲘ.

— ᲐᲮᲚᲐ ᲗᲐᲕᲘ ᲛᲝᲕᲮᲐᲓᲝᲗ, — ᲑᲠᲫᲐᲜᲔᲑᲐ ᲒᲐᲡᲪᲐ ᲪᲐᲠᲪᲛᲐ, ᲠᲝᲪᲐ ᲥᲐᲜᲘ ᲐᲛᲝᲮᲠᲐᲮᲜᲔᲡ.

მეგობრებმა ბერკეტებად ჩხირები გამოიყენეს და ამ საქმესაც გაართვეს თავი.

ჩრდილოეთ პოლუსზე პატარა ნახვრეტიდან მაშინვე მცირე ჩანჩქერმა გადმოხეთქა. მალე მოგზაურების გარშემო ქვიშა დალბა, ზედ პატარა რუმ დაიწყო დენა. წყალი გადმოდიოდა და გადმოდიოდა, იტყოდი, რაც გლობუსზე ოკეანე, ზღვა, მდინარე და ტბაა დახატული, ყველას დაწრეტა გადაუწყვეტიაო. ბოლოს, როგორც იქნა, დაშრა რუ.

— ოპერაცია დამთავრდა, — განაცხადა ცარცმა. — ახლა აწყობას შევუდგეთ.

წყალი რომ გადმოაქციეს, ბებერი გეოგრაფის თავი ძალზე შემსუბუქდა და გლობუსი ერთ წუთში ფეხზე დააყენეს.

— რას იტყვით, გაცოცხლდება? — იკითხა იმედიანად კალამმა.

— მგო... მგო-ო... მგო-ო-ონ-ნია უკ-კვე... — სუსტ ხმაზე დაიჭრიალა გლობუსმა. — უკვე გავცოცხლდი... მაპატიეთ. — და მეგობრებისკენ ნაბიჯის გადადგმა რომ დააპირა, უღონოდ დაეცა.

— თქვენი აღელვება არ იქნება, — შეწუხდა კალამი. — თქვენ ხომ ჯერ ისევ ძალზე სველი ხართ. იწექით, გაშრით და ძალა მოიკრიბეთ.

სიხარულმა ცარცს ენა წაართვა, იდგა სახეგაბადრული და ბედნიერი; ალალად იღიმებოდა.

ბოლოს ბიძია გლობუსმა თავი ჯერ ერთ მხარეს შეატრიალა, მერე მეორე მხარეს და შეწუხებულმა იკითხა:

— დეიდა ჩვარი სადღაა?

ცარცმა და კალამმა თვალები დახარეს.

— მაშ ვერ... — ბიძია გლობუსმა სათქმელი აღარ დაამთავრა.



იგი ყველაფერს მიხვდა. ძლივს წამოიმართა ფეხზე და ზღვისკენ წალასლასდა. „სულ ჩემი ბრალია! — ბუტბუტებდა თავისთვის. — ყველაფერი ჩემი დაუდევრობით მოხდა!“

ცარცი და კალამი უხმოდ მიჰყვებოდნენ.

— აგერ იქ, — ხნიერმა გეოგრაფმა იმ რიფების მწკრივზე მიუთითა, რომლებსაც ჯერ ისევ სწვდებოდათ მიქცეული ზღვის ტალღები, — აგერ იქ გავატარეთ უკანასკნელი წუთები. — ბიძია გლობუსი ქვიშაზე დაემხო და ატირდა.

ცარცი უსიტყვოდ მოწყდა ადგილს და რიფებისკენ გაიქცა. კალამი გამოუდგა. ქვიშა რომ გათავდა, ცარცი წყალში ამოშვერილ ქვაზე შეხტა და ხტუნვა-ხტუნვით განაგრძო გზა. ბოლოს შედგა და თავთხელში ჩაიხედა.

— ნახე რამე? — იმედით გასძახა კალამმა.

— ვერაფერი!

ცარცი მეზობელ რიფზე გადახტა, წყლისკენ დაიხარა, მაგრამ ელდანაცემივით უკან გამოქანდა.

— მომყევით! ჩქარა მომყევით! — შეძახა ნაპირზე გადასულმა და მახლობელი პალმებისკენ გაიქცა.

კალამმა არ იცოდა, რა ხდებოდა, მაგრამ მაინც გამოუდგა ცარცს. იმას ბიძია გლობუსიც აედევნა კოჭლობით. ცარცთან რომ მივიდნენ, ნახეს, უცნაურ რაღაცას აკეთებდა: ძველ, სანახევროდ დამპალ ქოქოსის კაკალს რაღაც ბოჭკოებს აძრობდა.

— ხელებში რას მომჩერებიხართ! — გაუწყრათ ცარცი. ერთმანეთს გადააბით! — და გასანთლულივით მტკიცე ბოჭკოებზე მიუთითა. — დეიდა ჩვარი ვიპოვნე, ზღვის ფსკერზე წევს. მე ჩავყვინთავ და ამოვიყვან, სულაც არ არის ღრმა. ბაწარი მჭირდება!

კალამი და გლობუსი დატრიალდნენ. რამდენიმე წუთში საჭირო სიგრძის კანაფი მზად იყო. მართალია, კვანძები ჰქონდა და ორც ლარივით სწორი იყო, მაგრამ საკმაო სიმაგრე გააჩნდა.

— აბა, ნაპირისაკენ! — ბრძანება გასცა ცარცმა.

ნაპირთან რომ მიირბინეს, ცარცმა თოკის ერთი ბოლო კალამსა და ბიძია გლობუსს დააჭერინა, მეორე კი თვითონ შეიბა წელზე.

— ჩვენს მოგზაურობას ერთი ნაკლი აქვს, — ბუტბუტებდა ცარცი. — დედამიწაზე ვიმოგზაურეთ, მიწისქვეშაც ჩავედით, ცა-

ში ვიფრინეთ, წყალქვეშ კი ჯერ არ ჩავსულვართ. ახლა ამ ხარვეზსაც გამოვასწორებ. თოკს მაგრად მოკიდეთ ხელი, სამჯერ თუ დაქაჩე ამომიყვანეთ.

ამ სიტყვებთან ერთად ცარცმა ნაბიჯი გადადგა წინ და პატარა ხანში ნაპირისკენ წამოსული ტალღის ქვეშ გაუჩინარდა. კალამი და გლობუსი თოკის სრიალზეღა ხვდებოდნენ, რომ ცარცი ცოცხალი იყო.

— ჩემი ვარაუდით, იმ რიფამდე უკვე უნდა მიეღწია, — თქვა ბიძია გლობუსმა, როცა თოკის რამდენიმე სანტიმეტრიან ნარჩენს დახედა. — ნიშანი კი ჯერაც არ არის. რაიმე ხიფათს ხომ არ გადაეყარა?

სწორედ ამ დროს თოკმა სამჯერ გაჰკრა.

— ამოვიყვანოთ! — შესძახა კალამმა.

ცარცის ამოზიდვა ძალიან რომ გაუჭირდათ, გაკვირდნენ: იფიქრეს რამეს თუ გამოედოო.

შეშფოთებულმა მოგზაურებმა რაც ძალი და ღონე ჰქონდათ მოზიდეს თოკი. როგორც იქნა, წყლიდან ცარცის თავი გამოჩნდა. იმასაც ფეხები ქვიშისთვის მიებჯინა და თოკს ექაჩებოდა.

— აბა, ჰე, ცოტაც გაიჭირვეთ! — შეუძახა მეგობრებს და სწორედ ამ დროს მოვარდნილმა ტალღამ ნაპირზე დამბალი, წყალმცენარეებში ჩახლართული ჩვარი გამორიყა.

— ესეც ასე, — სული მოითქვა ცარცმა. — ახლა კი გაშრობა მოგვიხდება.

— რ... რაღაც ხომ უნდა ვიღონოთ, ან ხელოვნური სუნთქვა დავაწყებინოთ ან სხვა რაღაც, — ჩაიბუზღუნა ბიძია გლობუსმა.

— მაგას გაწურვის მეტი არაფერი უნდა. დეიდა ჩვარს იმდენი წყალი უყლაპია, გული წასვლია. ზღვა მეც ისე გამიჯდა სხეულში, ლამის არის დავიშალო.

ცოტა რომ მოშუშდნენ მზეზე, ცარცი და მისი ამხანაგები დეიდა ჩვართან მივიდნენ, ხელში აიყვანეს, მშრალზე გადაიყვანეს და გაწურვა დაუწყეს. მლაშე წყაროს ნაკადი მოსკდა ქვიშაზე, თანდათან წყარომ იკლო, მაგრამ ჩვრის გაშრობას მაინც არ დაადგა საშველი.

ყველაზე ადრე ქანცი ბიძია გლობუსს გაუწყდა.

— მეტი ა-აღარ შემიძლია! — დაიჩივლა მან. — მზეზე დავაწვინოთ და თავისით გაშრება.

ცარცი და კალამი ერთ ხანს კიდევ წურავდნენ ჩვარს, მაგრამ ბოლოს ისინიც გატყდნენ.

— მოდი ქვაზე დავაწვინოთ, — ურჩია ცარცმა. — იქ უფრო სწრაფად გაშრება.

ჩრდილში რომ ჯდებოდნენ დასასვენებლად, სამივე კარგა გამოსავათებული იყო.

— როგორა გგონიათ, გაცოცხლდება? — იკითხა ბიძია გლობუსმა. — ძალზე დიდხანს რომ იყო წყალში!

— აფცე! — მოისმა პასუხად ქვიდან. — მე ხომ მიჩვეული ვარ ამას. რაც თავი მახსოვს სულ მასველებენ და მასველებენ...

სამივე მეგობარი ფეხზე წამოხტა. დეიდა ჩვარს გადაეხვევნენ, ეფერებოდნენ, ანჯღრევდნენ...

მიმიხვდები, მეგობარო, რა სიხარულს განიცდის ადამიანი, მეგობარს რომ იხსნის ხიფათისგან! როგორც იქნა, ეშველათ ჩვენს გმირებს და ოთხივემ ერთად მოიყარა თავი! უჰ! რა მომეშვა გულზე! ძალიან გავიხარე. ალბათ შენც, არა? ჰო, კინაღამ დამავიწყდა, ჯერ ხომ არ დაგვიმთავრებია თავი.

მოკლედ, სამხრეთის მზემ გადარჩენილი ჩვარი მალე გააშრო და მეგობრებმა — დიახ, უკვე ნამდვილმა მეგობრებმა — უკანასკნელად მოავლეს თვალი პაწაწინა კუნძულს.

— წაშალე! — მხიარულად შესძახა ცარცმა. — მორჩა და გათავდა! გვეყო ამდენი მოგზაურობა. — ეს თქვა და საკლასო დაფის რაფაზე მოკალათდა.

— მე... მე მგონი... პირიქით! ერთი კია, რომ დღეის იქით... — აჭრიალდა ბიძია გლობუსი.

— მოკლედ მოჭერი, — სიტყვა გააწყვეტინა ჩვარმა, — თუ მოგზაურობაა, ერთად მოგზაურობა იყოს!

— თანაც ყველამ ცარცს უნდა დავუჯეროთ, — გააფრთხილა კალამმა. — ჩვენი მეთაური ის არის.

— მე რომელი მეთაური ვარ! — დაირცხვინა ცარცმა. — უბრალოდ, უფროსი ვარ და მეტი არაფერი. ახლა კი დავიძინოთ, — თქვა მან და კლასში სიჩუმე ჩამოწვა.

მეათე თავი

რომელმაც, მე მგონი, იმედი უნდა გაგიცრუოს: ჩვენმა გმირებმა ხელახლა დააპირეს სამოგზაუროდ წასვლა, მაგრამ მაშინვე ყრუ კედელს წააწყდნენ... კედლის აგურები ისეა დალაგებული, რომ ეტყობა წინადადებებს უნდა შეადგენდნენ და რომელიღაც უცნობ ამბავს გადმოსცემდნენ. ვინც ამ წარწერას ამოიკითხავს, გაიგებს რა დიდი სარგებლობის მოტანა შეუძლია კრამიტის ნამტვრევებს. შეიტყობს თავსატეხი სიტყვის „ვანლიჩანჩენის“ მნიშვნელობას, გაიცნობს ახირებულ ადამიანებს, მთელი სიცოცხლე საფლავებს რომ იშენებდნენ, ნახავს გოლიათს, რომელმაც ცეცხლში, წყალში, ფოლადის მილებში და ეშმაკის კბილებში გამოიარა, და კიდევ სხვა ამბებს მოისმენს.

— ვაი, მჩხვლე-ეტს!

— გაუძელ, მამილო, გაუძელ! თქვენ კი, პატივცემულო, აქაც გახაზეთ და აგერ იქ კი წერტილი დაუსვით. შეხედე, სულ გადაშლილა!

— კალამო, ძალიან ნუ მიჩხვლეტთ წვერს; გაიგეთ, მტკივა!

კალამი და დეიდა ჩვარი ფანჯრის რაფაზე მოკალათებულიყვნენ და ქუჩის ფარნის შუქზე ძალზე მნიშვნელოვან საქმეს აკეთებდნენ — მოგზაურობაში გადაქერცლილ გლობუსის ხაზებს თუ ჩაზნექილ-ამოზნექილ ადგილებს ასწორებდნენ.

— ეს რამხელაზე ჩაზნექილა წყნარი ოკეანე! — სინანულით

შენიშნა კალამმა, ეკვატორის გასასწორებლად ფეხის წვერებზე რომ შედგა.

— სამხრეთ აფრიკას აღარ იკითხავთ! შეხედეთ, რა დღეშია!! იტყვი, ძლიერ მიწისძვრას გადაუვლიაო. დეიდა ჩვარო, აბა, კალაჰარის უდაბნო დამისველეთ, უნდა დავაუთოო. აი, ასე!

ბიძია გლობუსი იგრიხებოდა, ხითხითებდა და ზოგჯერ შეხტებოდა კიდეც, — ძალზე ეღიტინებოდა.

გეოგრაფის განკურნებაში ცარცი არ მონაწილეობდა. მარტო იჯდა მასწავლებლის მაგიდაზე, თავი ხელზე ჩამოეყრდნო და კედელს მისჩერებოდა.

ამ ბოლო დროს ცარცი ძალზე მოტყდა; დაღლილი ჩანდა, შესამჩნევად გამხდარიყო, ჩვეულებრივზე მეტად დალეულიყო. მხოლოდ ამხანაგებს რომ დაელაპარაკებოდა, მაშინ გამოცოცხლდებოდა ხოლმე და უბრუნდებოდა ძველებური მხიარულება და სიცელქე.

მანდილოსნები როგორც იქნა მორჩნენ გლობუსის მკურნალობას.

კალამმა ამაყად შეათვალიერა თავისი ნახელავი:

— აღარაფერი ეტყობა, არა? მგონია, კარგად გამოგვივიდა!

— კარგად გამოგვივიდაო? კარგად კი გამოგვივიდა, მაგრამ ერთი თქვენ თავზეც დაიხედეთ: კაბა ტალახით გაქვთ დასვრილი, რგოლი ზღვის წყალმა გაგიმწვანათ! აბა, მოდით ერთი, გაგწმინდოთ.

— რას ამბობთ... ნუ შეწუხდებით! გმადლობთ!

— რის მადლობა... პირიქით, ჩვენ უნდა გიმადლოდეთ, არასდროს დავივიწყებ, თქვენ და ცარცმა სიკვდილისაგან როგორ გვიხსენით. მე გამოყრუებულს კი ადრე თვალში არ მომდიოდით: „ეს კუდაბზიკა საიდანღა მობრძანდა-მეთქი, ჩვენს კლასში“, — ვამბობდი ჩემთვის. — წუნია მეგონეთ! „ცხვირი აუბზუებია და შემოხედვასაც არა კადრულობს-მეთქი!“ — ახლა ბოდიში უნდა მოვიხადო... სინამდვილეში სულ სხვანაირი ყოფილხართ...

— მეც... მეც ამპა-არტავანი მეგონეთ, — ჩაურთო ბიძია გლობუსმა, რომელიც ფანჯრის მინაში გულდასმით ათვალიერებდა თავის თავს.

ძველი გეოგრაფი გაიბღინძა, კალამს თვალი ჩაუკრა, გაიარ-გამოიარა და მედიდურად წარმოთქვა:

— „მე სულ სხვა, დახვეწილი, ბუნებისა ვარ! უმაღლესი განათლება მაქვს! თქვენ ვერ გამიგებთ!“ გახსოვთ?

კალამმა ქუდი ჩამოიფხატა და განზე გადგა.

— თქვენ... რაო? გეწყინათ? — შეწუხდა ბიძია გლობუსი. — მე... მე ხომ...

— სხვა რა უნდა გეფიქრათ, თავი ისე მეჭირა რომ, — დაირცხვინა კალამმა. — ნამდვილად ცუდად ვიქცეოდი... ეჰ, არ ღირს მოსაგონებლად! — გულწრფელად ამოიოხრა და თავი დახარა. — აღარ მინდა უცხოდ რომ მთვლიდეთ. გინდათ, ყველაფერს გიამბობთ ჩემს შესახებ?

ერთ ხანს დადუმდა და მერე განაგრძო:

— იცით რა, თქვენს კლასში მოხვედრამდე, ერთ დიდ მეცნიერს ვეხმარებოდი. სულ ჯიბით დამატარებდა და ერთი წუთითაც არ მიშორებდა. რა ვიცი, რაც ჩვენ ქაღალდები გვაქვს ერთად ნაწერი! რაღაც ციფრები, ფორმულები და ნიშნები გამოგვყავდა... ჰოდა, მეც ვფიქრობდი, რაკი ასეთ სიბრძნეს მაწერინებს, ეტყობა, მართლა რაღაცას წარმოვადგენ-მეთქი!

უნდა ითქვას, რომ ქიმიურ ლაბორატორიაში (ჩემი პატრონი ქიმიკოსი გახლდათ) ყველა ხელსაწყო დიდის მოწიწებით მეპყრობოდა. ყოველ ცდას, რომელსაც ისინი აყენებდნენ, ჯერ მე ვწერდი ქაღალდზე.

ნეტა ერთი გენახათ, რა მლიქვნელურად მებუყბუყებოდნენ ჩემი მეზობლები, რა ფარისევლურად შიშინებდნენ და მავედრებლად ბზუოდნენ. მთხოვდნენ, წინასწარ შეგვატყობინე, რა გამოვა ჩვენგან, რომელი ახალი ნივთიერება მიიღება და რა დანიშნულება ექნება მასო. მე ქედმაღლურად ვდუმდი. ან და სხვა რა გზა მქონდა? მართალი თუ გინდათ, არაფერი გამეგებოდა ჩემი ნაწერისა.

ერთხელ ჩემმა პატრონმა თანაშემწეებს უთხრა (მის აზრს კი ძალიან ვაფასებდი), ჩვენს ეპოქაში მთავარი პლასტმასაა. თან ზევით ამწია და ჩემი თავი ყველას დაანახვა.

ბუნებრივია, მეც დავიჯერე, ნამდვილად განსაკუთრებული ვიღაცა ვარ-მეთქი. მერე გავიხედოთ და ეს სწავლული კაცი ადგა და თავის შვილს არ მაჩუქა! აი, ასე ამოვყავი თავი თქვენს კომპანიაში. პირველ ხანებში ძალზე განაწყენებული ვიყავი: მე და კარნახით წერა! თანაც, როცა ნაწერი შეცდომებითაა სავსე. ჩვეულებრივ

საგნებთან მუშაობა ვითაკილე! „რა გზა მაქვს. ეს უვიცები თუ ვერ გამიგებენ, თაყვანისცემით მაინც მომეპყრობიან-მეთქი“, — ვიფიქრე და გადავწყვიტე თქვენთვის მეგრძნობინებინა, ვინ ვიყავი... რაც გამომივიდა, ეს თქვენც კარგად გახსოვთ!

— არა, აღარ გვახსოვს! — შესძახა ცარცმა, რომელიც მოულოდნელად გაჩნდა მათ სიახლოვეს. — მოდი, სამუდამოდ დავივიწყოთ, რაც იყო! მართალს არ ვამბობ, მეგობრებო? ჰა? — ცარცი კალამს გადაეხვია. — ვიმეგობროთ თუ არა?

კალამმა თავი დაუქნია და სიხარულმა სახე გაუბრწყინა.

— თქვენ ყველანი ძალიან კარგები, უბრალოები ხართ! იმის გაფიქრებაც კი მზარავს, რომ მალე არდადეგები დამთავრდება და სახლში წამიღებენ!

— დიდი ამბავი! წაგიღებენ და ისევ მოგიტანენ. რაკი მოგიტანენ, დარჩენასაც მოახერხებ როგორმე. — ცარცმა ეშმაკურად ააციმციმა თვალები: — სხვა რამისა რა მოგახსენოთ და დაკარგვასა და დავიწყებაში ბედი გვწყალობს! მართალს არ ვამბობ? ასე რომ, თუ სურვილი გვექნება, რამდენსაც მოვინდომებთ, იმდენს ვიმოგზაურებთ. თუ ჩვენს კალამსაც სურს, დღესვე, ახლავე შეგვიძლია გავუდგეთ გზას.

— მარტო მე რად მეკითხებით? — გაიკვირვა კალამმა.

— იმიტომ, რომ თქვენს სამშობლოში მოგზაურობა მინდა შემოგთავაზოთ. თანახმა ხართ? ჯერ კი ის უნდა მიამბოთ, რა არის და როგორ ამზადებენ პლასტმასას. ხომ უნდა ვიცოდე მისი ზუსტი მისამართი და მარშრუტი.

წინადადება ერთხმად იქნა მიღებული.

— მითხარი, საით უნდა წავიდეთ? — ჰკითხა ცარცმა კალამს და დაფას მიუახლოვდა.

კალამი ჩაფიქრდა.

— რა ვქნა, — წარმოთქვა ბოლოს, — ხეირიანად ეგეც არ ვიცი. საერთოდ, პლასტმასას ფისისგან ამზადებენ, ფისს კი ნავთობისგან ან ქვანახშირისგან ღებულობენ. მაგრამ როგორ ღებულობენ, ეს უკვე აღარ ვიცი. მე თავი იმ დღიდან მახსოვს, როცა უკვე ფხვნილი ვიყავი. წნეხში ჩამყარეს, რაღაცამ ბათქანი მოიღო და პლასტმასად ასე მოვევლინე ქვეყანას. მართალია, მერე მგლინავდნენ, მხვრეტ-

დნენ. ხრახნის ჭრილებს მიკეთებდნენ, მაგრამ ეს უკვე სულ სხვა საქმეა.

— მაშ ნავთობი და ნახშირი ყოფილან არა, თქვენი უახლოესი ნათესავები? — დააზუსტა ცარცმა.

კალამმა თავი დაუქნია.

— აი, რას გეტყვით, მოდი, დღეს ქვანახშირი მოვინახულოთ; ნათესავი ყოფილა კალმისა და მეც ვიცნობ. რას იტყვით? — იკითხა ცარცმა.

— მე თანახმა ვარ, — უპასუხა კალამმა.

— იქნება იმან უფრო დაწვრილებით იცის პლასტმასის ისტორია და თავისი წინაპრების თავგადასავალი?

— მაღაროში უნდა ჩავიდეთ? — დაიჯღანა დეიდა ჩვარი. — საფრთხობელებს დავემგვანებით!

— მე... მე კი სწორედ ახლახან გამაკრიალეს, გამასწორეს... — უხალისოდ ჩაილაპარაკა ბიძია გლობუსმა.

— კარგით! რაკი ასეა, მაშინ მოდი უძველეს ტყეში გავემგზავროთ, რომელიც შემდეგ ქვანახშირად გადაიქცა.

— ეს-ეს სხვა საქმეა! — კმაყოფილებით დაიჭრიალა ბიძია გლობუსმა.

— დანარჩენს იქ მოვიფიქრებთ, — დასძინა დეიდა ჩვარმა.

ცარცი დაფაზე ავიდა და ხატვა დაიწყო.

დაფაზე ჯერ წყალი გამოჩნდა; წყალზე მორები ტივტივებდა, მერე წყალში ცამდე ატყორცნილი ქიცვით დაფარული უფოთლო ხეები ამოიზარდა. ეს ხეები კი არა გოლიათი გვიმრები იყო. ასეთივე, მაგრამ გაცილებით მოზრდილმა სხვა მცენარეებმაც ვეება „მკლავები“ გაიწოდეს ცისკენ.

— ეს გიგანტური შვიტა და ხისებრი გვიმრაა! — გზადაგზა უხსნიდა ცარცი მეგობრებს და ხატვას განაგრძობდა.

— ნაპირი სადღაა? — დაინტერესდა დეიდა ჩვარი. — შენ, ძმაო, როგორც გატყობ, ჭაობის გარდა არაფრის დახატვას არ აპირებ.

— სხვა რამე როგორ უნდა დავხატო, როცა, მილიონობით წლის წინათ, იმ ადგილებში, სადაც საქვანახშირე ტყეები ხარობდა, ნაპირი სანთლით უნდა გეძებნა. თვალუწვდენელი სივრცეები ჭაობით იყო დაფარული და ხეები წელამდე ჭანჭრობში იდგნენ. დროთა გან-

მავლობაში ხეები იქცეოდნენ, ლპებოდნენ და წყალში იძირებოდნენ. ზევიდან მათ სხვა დაბერებული ხეები ეცემოდნენ. დღე დღეს მისდევდა, საუკუნე საუკუნეს და ჭაობის შლამში ჩაწოლილი მორების ფენა მატულობდა. ჰაერსა და წყალს მოწყვეტილი, ლამით, ქვიშითა და თიხით დაფარული მკვდარი ტყე თანდათანობით ქვანახშირდებოდა. მე და თქვენ ახლა ამ გიგანტურ ტყეში გავემგზავრებით, — ამბობდა ცარცი და თან მტრედისოდენა ჭრიჭინობელას ხატავდა, — ეს ტყე უხსოვარ დროს ჯერ ისევ ხარობდა, იზრდებოდა და თავისი მწვანე, მსხვილი ტოტებით ხარბად ნთქავდა და ინახავდა მზის სინათლესა და სითბოს სწორედ იმ სინათლესა და სითბოს, რომელსაც ხე თუ ქვანახშირი დაწვისას გამოყოფს.

— სულ ეს არის! — თქვა ცარცმა, საქმეს რომ მორჩა. მერე რაღაც გაახსენდა და რომელიღაც საშინელი ქვეწარმავლის მეჭეჭოვანი თავი დახატა. — გამრთობი არ უნდა გვყავდეს? — ჩაიცინა მხატვარმა.

...ცარცმა საქმიანი თვალით აწონ-დაწონა ნახატი, ხელები გაიბერტყა და ჩვარს უბრძანა, შენს საქმეს შეუდექიო.

ჩვარმა ჩვეული მოძრაობით წაშალა მერხები, მაგიდა და კედელს მისდგა. ერთხელ გადაესვა, მეორედ, მესამედ, მაგრამ შენც არ მომიკვდე, — კედელმა ამჯერად აინუნშიც არ ჩააგდო ჩვარი. პატივცემულმა დეიდამ კიდევ ერთხელ შეუტია, მაგრამ ამაოდ. კედელი ურყევად იდგა.

ჩვარი მოეშვა კედელს და უმწეოდ შეხედა ცარცს.

— რა მოეჩვენა! — გაკვირვებულმა ცარცმა ბათქაში მოსინჯა. — ეტყობა, ჩვენს ზღაპარს რაღაც დაემართა, — ჩაიბუტბუტა გაბრაზებულმა.

— იქნება გადახაზვით ეშველოს რამე? — შესთავაზა კალამმა.

ცარცმა მკვირცხლად დაუსვა ერთი-ორი ხაზი; მოზრდილი ჯვარი ხელად გაქრა, კედელი კი ისევ ადგილზე იდგა.

— გინახავთ ასეთი რამე! — ამის თქმაღა მოახერხა განცვიფრებულმა ცარცმა.

— სულ ერთია გავაქრობ! — გაანჩხლდა დეიდა ჩვარი, გამწარებული ეკვეთა კედელს და გაეხახუნ-გამოეხახუნა, მაგრამ პატარა ხანს შემდეგ დაიკივლა და მოსწყდა კედელს.

კედლის ის ადგილი, რომელსაც ჩვარი ეხახუნებოდა, აშკარად ანათებდა.

გაოგნებულმა მოგზაურებმა პირები დააღეს.

ყველაზე ადრე ჩვარი გამოერკვა, შიშით მიუახლოვდა კედელს და შეეხო, — კედელზე კიდევ ერთი მანათობელი ლაქა გაჩნდა.

— მო-ო-ოითმინეთ! — შესძახა აღელვებულმა ბიძია გლობუსმა. — იქ... იქ... რაღაცა მოჩანს! შეხედეთ! — და მეგობრებს მკრთალ შუქზე ძნელად შესამჩნევი სილუეტები დაანახა. მუქი ხაზები შორეული მთების კონტურებს მიაგავდა.

— ერთი რიგიანად კიდევ წაშალე კედელი! — მტკიცედ შეუძახა ცარცმა ჩვარს.

ჩვარი დიდი გულმოდგინებით შეუდგა საქმეს და მალე კლასი სასიამოვნო, მომწვანო შუქმა გაანათა. ბურუსიდან თანდათან გამოიკვეთა ჩირგვნარით დაფარული კლდოვანი მთების სილუეტი. განცვიფრებულ მოგზაურებს თვალწინ ღრმა ხეობა გადაეშალათ; ხავსმო-

დებულ ლოდებს შორის წყარო მიიკლაკნებოდა, ხრამის თავზე პატარა მოედანი იყო გამოკიდული, მოედანს სანახევროდ კლდე ჰქონდა გადაფარებული. კლდეში ვიწრო, შავი ხარის მსგავსი ხვრელი მოჩანდა, ხვრელიდან კვამლი გამოდიოდა. მალე იქიდან ორი კაცი გამოძვრა. მათი ჩასკვნილი, დაკუნთული სხეული მზესა და კვამლს გაერუჯა. ჯაგარივით გაბურძგნილი თმა კისერსა და დაბალ შუბლზე ჩამოშლოდათ. თეძოებზე ტყავის ნაჭრები ჰქონდათ შემოკრული, ეს იყო და ეს — ტანზე მეტი არაფერი ემოსათ.

მიიხედ-მოიხედეს, ხომ არავინ გვითვალთვალებსო, და ხევის ფერდობიდან ხვრელის წინა მოედანზე ლოდების ამოზიდვას შეუდგნენ.

— ახლოს არ მივიდეთ? — დაიჩურჩულა ბიძია გლობუსმა, რომელიც ყურადღებით ადევნებდა თვალს კლდის ბინადართა საქმიანობას. გლობუსმა წინ წასვლა დააპირა, მაგრამ როგორც კი გადადგა ნაბიჯი, ვაიმეო, ამოიძახა და იატაკზე დაეცა.

— ის... ის არ გამქრალა! — დაიკვნესა ბებერმა გეოგრაფმა და გრენლანდიაზე ამოსული კოპის ზელვა დაიწყო.

—ვინ, ის? — ჰკითხა კალამმა, რომელიც მისაშველებლად მივარდა გლობუსს.

— კედელი! თვალით აღარა ჩანს, თორემ ისევ თავის ადგილზე დგას!

ბიძია გლობუსი ვიშვიშითა და კრუსუნით დაბრუნდა ამხანაგებთან და იქიდან დაუწყო თვალთვალი, რას იზამდნენ გამოქვაბულის ბინადარნი.

ამასობაში ტყავაფარებულ ადამიანებს ქვების გროვა დაეყენებინათ და ახლა სახურავივით გადმოფარებული კლდის ქვეშ უგერგილოდ აწყობდნენ ერთმანეთზე, გამოქვაბულის შესასვლელს ყორეს უშენებდნენ აქეთ-იქიდან.

— ჩვენს წინაშე სამშენებლო ხელოვნების ისტორიის პირველი ფურცელია გადაშლილი, — განმარტა ცარცმა. — ადამიანთა წინაპრები ჯერ ბუნებრივად წარმოქმნილ გამოქვაბულებში ბინადრობდნენ. საცხოვრებლად გამოსადეგი გამოქვაბულები ძალზე ცოტა იყო და ასეთი ბინების ხელში ჩასაგდებად დაუნდობელი ბრძოლები იმართებოდა. და, აი, პირველყოფილმა ადამიანებმა მოისაზრეს და

კლდეთა ნიშებში და ნაბზარებში ხელოვნური გამოქვაბულების მოწყობას შეუდგნენ. ასე გაჩნდა პირველი კედელი. და სხვათა შორის, — მცირე ხნის დუმილის შემდეგ დასძინა ცარცმა, — პირველ საშენ ქვას კირქვა წარმოადგენდა. გამოქვაბულები ხომ უმთავრესად კირქვის ქანებში გვხვდება, უნდა ვივარაუდოთ, რომ გამოქვაბულის ირგვლივ მიმოყრილი ქვებიც კირქვისა იქნებოდა.

სუსხიანი ქარისგან შეწუხებულმა პირველყოფილმა ადამიანებმა ლოდებს შორის დარჩენილი ჭუჭრუტანები ხავსით და თიხით ამოგმანეს. იმასაც მიხვდნენ, რომ თიხით შელესილი კედლები უფრო მყარი იყო და დიდხანსა ძლებდა.

ეს აღმოჩენა ადამიანებს ძალიან დიდი ხნის შემდეგ გამოადგათ. როცა მამაკაცებმა ნადირობისას ცოცხლად შეპყრობილი ცხოველების მოშინაურება ისწავლეს, ქალებმა კი მცენარის თესლის ჩაგდება და ჭირნახულის მოყვანა დაიწყეს.

ადამიანებმა კარგ საძოვრებს და სათესად გამოსადეგ მიწებს დაუწყეს ძებნა. მთებში ასეთი ხელსაყრელი ადგილები ცოტა იყო. იძულებული გახდნენ გამოქვაბულები დაეგდოთ, ბარში ჩასულიყვნენ და საცხოვრებლები იქ აეშენებინათ. ბინის გადასახურავად ტყავს ან ტოტებსა და ფოთლებს იყენებდნენ. მაგრამ ეს ყველაფერი გაცილებით გვიანდელი ამბებია. გამოქვაბულის ბინადარნი, რომელთაც თქვენ ხედავთ... — ცარცმა შრომაში გართული ადამიანებისკენ გაიშვირა ხელი და სახტად დარჩა...

მთები, ხეობა და კლდის ნაბზარი თავისი ბინადრებიანად გამქრალიყო. კედლიდან გამოსხივებულმა შუქმა ხელახლა იწყო მატე-,

ბა, მომწვანო ტონების ნაცვლად ყვითელ და მოწითალო ფერებად აკიაფდა.

— ესლა გვაკლდა! — ჩაიბუზღუნა დეიდა ჩვარმა.

— მაინც რა არის ჩვენს თავს?! — საგონებელში ჩავარდა კალამი.

— იქნება შეგვეშალა და სხვა ზღაპარში ამოვყავით თავი?

— ა-აქ... ა-აქ... რაღაც საიდუმლოებაა! — დიდმნიშვნელოვნად შენიშნა ბიძია გლობუსმა. — ზღაპრული სამყარო ხომ ჯერ საკმაოდ შე-ეუსწავლელია... ვინ იცის?..

ბებერ გეოგრაფს სიტყვა პირზე შეაშრა.

იმ ადგილზე, ახლახან მთები რომ იყო აღმართული, ახლა ქვით მოფენილი უდაბნო გადაშლილიყო. დაბალი გორაკების გადაღმა უზარმაზარი მოთეთრო-რუხი ფერის ნაგებობა აზიდულიყო, რომელსაც ირგვლივ ქოხმახების და მიწურების ჯარი ერტყა. კიბესავით ნაგებ კედლებზე და კედლის ძირას ასობით შიშველი — ბრინჯაოსფერი, შავი, თეთრი, ყავისფერი — ადამიანი ტრიალებდა. ბაგირებს ეწეოდნენ, მორებსა თუ კიბეებს მიათრევდნენ, მძიმე ურიოებს სცემდნენ ქვას.

ჭაპანში შებმული ადამიანები ნელა მიაცურებდნენ მარხილებს, მარხილებზე ვეებერთელა ლოდები ეწყო. მარხილი რომ ადვილად გასრიალებულიყო, კავებს წყალს უსხამდნენ. დროდადრო შიშველ ზურგებზე მათრახის მძიმე ენა მოადენდა ხოლმე ტკაცანს.

ნაგებობასთან მიტანილ ლოდებს ადამიანები ისე ეხვეოდნენ, გეგონებოდა, ჭიანჭველების ბუდეში შაქრის ნატეხი ჩაუგდიათო. მოზრდილი ბოძები ბერკეტებად შეეყენებინათ ლოდებისათვის, ხისგან გამართული კიბეები მიეყუდებინათ დაქანებულ კედელზე, ლილვზე გამოდებული ასობით ბაგირი გამოებათ ქვისთვის და მძიმედ ეზიდებოდნენ ზევით.

— დიახ, — წარმოთქვა ცარცმა, თან მის თვალწინ გადაშლილ სურათს უყურებდა, — თუ არ ვცდები, დედამიწის ზურგზე არსებულ სამარხთა შორის ყველაზე საოცარი აკლდამის აშენების მოწმენი გავხდით. ეს პირამიდა გახლავთ. ასეთ აკლდამებს ძველი ეგვიპტის ბატონ-პატრონნი, დედამიწაზე მოვლენილ ღმერთებად აღიარებული ფარაონები, აშენებდნენ. რაც უფრო მეტი შეძლება

ჰქონდა ფარაონს, მით უფრო მეტ ტომებსა და ხალხს ძარცვავდა მისი ლაშქარი. რაც უფრო მეტი მონა ღვრიდა ოფლს მის სამფლობელოში, მით უფრო გრანდიოზულ აკლდამას იშენებდა იგი. კაცთა მოდგმის ეს ყველაზე ახირებული ადამიანები ტახტზე დაბრძანდებოდნენ თუ არა, მაშინვე თავის საფლავზე იწყებდნენ ზრუნვას. ფარაონები ასე იმიტომ იქცეოდნენ, რომ სწამდათ, ჩვენი ნამდვილი ცხოვრება სიკვდილის შემდეგ დაიწყებაო. აბა, ამას შეხედეთ, — აყირავებულ ვეება ლოდზე მიუთითა ცარცმა. — ვცადოთ, იქნებ გავიგოთ, რომელ ფარაონს ეკუთვნის ეს პირამიდა.

რამდენიმე ხელოსანს ბრინჯაოს სატეხებით ლოდზე რალაც ნახატები გამოჰყავდა, ალბათ ჩუქურთმები თუ იყო. ნახატები უკეთესად რომ გაერჩია, ცარცმა თვალები მოჭუტა.

— ჰო! ლოტოსის ფოთოლი, არწივი, თვალი, ხარის თავი... — ბუტბუტებდა თავისთვის.

— გველიც ხატია... თუმცა ხოჭოს უფრო ჰგავს... — წაეხმარა დეიდა ჩვარი.

ხანდაზმულობის მიუხედავად, დეიდა ჩვარს თვალი კარგად უჭრიდა.

— ხოჭოა! — დაუდასტურა ცარცმა. — მერე თევზი მოდის, შემდეგ ისევ არწივი ხატია. ახლა წარწერის აზრის ამოკითხვა ვცადოთ.

— წარწერისა?! — თვალები აახამხამა დაბნეულმა ჩვარმა. — წარწერა საიდან მოიტანეთ? მე ნახატების მეტს ვერაფერს ვხედავ!

— მართალია ნახატებია, მაგრამ მაინც იკითხება. ამ ნახატ-ნიშნებში ერთნი ასოებს წარმოადგენს, მეორენი — მარცვლებს, ზოგიერთი მთელ სიტყვასაც ნიშნავს. ეს იეროგლიფები გახლავს, ჩვენი დამწერლობის შორეული წინაპრები.

ცარცმა ფეხის წვერებზე წამოიწია, ყურადღება დაძაბა და იმ ადგილს მიაჩერდა, სადაც ქვისმთლელ-მწერალთა საჭრის-ჩაქუჩები გაიელვებდა ხოლმე მზეზე. შუბლი შეიჭმუხნა და ტუჩები ააცაცუნა. კარგა ხანს უყურა ნახატებს, ბოლოს ამხანაგებს მიუბრუნდა და განუცხადა:

— თუ არ ვცდები, ქვაზე ამოკვეთილი ნიშნები დიდი და მძლავრი ფარაონის, ჯოსერის, საგმირო საქმეების და სიბრძნის ხოტბა უნდა იყოს. ეს ფარაონი დაახლოებით ხუთი ათასი წლის წინათ ცხოვ-

რობდა. თქვენ რომ უყურებთ, იმ პირამიდის მშენებლობას ჯოსერის მრჩეველი, სახელგანთქმული სწავლული, ექიმი და არქიტექტორი იმჰოთეფი ხელმძღვანელობდა. ეს პირამიდა, მსოფლიოს უდიდესი ქვის ნაგებობა, იმ დროის პირობაზე ნამდვილი საოცრება იყო. საშენ მასალად კირქვაა გამოყენებული, რომელიც საკმაოდ მტკიცეა და ამასთან ბრინჯაოს ხელსაწყოებით ადვილად ითლება. საყურადღებოა, რომ კირქვა სწორედ იმ ხანიდან გადაიქცა მთავარ საშენ მასალად. კირქვა... — ცარცს ენა დაება. — უცნაურია, მე და ჩემმა ღმერთმა, — ჩაიბუტბუტა თავისთვის.

— რა არის უცნაური? — ჰკითხა კალამმა.

— ის, რომ მეორედ ვხვდებით. იქნებ, უნებურადაც დაემთხვა, შაგრამ, რა ვიცი... — ცარცმა აზრი არ დაამთავრა და ჩაფიქრებული მიუახლოვდა ფანჯარას.

იმ ადგილზე კი, წეღან ყრუ კედელი რომ იყო აღმართული, იდუმალად ციმციმებდა. უცნაური სარკმელი წარსულისაკენ.

...იცი რა, მეგობარო? სანამ ჩვენი გმირები ასე გულმოდგინედ აკვირდებიან გარდასული ყოფის ერთ-ერთ სურათს, მოდი, ცოტა რამეს გიამბობ ძველ მშენებლებზე.

ქვის პირამიდის და მის გარშემო ქვისგანვე ნაგები ტაძრის აშენებამდე, დედამიწის ერთ-ერთი უძველესი სახელმწიფოს, ეგვიპტის, მცხოვრებნი მნიშვნელოვან ნაგებობებს აშენებდნენ... არ იკითხავ რით? — აგურით! ცხადია, ისეთი მტკიცე, წკრიალა, ღუმელში გამომწვარი აგურით კი არა, რომელიც ალბათ შენც ბევრჯერ გინახავს, არამედ უხეში, ფხვნადი, მზეზე გამომშრალი აგურით. ათასობით წელი დასჭირდა ადამიანს, სანამ ასეთ უბრალო, უხეშ სამშენებლო მასალის დამზადებას ისწავლიდა.

აგური პირველად უტყეო მხარის, ტრამალების, ბინადრებმა დაამზადეს... ისინი უამრავი თაობების მანძილზე ბინას ტოტების, ტყავისა და თიხისაგან აგებდნენ; თანდათან შეამჩნიეს, რომ თუ ბლანტად მოზელილ თიხაში შემთხვევით თივა ან გამხმარი ბალახი ჩაეარდებოდა, ასეთი შენარევი გახმობის შემდეგ საუკეთესო, სუფთა თიხაზე მტკიცე გამოდიოდა. გავიდა დრო და ადამიანებმა ამ შესანიშნავი შენაზავის აგურებად მოჭრა დაიწყეს. აგურის გამოგონებამ ნამდვილი გადატრიალება მოახდინა სამშენებლო საქმეში. ადამიანე-





ბი მიხვდნენ, რომ ფართო და იმ დროის პირობაზე საკმაოდ მაღალი შენობის აშენება შეიძლებოდა ასეთი აგურებით.

...საყურადღებოა, მეგობარო, რომ აგურის წინაპართა-წინაპარი ისევ ცოცხალია და დღემდე ნამუსიანად ემსახურება ადამიანებს. „სამანი“—ასე უწოდებენ რუსეთში თიხისა და თივის შენარევს, — საკმაოდ მტკიცეა, ძალზე იაფია, სითბოს კარგად ინახავს და რაც მთავარია, ყველგან შეიძლება მისი დამზადება. „სამანის“ აგურისაგან სტეპებში შესანიშნავ მეცხოველეობის ფერმებს, ბეღლებს, გარაჟებს, საწყობებსა და ზოგჯერ საცხოვრებელ ბინებსაც აშენებენ.

სამანს ყამირელებიც ემადლიერებიან. მან ძალზე დიდი სამსახური გაუწია ადამიანებს შიშველი ყამირის, უსიცოცხლო უდაბნოს ათვისებაში.

მაგრამ ყველაფერს თავისი ადგილი აქვს. „სამანის“ აგური

გამოიყენება დაბალი, ერთი ან ორსართულიანი შენობებისათვის. უფრო მასიური, მაღალი ნაგებობის აშენება ამ აგურით არ შეიძლება. „სამანს“ მთლად ვერ ენდობა კაცი; დიდ სიმძიმეს ვერ უძლებს. „სამანის“ ეს ნაკლი ჯერ კიდევ ეგვიპტელებმა იცოდნენ.

ძველი დროის მშენებელთა ოსტატობის უშესანიშნავეს ძეგლს ფარაონ ხუფუს, ანუ, მეორენაირად, ხეოფსის პირამიდა ჰქვია. ამ ოცდაათსართულიანი შენობის სიმაღლის პირამიდა მსოფლიოს შვიდი საოცრებიდან ერთ-ერთად არის მიჩნეული. იგი ერთ ზომაზე მოჭრილი, ოთხტონიანი კირქვის ბლოკებისაგან აღმართულ ნაგებობას წარმოადგენს. ეს ბლოკები ნილოსიდან კარგა დიდ მანძილზე დაშორებულ მუკატამის მთებშია დამზადებული და პირამიდასთან მარხილებით არის მიტანილი ქვიშაზე თრევით. ამ პირამიდის გადატანას ოცი ათასი, ოცდაათვაგონიანი მატარებელი დასჭირდებოდა.

ალბათ, მკითხავ: ამხელა ლოდები რა საჭირო იყო? პატარა ლოდები ვერ მოჭრესო?

საქმე იმაშია, რომ პირამიდა დაახლოებით ხუთი ათასი წელი მაინც დგას და იმის წყალობით, რომ უზარმაზარი და მძიმე ლოდებისაგან არის აგებული, ალბათ, ერთ ამდენ ხანს კიდევ გაძლებს. მომცრო ლოდებისაგან რომ ყოფილიყო შეკრული, ბუნება და ადამიანები ამ საოცარი ნაგებობის კვალსაც კი წაშლიდნენ აქამდე. ეგვიპტელები იმ დროს ჯერ არ იცნობდნენ იმ ნივთიერებებს, რომლითაც ქვების დაკავშირება შეიძლება, ამიტომ იყო რომ მთელ იმედს მხოლოდ ლოდის წონაზე ამყარებდნენ.

ხუფუს აკლდამას ასი ათასი ადამიანი — მონა, მებრძოლი, გლეხი, ხელოსანი — აშენებდა. ისინი ათ წელს იღვწოდნენ ამ საქმეზე. ასეთი გიგანტის ასამართავად ათი წელი საკმაოდ მცირე დროა.

დღემდე გამოცანას წარმოადგენს, როგორ მოახერხეს უძველესი დროის მშენებლებმა თავისი ნაგებობის ასე შეუცდომლად გაანგარიშება, როგორ აზიდეს კირქვის ამხელა ბლოკები ასორმოც მეტრ სიმაღლეზე, ისე როგორ გათალეს და დააწყვეს ქვები, რომ სწორზაზოვნება არსად დაურღვევიათ!

მაგრამ ისევ კირქვას დავუბრუნდეთ. მეგობარო, მას შემდეგ, რაც ადამიანმა პირველად დაჰკრა საჭრეთელი ამ თეთრ ქვას, მრავალმა ათასმა წელმა განვლო, მაგრამ ისტორიის რომელი გვერდიც



გინდა გადაფურცლო, ამ ჩინებულ საშენ მასალას ყველგან შეხვდები. ათენა და ძველი რომი, პარიზი და ვენა, კიევი და ნოვგოროდი ამ ქვისგან არის ნაგები. მოსკოვის კრემლის ამოყვანაც ამ საშენი მასალით დაუწყიათ დიმიტრი დონელის დროს... მოსკოვს სწორედ იმ ხნიდან ეძახიან „თეთრი ქვის ქალაქს“. რაღა შორს მივდივართ, — დედაქალაქის დიდი თეატრი სულ ახლახანს არის აშენებული, მაგრამ შენობაც და მისი სვეტებიც ამ ბრწყინვალე საშენი მასალით არის აგებული.

დღეს, აგურისა და ბეტონის საუკუნეშიც კი, კირქვას დიდად აფასებენ მშენებლები. ყორეს ქვას, რომელიც იგივე კირქვაა, საძირკვლის ჩასაყრელად ხმარობენ. კირქვის ღორღი თუ ხრეში საიმედოდ აკავებს რკინიგზის განძელებს და მატარებლების მიმოსვლის დროს გადაადგილებას არ ანებებს. ავტოსტრადები? ქუჩები? კირქვას ვერც აქ ელევიან, მას წვრილად ფხვნიან და სიმტკიცისთვის ასფალტის მასას და შავ ფისს უმატებენ.

სამშენებლო მასალების მეფე — ბეტონი?! მას ხომ უმეტესად წყალში გახსნილი ცემენტისაგან და ხრეშისაგან ამზადებენ, ხრეში კი ყველაზე ადვილად, სწრაფად და უკეთესად კირქვისგან მზადდება.

კიდევ ბევრს გიამბობდით ამ შესანიშნავ ქვაზე, მაგრამ... დროა კლასში დავბრუნდეთ და ჩვენს გმირებს მივხედოთ.

— ე... ეს ყველაფერი კარგი! მაგრამ, იქნება ვინმემ კეთილი ინებოს და გამაგებინოს, მაინც რა ხდება ამ ოთახში? — სიჩუმე დაარღვია ბიძია გლობუსმა და დაღლილი თვალები მოიფშვნიტა. — ისეთი რა მოხდა, რომ ჩვენი კლასიდან წარსული გამოჩნდა უცებ? ლამის არის თავგზა დამებნას...

— „უცებო" ამბობ, არა? — ჩაეკითხა ცარცი.

— მაშ რა, მართლა ჩვენთვის ხომ არ წარმოადგინეს ეს სანახაობა, — გამოესარჩლა მეგობარს დეიდა ჩვარი.

— ვითომდა რატომაც არა?

— ი... იქნებ თქვენ იმის სახელიც იცით, ვინც წარსულს ფარდა ახადა და ათასი წლის წინანდელი ამბები დაგვანახვა? — ყურები ცქვიტა ბიძია გლობუსმა.

— მგონი, მართლა უნდა ვიცოდე ამ იდუმალი არსების სახელი, — გაეღიმა ცარცს. — რაკი ადამიანი თანდათან წვდებოდა კირქვის საოცარ თვისებებს, ჩვენ კიდევ ერთი ისტორიული ექსკურსიის მოწყობა მოგვიხდება. ვფიქრობ, ახლა ეგვიპტიდან ჩინეთში უნდა გადავბარგდეთ. თუ მართალი აღმოჩნდი, მაშინვე შეგატყობინებთ იმის სახელს, ვინც ამ სასწაულებს სჩადის დღეს.

მეგობრები ერთ ხანს ამაოდ მისჩერებოდნენ ბინდბუნდს, რომელიც ძველ ეგვიპტელთა გრანდიოზულ ნაგებობას გადაეფარა. მერე ბურუსი გაიფანტა.

— დაიწყო! — დაიჩურჩულა დეიდა ჩვარმა.

მართლაც, ვერცხლისფრად მოკიაფე ღრუბლის ქულაში კლდოვანი ქედების მკრთალი სილუეტი გამოიხატა. მთები ისე ატოტებულიყვნენ ერთმანეთზე, გეგონებოდა, ბნელ ხევში სხდომა მოსწყენიათ და ზევით ამობობღებას ცდილობენო. პატარა ხანს შემდეგ ერთ-ერთ ქედზე რომელიღაც გიგანტური ციხე-სიმაგრის კონტურები გამოისახა. მალე პირქუში კოშკები, ქონგურები და სათოფურებიც გამოჩნდა. ციხე-სიმაგრის მშენებლობა ჯერ დამთავრებული არ იყო, ბევრ ადგილას კედლები ხარაჩოებში იყო ჩამჯდარი. ხალხი ბუზივით ირეოდა. ზოგს წერაქვი ეჭირა ხელში, ზოგს ბარი, ნაჯახი და

ზოგსაც კალათი. დროდადრო აქა-იქ მტვერი ავარდებოდა ხოლმე, აბრიალებული კოცონის ალი ზეცისკენ მიიკლაკნებოდა...

მშენებლობის მიხვეულ-მოხვეულ გზებზე ხარებშებმული, უცნაური ორთვალები მიზოზინებდნენ. ურმის ბორბლები ხარებზე ორჯერ მაღალი და თან მსხვილი, ბრტყელი, მუხის ფიცრებისგან იყო შეკრული.

ურმებით აგური გადაჰქონდათ. ამ აგურს რუხი ფერი აღარ დაჰკრავდა. გამომწვარი, წითელი იყო.

მეგობრებმა ახლა-ღა შეამჩნიეს, რომ ეს უზარმაზარი ნაგებობა მთლიანად აგურისგან იყო აშენებული. მართალია, აქა-იქ კირქვის თეთრი ლოდების გორაც იდგა, მაგრამ ქვა გასათლელი იყო და ეტყობოდა, კედლის ამოსაყვანად არ იყენებდნენ.

კედლის დამთავრებულ ნაწილზე უკვე მიმოდიოდნენ მშვილდისრითა და მძიმე, მოხრილი ხმლებით შეიარაღებული მეომრები.

კედელი იმსიგანე იყო, რომ ზედ ორი ურემი თავისუფლად აუქცევდა მხარს ერთმანეთს... კედლის სიგრძის დადგენა ჭირდა. ქვის სარტყელი მთაგრეხილზე გაწოლილიყო, ხან დაბლა ეშვებოდა, ხან ზევით მიუყვებოდა და ბოლოს ნისლში იკარგებოდა.

— ჰო, ნამდვილად ასეა! — ცარცი თავის მეგობრებს მიუბრუნდა. — ეს ვანლიჩანჩენია!

— რაო? ვანლი-ო? — ჩაეკითხა კალამი.

— ჰო, ვანლიჩანჩენი! ჩვენებურად ათი-ათასი ლის სიგრძის კედელს ნიშნავს. ერთი სიტყვით, ჩვენს წინაშე ჩინეთის დიდი კედელია. განშტოებებიანად იგი ოთხი ათას კილომეტრზეა გადაჭიმული. მისი აღმართვა იმპერატორმა ცინ ში-ხუანდიმ ბრძანა ჩრდილო-დასავლეთიდან მოძალებული მომთაბარე ტომებისაგან თავის დასაცავად. როგორც ხედავთ, ჯერ დასამთავრებელია, ჩვენ ხომ ოცდასამი საუკუნის წინანდელ ძველ ჩინეთში გადავინაცვლეთ.

— გა... ამოიცნო! — ამოიძახა ბიძია გლობუსმა. — გამოიცნო! მართალი თქვა, ძველი ჩინეთი იქნებაო!

— როგორ გამოიცანით? — ჰკითხა კალამმა. — გაგვაგებინეთ, ბოლოს და ბოლოს, რაშია საქმე!

— საქმე იმაშია, რომ მე უზრდელად და უგნურად მოვიქეცი... — დაფიქრებით განაცხადა ცარცმა. — ბოდიშის მოხდა მო-

შიხდება. აღარ ვიცი, რა მოვუხერხო ამდენ სახელოვან ნათესავებს! ვინმე რომ არ შემომწყრეს, არ შეიძლება!

ცარცი წამოდგა, თავი ჩაქინდრა და ნაბიჯი წადგა წინ.

— მაპატიეთ, დედა კედელო, — მიმართა მან კედელს, — აქამდე რომ არ გამახსენდით და თქვენდამი პატივისცემა ვერ გამოვხატე. მართალია, დიდი ხანი არაა, რაც აქ, კლასში, მომიყვანეს, მაგრამ ეს დანაშაულს როდი მიმსუბუქებს. ისე მრცხვენია, გაწითლება რომ შემეძლოს, აუცილებლად სახე ამიჭარხლდებოდა.

ცარცი ერთ ხანს თავდახრილი იდგა, თითქოს პასუხს ელისო, შერე ხელი ჩაიქნია და გაოგნებულ ამხანაგებს დაუბრუნდა.

— მართლა ცუდად გამომივიდა, — თქვა მან. — დედა კედელმა ლაპარაკი არ იცის და ამიტომ უფრო სწყდება გული, სულ რომ არ მივაქციეთ ყურადღება.

— მე კი მივადექი და... მთელი ძალით დავუწყე შლა! — ჩაილაპარაკა შეწუხებულმა დეიდა ჩვარმა. — არ იფიქრებდა, ეს ვინა ყოფილაო!

ცარცმა პასუხად მხოლოდ ამოიოხრა.

— სანამ ჩვენ ცხრა მთას იქით მოგზაურობას ვუნდებოდით, დედა კედელი აქ გვიცდიდა, ბოლოს ველარ მოითმინა და, სიზანტის მიუხედავად, როგორც შეძლო, თავი ისე გაგვახსენა... ის ხომ ისტორიკოსია.

ამასობაში მთის ვერცხლისფრად აციმციმებულმა სურათმა გაფერმკრთალება დაიწყო.

ციხის ქონგურები, კოშკები და მთის მწვერვალები ნისლში გაეხვია და დნობა, ერთ მთლიან მუქ ლაქად გადაქცევა დაიწყო.

— შეჩერდით! — შესძახა ცარცმა. — დაგვაცადეთ! ჩვენ ხომ ჯერ თითქმის არაფერი დაგვითვალიერებია!

კედელზე გამოსახული ნათელი კონტურები კი მაინც ფერმკრთალდებოდა თანდათან და ბოლოს სულ გაქრა.

— ჭირვეული ხასიათის პატრონია! — თავი გააქნია ცარცმა. — მაინც გაიბუტა. რა ვქნა, თან ხომ ვერ გადავყვები, კლასიდან მაინც გაგვიშვას. გესმით, დედა კედელო?. გაგვატარეთ, ძველ ჩინეთში მივალთ და დავბრუნდებით! თანაც მოგზაურობას ხომ ისტორიის შესწავლის მიზნით ვაწყობთ!

ცარცმა დეიდა ჩვარს სთხოვა, წაეშალა დაფაზე დახატული ქვანახშირის ტყე, რომელში მოგზაურობაც ვერ მოახერხეს. შემდეგ სწრაფად აცოცდა დაფის რაფაზე და ახლახან გამქრალი მთაგრეხილების, გზების და ციხე-კოშკების ხატვას შეუდგა.

ამჯერად როგორც კი დეიდა ჩვარი დიდი ბოდიშებით, მოწიწებით გადაესვა კედელს, იგი უმალ გაქრა. და ყველაფერი დიდებულად დაიწყო. იმავე წამს მზემ მოგზაურებს სხივები შეაგება, დაბერა მთის გრილმა ნიავმა და საიდანღაც აბზინდის სურნელი მოიტანა. ერთი წუთიც არ იქნებოდა გასული, რომ კაშკაშა მზით თვალმოჭრილი და გრუხუნ-ღრიანცელით ყურებგაჭექილი ჩვენი მოგზაურები ხარაჩოებში ჩასმული კოშკიდან ათიოდე ნაბიჯზე დაშორებულ ციცაბო ფერდობზე იდგნენ. ხარაჩოებზე დროდადრო ადამიანები მიმორბოდნენ. მეგობრებს სხვა გზა არ ჰქონდათ, უნდა დამალულიყვნენ.

ცარცმა სწრაფად დაზვერა იქაურობა და თანამგზავრებს ანიშნა, მომყევითო; ჩირგვებს მოეშიდა, ფრთხილად გაუყვა ფრიალოს და გეზი ისე დაიჭირა, რომ კოშკი განზე მოიტოვა.

როცა ჩაივაკეს, ბუჩქნარიდან მდელოზე გამოვიდნენ. მშენებლებს მდელოზე ფიჩხის და დაქუცმაცებული თეთრი ქვის გორები დაედგათ.

— კირქვა! — შესძახა კალამმა. — აქ რისთვისღა მოუზიდავთ?

— მართლაცდა, რა შავ ქვად უნდათ? — სული ძლივს მოითქვა და იკითხა ბიძია გლობუსმა. — კედელს ხომ აგურისგან აშენებენ!

— ცოტაც მოითმინეთ და ყველაფერს თქვენი თვალით ნახავთ. — ცარცმა ხევზე მიუთითა, რომელიც მდელოს გადაღმა იწყებოდა. იქიდან კვამლი ამოდიოდა.

ხევის გადასახედს რომ მიადგნენ, მოგზაურებს მაშინვე ფერდობზე გამოთხრილი ორმოები მოხვდათ თვალში. მურით დასვრილი ადამიანები მორებს უმარჯვებდნენ ორმოებს და შიგ კირქვას ყრიდნენ. ერთ-ერთი ორმო პირამდე იყო ამოვსებული, შავი კვამლის ქულებიც სწორედ იქიდან ამოდიოდა.

ცნობისმოყვარეობამორეული ბიძია გლობუსი ისე გადმოეკიდა ხევზე, რომ კინაღამ ღუმელის გავარვარებულ ხახაში ჩაგორდა...

— ქვის შეწვა რაღამ მოაფიქრა ამ ხალხს? — იკითხა ბებერმა. გეოგრაფმა და მტვერი ჩამოიბერტყა.

— ო, ეს სამშენებლო ხელოვნების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი აღმოჩენაა! — ამაყად წამოიძახა ცარცმა. — საქმე იმაშია, რომ აგურით, თუნდაც საუკეთესოდ იყოს გამომწვარი, ვერაფერს ააშენებ! მათი ერთმანეთთან მტკიცედ დაკავშირება, მონოლითურ მასად შეკვრაც უნდა შეგეძლოს! თუ იმ თიხისა და ქვიშის ნარევით, ადამიანი უხსოვარი დროიდან რომ ხმარობდა ქვების დასაკავშირებლად, ძლივს ხერხდებოდა ქოხმახების აშენება, ციხე-სიმაგრეების, სასახლეების, ტაძრების, კიბეებისა და სხვა ნაგებობის შესადუღაბებლად საჭირო იყო სხვა, უფრო საიმედო და გამძლე მასალა, ასევთქვათ, ნამდვილი ქვის წებო. უკვე უძველესი ხანის მშენებლები მიხვდნენ, თუ რა დიდ გასაქანს მისცემდა ამგვარი ნივთიერება სამშენებლო საქმეს. სად და როგორ უნდა მოეპოვებინათ ასეთი ნივთიერება?

და აი, დაახლოებით ოთხი ათასი წლის წინ ადამიანებმა კირქვის ერთ უცნაურ თვისებას მიაქციეს ყურადღება. კირქვის გახურებული ნატეხი წყალში რომ მოხვდა, აშიშინდა, დაიშალა და ქვის ფაფად იქცა. ეს აღმოჩენა, ეტყობა, სრულიად შემთხვევით მოხდა: ან კოკისპირულმა წვიმამ დაასველა კოცონში ჩავარდნილი და გავარვარებული ქვა, ანდა კირქვა ცეცხლიდან ამოიღეს და ქოთანში ჩაადგეს საჭმლის მოსახარშავად. უკანასკნელი უფრო სარწმუნოა: შორეულ წარსულში ჭურჭელს კარგად ვერ წვავდნენ, გამოუწვავი თიხა კი ცეცხლზე სკდებოდა, ამიტომ იყო ადამიანები საჭმელს ასე რომ ამზადებდნენ: ქვებს ახურებდნენ და ყრიდნენ ქოთანში, მანამ არ იღებდნენ, სანამ საჭმელი არ მოიხარშებოდა.

ასე იყო თუ ისე, ადამიანმა შენიშნა, რომ მაგარი, მტკიცე ქვა, როგორც კი წყალში მოხვდებოდა, სანამ ფაფად არ დაიშლებოდა, თუხთუხებდა და ბუშტებს ისვროდა.

უფრო გასაოცარი კი ის იყო, რომ წყლიდან ამოღებული ქვის თეთრი ცომი რამდენიმე დღეში ისევ ქვასავით მაგრდებოდა...

ადამიანები ხშირად ხედავდნენ ქვის ამ საკვირველ დაშლასა და ხელახლა განმტკიცებას, მაგრამ მრავალი საუკუნე დასჭირდა იმას, რომ ვიღაცას დაჰბადებოდა უბრალო კითხვა: რა იქნება, კირქვის

თეთრი ფაფით კედლის ასაშენებელი ქვები ერთმანეთთან რომ შეეკავშირო? სცადა და დიდებულადაც გამოუვიდა, თეთრმა „ფაფამ“ მტკიცედ შეკრა, როგორც იტყვიან ხოლმე, „შეადულება“ ქვები.

უფრო გვიან კირქვის ხსნარს ქვიშაც დაუმატეს და უკეთესი შედეგი მიიღეს.

იმ დღიდან სხვადასხვა ქვეყანაში მრავალი მიწისქვეშა ღუმელი გათხარეს და კირქვამ ახლებურად გაუწია სამსახური ადამიანებს: მისგან კირის მიღება დაიწყეს.

— რა აღარა ხდება ქვეყანაზე, გენაცვალეთ! — გაიკვირვა დეიდა ჩვარმა. — იყო კირქვა თავისთვის, მილიონი ან იქნება ორი მილიონი წელიწადი არავის გახსენებია, მერე უცებ ცეცხლში ამოყო თავი და ინებეთ, კირი მზად არის!

— ნამდვილსა ბრძანებთ, — დაეთანხმა ცარცი. — ჩაუმქრალი კირი მზად არის! თუ ჩაუმქრალ კირს წყალში ჩააგდებ, წყალი ათუხთუხდება, აშიშინდება და გაცხელდება; კირი კი ჩამქრალ კირად გადაიქცევა. ასეთი გზით თეთრი, თითქმის მშრალი ფხვნილის მიღებაც შეიძლება და ცომივით ბლანტი შენარევისაც. ეს ჭურჭელში ჩასხმული წყლის რაოდენობაზეა დამოკიდებული. სამშენებლო საქმეში ერთიც საჭიროა და მეორეც. — ცარცი ერთ ხანს გაჩუმდა, მერე ღიმილით დასძინა: — სხვათა შორის, საუკეთესო, ყველაზე სუფთა კირი ცარცისგან მზადდება... თუმცა, უკვე დაბრუნების დრომ მოაწია. მზე კარგა ხანია გადაიწვერა.

— კირი პირველად ამ კედლის ასაშენებლად გამოიყენეს? — იკითხა კალამმა, თან ყურადღებით ათვალიერებდა დიდი სიზუსტითა და გულმოდგინებით ნაგებ კედელს.



— რას ამბობთ! კირი გაცილებით ადრე იცოდნენ, მაგრამ ასე გონივრულად და ასეთი დიდი რაოდენობით, როგორც ამ კედლის მშენებლებმა გამოიყენეს, მანამდე არავის გამოუყენებია. დიდმა კედელმა სწორედ კირის წყალობით მოაღწია ჩვენამდე და ოცდასამ საუკუნეს გაუძლო.

— მართლაც... ეს კედელი ღირსეული ძეგლია ნამდვილად დიდი აღმოჩენისა! — წარმოთქვა ჩაფიქრებულმა კალამმა.

— თანაც ერთისა კი არა, ორისა! — შეუსწორა ცარცმა. — კირის გარდა, ჩინელმა კალატოზებმა კიდევ ერთი ახალი სამშენებლო მასალა გამოიყენეს. კირის ხსნარს ხრეში შეურიეს და კირის უმტკიცესი ბეტონი მიიღეს. ჟამთა სვლამ ამ ბეტონით აშენებულ კედლებსაც ვერაფერი დააკლო. მათი დათვალიერებაც შეგვეძლო... მაგრამ ამისთვის ცოტა სხვანაირი სურათის დახატვაა საჭირო. მე კი... — ცარცმა ხელები გაშალა... — როგორა გგონიათ, ცოტა არ გავხდი?

— გახდი მაშა, განახევრდი და ეგ არის! — ამოიოხრა დეიდა ჩვარმა. — დიდი ხანია შეგატყვე, რომ ილეოდი, მაგრამ თქმას ვერ გიბედავდი. ქვის რომელიმე სენი ხომ არ შეგეყარა?

— არა. ყველაფერი თავის რიგზე მიდის, — ნაღვლიანად ჩაიცინა ცარცმა. — მე უბრალოდ ხატვისგან ვილევი, არც მეტი და არც ნაკლები. ძალ-ღონეს ვზოგავ და ვცდილობ, მხოლოდ აუცილებელი რაც არის, ის დავხატო. გულახდილად გეტყვით, მეგობრებო, ძალიან მინდა პირველ სექტემბრამდე მივატანო... მოვა რომელიმე პირველკლასელი, ამიღებს და ბატიფეხურ ასოებს გამოიყვანს ჩემით.. მერე კი... — ცარცმა ხელი ჩაიქნია.

— ა... აბა, რას ამბობ! — იწყინა ბიძია გლობუსმა. — ჯერ ჩვენზე უფრო უპრიანია. მაგას ნულარ გამაგონებ.



— როგორ გეკადრებათ, ძმობილო, შენ ხომ კირქვა ხარ! — გაამხნევა ამხანაგი კალამმა. — ჩემზე უკეთ მოგეხსენებათ, კირქვები მილიონ წელს ძლებენ.

დეიდა ჩვარმა ხმა არ ამოიღო, მხოლოდ თავი გააქნია და თავის საქმეს მიჰყო ხელი.

რამდენიმე სეკუნდში მეგობრები ისევ კლასში გაჩნდნენ.

მართალია ჯერ კიდევ ბნელოდა, მაგრამ ქუჩის ფარანი ჩამქრალიყო. ცაზე ისევ კიაფობდნენ დიდრონი ვარსკვლავები. პატარები კი თითქოს განთიადის მოახლოებამ შეაშინაო, ერთი მეორის მიყოლებით ქრებოდნენ. ეს ალბათ იმიტომ ხდებოდა, რომ პატარები საერთოდ დიდებზე ადრე მიდიან ხოლმე დასაძინებლად.

ცარცი და დეიდა ჩვარი დაფის რაფაზე ავიდნენ და დასასვენებლად ჩამოსხდნენ. ბიძია გლობუსი და კალამი საკლასო ოთახის კედლის გასწვრივ მიმოდიოდნენ, თან ყურადღებით ათვალიერებდნენ ამ ჩვეულებრივ, უბრალო, მაგრამ ამასთან საკვირველ ნაგებობას.

— ე... ერთი მითხარით, მაინც რა კავშირი აქვს ჩვენს კედელს კირქვებთან? — იკითხა უცებ ძველმა გეოგრაფმა. — ჩინეთის კედელი კიდევ ჰო, მაგრამ ჩვენი კედლის აგურები კირით კი არა, ცეშენტით არის აშენებული! აი, თქვენი თვალით ნახეთ. — და მან კა-

ლამი რადიატორთან მიიყვანა. რადიატორთან ბათქაში ჩამონგრეული იყო და ერთმანეთზე დალაგებული აგურები მოჩანდა.

კალამმა აგურებს შორის ჩაყოლებული რუხი ფერის გაქვავებული ხსნარი მოსინჯა და მხრები აიჩეჩა:

— რამდენადაც ვიცი, დიდი ხანია ცემენტმა კირის ადგილი დაიკავა და იგი განდევნა.

— ჯერ ერთი, კირს ახლაც ხშირად უმატებენ სამშენებლო ხსნარში, მეორე, თვითონ ცემენტი, თუ შეიძლება ასე ითქვას, კირის ღვიძლი შვილია, და მესამე, უნდა მოგახსენოთ, რომ ყველა აგური ერთნაირი არ არის: ზოგიერთი, უწინდებურად თიხისგან შზადდება, ნაწილი კი, მაგალითად, ის აგური, რომლითაც ჩვენი სკოლაა აშენებული, კირისგან არის გაკეთებული.

ცარცი დაბლა ჩამოხტა და ამხანაგებთან მივიდა.

— გაიძახით „ცემენტი", „ცემენტიო". თუ იცით, რა არის ცემენტი?

— რო.. როგორ გითხრა... რუხი ფერის ფხვნილია... — ენა დაება ბიძია გლობუსს. — აი, თიხასა ჰგავს, მხოლოდ უფრო მაგარია.

— მე დაფქვილი ქვა უფრო მგონია, — თქვა დაეჭვებულმა კალამმა.

— ე, თქვენც იტყვით რა! ცემენტი ერთმანეთში შერეული და მერე გამომწვარი კირქვა და თიხაა.

— იქნება ესეც დაწვრილებით აგეხსნათ, ჰა? — სთხოვა კალამმა.

— დი... იდად დაგვავალებთ! — მხარი აუბა ბიძია გლობუსმა. — მართლაც, ძალზე საინტერესო ყოფილა ქვის ისტორია.

— თან ამ უდროო დროს ხომ არ დავიძინებთ! — შენიშნა დეიდა ჩვარმა. — უკეთესია, რამე გვიამბოთ.

— რაკი გაინტერესებთ, კეთილი, გიამბობთ, ოღონდ, გახსენება უნდა მაცალოთ. — ცარცმა შუბლი შეიჭმუხნა და დაფიქრდა. — ჰო, გავიხსენე. ძველ დროში კირის სამშენებლო თვისებების გაუმჯობესების მიზნით, კალატოზები ხსნარში ქვიშასთან ერთად ხაჭოს, ხარის სისხლს და სელის ჩენჩოს ურევდნენ. ზოგიერთი მშენებელი გახურებულ კირქვას რძეში აგდებდა. ამ ხერხით მიღებული სამშე-

ნებლო მასალა გაცილებით უკეთესად ადუღაბებდა ქვას და სინესტესაც ნაკლებ ითვისებდა. მაგრამ ასეთი გზით მიღებულ საშენ მასალას ერთი დიდი ნაკლი ჰქონდა: ძალზე ძვირი ჯდებოდა მათი დამზადება. და, აი, დაახლოებით ათასი წლის წინ, კიევის რუსეთში, რომელიღაც ქვის მთლელმა კრამიტისა და აგურის ნატეხები დანაყა და ის გაურია ხსნარს. რატომ მოიქცა ასე, ძნელი სათქმელია. იქნება ქვიშაზე წასვლა დაეზარა, უვარგისი კრამიტი და ჭურჭელი კი იქვე ეყარა?

ასე იყო თუ ისე, აგურის და ჭურჭლეულის ნამტვრევები (მათ „ცემიანკებს" ეძახდნენ) ხსნარში მოხვდა. კალატოზების გაკვირვებას საზღვარი არა ჰქონდა, კედელი ძალზე მტკიცე რომ გამოვიდა. ამ ხნიდან მოკიდებული „ცემიანკას" საგანგებოდ უმატებდნენ სამშენებლო ხსნარში. ასეთი ნარევი არა მარტო მტკიცედ აკავშირებდა ქვებს, არამედ უფრო სწრაფადაც მაგრდებოდა და წყალიც ვერაფერს აკლებდა. კალატოზებმა ესეც სცადეს: კირქვას სველი თიხა დაუმატეს, მაგრამ ამან ხსნარი გააუარესა.

პეტრე I-ის დროს მშენებლებმა კირქვისა და თიხის გამოწვით მიიღეს პირველი ცემენტი, მაგრამ იგი კირზე უკეთესი კი არა, უარესი გამოდგა. არავინ იცოდა, რა პროპორციით უნდა გაერიათ ერთმანეთში კირქვა და თიხა, რა ტემპერატურაზე გამოეწვათ. თან იმ დროს თერმომეტრიც არ იყო ჯერ გამოგონილი. ცემენტის ხელახალი და ნამდვილი აღმოჩენა გასული საუკუნის დასაწყისში ერთდროულად მოხდა რუსეთსა და ინგლისში. „ღუმელში უნდა გამოიწვას სამი წილი კირქვისა და ერთი წილი თიხის ნარევი!" — დაადგინეს ინჟინრებმა.

რეცეპტს პირდაპირ ჯადოსნური შელოცვის უნარი აღმოაჩნდა. ამ რამდენიმე, ჭეშმარიტად, მაგიური სიტყვის წყალობით, უმოკლეს დროში მთელ რიგ ქვეყნებში ათობით და ასობით ცემენტის ქარხანა გაჩნდა.

მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ ცემენტი ძალზე კარგი სამშენებლო მასალაა, კირი მაინც არავის გადავიწყებია. მეტსაც გეტყვით, ახლა რომ კირს საქმე აქვს, იმდენი უწინ სადა ჰქონდა. აი, ამის თქმა მინდოდა. მე დავამთავრე. — ცარცი სარკმელს მიუახლოვდა. — კარგი იქნებოდა, ექსკურსია რომ მოგვეწყო რომელიმე

ცემენტის თანამედროვე ქარხანაში, მაგრამ — ცარცმა სახურავების სილუეტებზე მიუთითა, რომლებიც მკრთალად გამოსახულიყო რუხ მინაზე. — სადაც არის გათენდება. დღეს ვეღარ მოვასწრებთ.

— ძა...ლზე მეწყინა! — დაიჭრიალა ბიძია გლობუსმა. — ქარხანა თვალით არ მინახავს!

— მე კი ფაბრიკაში ვარ ოდესღაც ნამყოფი, — გაიხსენა დეიდა ჩვარმა. — ასე გასინჯეთ, ორი ფაბრიკაც კი მაქვს მოვლილი: სართავი და საქსოვი. თუმცა იქაურობისა ბევრი არაფერი ძახსოვს. ქარხანა, გამოგიტყდებით, არც მე ვიცი რანაირია.

— ბარემ ქარხანაზეც გვიამბეთ რამე! — სთხოვა კალაძმა ცარცს. — დაძინებამდე მაინც კარგა დრო გვაქვს ღარჩენილი.

— იყოს თქვენი ნება, — დაეთანხმა ცარცი. — მაშინ ჯერ უნდა დავხატო. ცხადია, მთლიანად კი არა, მხოლოდ მთავარ საამქროს, ასე ვთქვათ, მის გულს გიჩვენებთ.

ცარცმა არ დააყოვნა, უმალ შეუდგა ხატვას. მალე დაფაზე დიდი დარბაზის გამოსახულება გაჩნდა. დარბაზში ერთი ვეებერთელა კბილანაბორბლებიანი მილი იყო გადებული თავიდან ბოლომდე,

— ეს მბრუნავი ღუმელია, — განუმარტა ცარცმა მეგობრებს. — დაფაზე ჩანს ასე პატარა, თორემ სიგრძით ისეთია, ჩვენი ქუჩის მოსახვევში რომ დადგა, აქამდე მოაღწევს. სიმაღლით კი ჩვენი საკლასო ოთახის ჭერს მისწვდება. ერთი სიტყვით, კარგა მოზრდილი გვირაბია! ამ მილს მძლავრი ელექტრომოტორები აბრუნებს. ღუმელს დაფშვნილი კირქვისა და თიხის ზუსტად განსაზღვრულ ულუფას აწვდიან. დაქანებული მილი ბრუნავს, ნედლ საშენ მასალას ერთმანეთში ურევს და ნელა მიაგორებს აბრიალებული კოცონისაკენ, რომელიც ღრიალითა ნთქავს ამ ულუფას. ღუმელში ნახშირის მტვერი ანთია, რომელიც დაჭირხნული ჰაერით შეჰყავთ დასაწვავად. მილის ყოველ შემობრუნებაზე კირქვის და თიხის ნარევი ქვევით მიიწევს და უფრო მეტად ხურდება. ჯერ ჰაერი ორთქლდება ამ შენარევიდან, შემდეგ სხვადასხვა ქიმიური პროცესები იწყება და ბოლოს, ღუმელის სიმხურვალე ათას ხუთას გრადუს ტემპერატურას რომ მიაღწევს, თიხისა და კირის შეერთება ხდება. ამის შედეგად მიღებულ სორსლოვან, მორუხო-მომწვანო ფერის მასას — მას კლინკერს უწოდებენ — ღუმელიდან გადმოყ-



რიან და გააცივებენ. შემდეგ კლინკერი სპეციალურ წისქვილში გადააქვთ. წისქვილში უზარმაზარი ქვის სფეროები ბრუნავს და კლინკერს მტვერივით წმინდა ფხვნილად აქცევს. ეს ფხვნილი ცემენტი გახლავთ.

ამრიგად, ფოლადის მილში, წისქვილის კბილებში და ბოლოს სამშენებლო უბანზე წყალში გამოვლილი ცემენტი მტკიცდება და ნამდვილ გოლიათად იქცევა. ცემენტისგან დამზადებული ოცი სანტიმეტრის სიმაღლის ბლოკი პირამდე დატვირთული ორი ვაგონის დაწოლას უძლებს. ამავე ზომის აგურს ეს სიმძიმე მტვრად აქცევდა. ასე გამოდის, რომ ქვის წებო იმაზე მტკიცეა, რასაც თვითონ ერთმანეთთან აწებებს.

ხშირად ცემენტს უფრო ადვილი ხერხით ღებულობენ — კირქვისა და თიხის საგანგებოდ დამზადებული შენარევის გარეშე. ბუნებაში ასეთი შენარევი ხომ ზოგჯერ მზა სახით მოიპოვება. ამ მთის ქანს თიხოვან კირქვას, ანუ მერგელს უწოდებენ. ცემენტის ქარ-

ხნის აშენება ყველაზე ხელსაყრელი სწორედ იქ არის, სადაც მერგელის დიდი მარაგი არსებობს.

იმის მიხედვით, თუ რას უნდა მოახმარონ ჯადოსნური წებო, დაფქვისას კლინკერს თაბაშირს, წიდას და სხვა ნივთიერებებს ურევენ. ერთი სახის ცემენტს შენობების ასაგებად ხმარობენ, მეორეს — მიწისქვეშა ნაგებობებისათვის, მესამეს — წყალქვეშა საჰუშაოებისთვის, მეოთხეს — გზების მშენებლობაზე, მეხუთეს — ლუმელების დასამზადებლად, მეექვსეს — სხვადასხვა ქიმიურ დაწესებულებათა ნაგებობებისათვის. არის ცემენტი, რომელიც გაშრობისას არ იკუმშება. ზოგიერთი, პირიქით, ფართოვდება კიდეც. ამ ცემენტს მილებისა თუ გვირაბების სიცარიელეების ამოსავსებად ხმარობენ.

ცემენტის უდიდესი ნაწილი ბეტონის დამზადებას ხმარდება. ბეტონი ცემენტის ხსნარს წარმოადგენს, რომელშიც ხრეში, ქვიშა ან სხვა რომელიმე მასალა არის გარეული. ბეტონის ფაფასავით ხსნარში თუ რკინის „წნელისგან“ მოწნულ კარკასს ჩავდგამთ, რკინა-ბეტონს მივიღებთ. მას შემდეგ, რაც ადამიანებმა მტკიცე ცემენტის დამზადება ისწავლეს, ნამდვილი ბეტონის ეპოქა დაიწყო. გიგანტური კაშხალები თუ ელექტროსადგურის ნაგებობანი, ხიდები, ჯებირები და ნავსადგურის მისადგომები, ბრძმედების საძირკველი, უდიდესი საგლინავი დაზგები, ქარხნების კორპუსები, ელევატორები, სტადიონები, გვირაბები — ყველაფერი მისი უდიდებულესობის, — ბეტონის დახმარებითაა აგებული!

ამ ბოლო დროს ქარხნებში დაიწყეს ბეტონისგან კედლების, ჭერის, კიბეების დამზადება. ახლა მშენებლებს ისღა რჩებათ, რომ საჭირო ადგილზე გადაიტანონ და დაამონტაჟონ მზა ნაწილები. რკინა-ბეტონით საზღვაო ხომალდების კორპუსსაც ამზადებენ. საოცრად სწრაფად, საიმედოდ და იაფად შენება ბეტონის წყალობით გახდა შესაძლებელი. და მე ვამაყობ, რომ სწორედ ჩვენგან, კირქვებისგან, წარმოიშვა ეს ზღაპრული, თუმცა ხელოვნური, მაგრამ მარადიული ქვა.

— ეგრეც რომ იყოს, ბოლოს და ბოლოს ბეტონი მაინც ადამიანის მოგონილია! — დააზუსტა დეიდა ჩვარმა. — კირქვები კი... ღმერთო ჩემო, ლაპარაკში არ შემოგვთენებია!

ახლაღა შენიშნეს, რომ სარკმლები მთლად განათებული იყო; ღრუბლებს მოხდენილი ვარდისფერი წამოსასხამები მოეხურათ და ვერცხლისფერ ცაზე გარინდულიყვნენ განთიადის მოლოდინში.

წუთიც და კლასში სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა. მხოლოდ გაციებული დეიდა ჩვრის ხმაღა ისმოდა: ორ ნოტიან პატარა გამაში ვარჯიშობდა ცხვირით. იქნება ჩვრის ცხვირი არც არაფერი შუაში იყო და სარდაფიდან ამოდიოდა ჭრიჭინობელას ხმა!

მეგობარო, ამ თავის დამთავრება აქ შეიძლებოდა, ისედაც ძალზე დიდი გამოვიდა, მაგრამ სანამ მომდევნო თავზე გადავიდოდე, მაინც მინდა, რაღაც გიამბო ცარცის შესახებ. შენც შეატყობდი, ძალზე თავმდაბალია და თავის თავზე არაფერს ლაპარაკობს.

ცარცმა კირქვების მრავალრიცხოვან ოჯახზე ბევრი ილაპარაკა. ამ ოჯახის ერთ-ერთი ღირსეული წევრი თვითონაც გახლავთ და მშენებლობებზე ძალზე მიღებულად ითვლება. საუკეთესო კირი ხომ ცარცისგან მზადდება. ცარცისგან მზადდება, აგრეთვე, ჭერისა და კედლების შესათეთრებელი ხსნარი, უსწორო ადგილების, ნაბზარების თუ მინების დასაგმანი საგოზავი (ცარცის ფხვნილი რომელიმე თხევად ზეთს, მაგალითად, ალიფას უნდა შეურიოთ და საგოზავი ხელთ გექნებათ.).

იატაკზე დასაფენი ლინოლეუმიც კი შეიცავს ცარცს. აქ კი შეგვიძლია წერტილი დავსვათ და მომდევნო და უკანასკნელ თავზე გადავიდეთ.

და უკანასკნელი. ამ თავში ჩვენს გმირებთან ერთად მოგიხდება მურა მთების გადავლა და იმ დიდებულ, ცეცხლოვან სამეფოში მისვლა, რომლის ზღაპრულ სამზარეულოშიც რკინის გოლიათებს სადილს უმზადებენ. იმასაც გაიგებ, წყალმა და ქვამ ფოლადი როგორ გაადნეს. შეიტყობ, რომ არსებობს სრულიად ჩვეულებრივი ქვის კალოშები და მრავალი სხვა არანაკლებ საოცარი ამბის მოწმე გახდები.

...მოხუცი დამლაგებელი ქალი, რომელსაც სკოლის მთელი საბრძანებელი ხელთ ეპყრა, თავის რძალთან გაემგზავრა დღეობაზე. ვესტიბიულში ჩამოკიდებულმა დიდმა საათმა დრო იხელთა, იფიქრა, ახლა მაინც დავისვენოო, და გაჩერდა.

მრუმე ფერის, მსუბუქმა საღამომ მთელი ღამე და დღე სარდაფში გაატარა. დადარაჯებული იყო და სულ იმას წუხდა, ზევით ასვლის დრო არ გამომეპაროსო.

ბოლოს, როგორც იქნა, ეღირსა ზევით ამოსვლა, კატასავით უხმაუროდ დაიარა დერეფნები და კიბეები; მზეს რომ კუთხეში ათინათი დარჩენოდა, თავში წაჰკრა, გარეთ გააგდო, მერე ქუჩაში გავიდა, ფარანს მხარი ეუარა და ისე გაემართა ღამის შესახვედრად: ყველაფერი რიგზეაო, უნდა მოეხსენებინა.

რა ვიცი, იქნებ საღამო კი არა, დამლაგებლის ხვადი კატაც იყო და მე კი საღამოდ მომეჩვენა, მაგრამ სკოლის ყველა ნივთი ერთხმად ამტკიცებს, სწორედ რომ საღამო იყოო.

დავას როგორ დავიწყებ, ცხადია, იმათ უკეთ მოეხსენებათ.

როცა ღამემ დღისით დამტვერილ ცას ღრუბლის ტილო გადაუსვა, ისე ააბრჭყვიალა, იტყოდი, შიგ საახალწლოდ მორთული ნაძვისხე არეკლილაო, როცა შენ და შენისთანებმა თვალები დახუ-

ჭეთ და ოცნებას მიენდეთ, კლასში ნივთებმა გამოღვიძება დაიწყეს.

ხედავ, ჩემო კარგო, ნივთები ყველაფერს პირუკუ, არაადამიანურად აკეთებენ: შენ მზის ამოსვლისას იღვიძებ, ისინი კი მზის ჩასვლისას; თვალს რომ აახელ „დილა მშვიდობისაო", ამბობ, ისინი კი გამოღვიძებისას „საღამო მშვიდობისას" უსურვებენ ხოლმე ერთმანეთს. შენ როგორც კი საწოლიდან წამოდგები, მაშინვე ონკანისკენ გარბიხარ და სიამოვნებით იხეხავ სახეს, კისერს და მხრებსაც კი... რა?! შენ მგონი, რაღაცის თქმა დააპირე? რამეში ხომ არა ვცდები? არა? ეტყობა, მომეჩვენა! მაშასადამე, შენ პირის დასაბანად გარბიხარ, ნივთებს კი ოღონდ წყლის სახელს ნუ გააგონებ და თუ გინდა დაამტვრიე.

ბოლოს, პირს რომ დაიბან, საუზმეს მიუჯდები ხოლმე, ნივთები კი არასდროს არა საუზმობენ (მათ არც სადილი იციან და არც ვახშამი).

მკითხავ, მაშ რას აკეთებენ, როცა გაიღვიძებენო!

მუსაიფობენ, მეგობარო. საგნები როცა მარტონი რჩებიან, ყოველთვის ბაასობენ.

— რაზე?

უმეტესად ნათესავებზე. ადამიანებმა, რატომღაც უფრო ნაცნობ-მეგობრებზე იციან ლაპარაკი, ნივთებმა კი — ნათესავებზე.

ძველ, გამოცდილებით დაბრძენებულ ნივთებს წარმოშობითა და სახელგანთქმული გვარეულობით ძალიან მოაქვთ თავი. ახლად გაკეთებული ნივთები პირდაღებულნი უსმენენ უფროსებს, შურთ მათი და ამაოდ ცდილობენ იმის გახსენებას, თუ რისგან იყვნენ გაკეთებულნი მათი პაპები და ბებიები...

თვითეული ნივთი ცდილობს დაამტკიცოს, ადამიანებს ყველაზე მეტად სწორედ ჩვენ ვჭირდებითო. მაგრამ რაკი ადამიანი ყოველთვის მხოლოდ იმას აკეთებს, რაც ყველაზე მეტად სჭირდება, ამ კამათის დამთავრებას საშველი აღარ დაადგა.

მეგობარო მოდი, ისევ ჩვენს პატარა გმირებს დავუბრუნდეთ. ცარცის გარდა ყველამ გაიღვიძა და ნათესავებზე ლაპარაკობდნენ.

— ბედნიერია ჩვენი ცარცი, მთელი ქვეყანა რომ შენი ნათე-



სავი იქნება, ბედნიერი იქნები, აბა, რა! — დაიწყო წუწუნი დეიდა ჩვარმა. — მე კი ერთი ობოლ-ოხერი ვინმე ვარ. ბამბის, ძაფისა და ქსოვილის მეტი არავინ მაბადია.

— თქვე... ენ კიდევ რა გიჭირთ! — გამოეხმაურა ბიძია გლობუსი. აი, მე და ჩემი უფროსი და — დედამიწა — ნამდვილად ობლები ვართ.

— მე კი ჩემს ბედს ვერ დავემდურები, — ცოტა არ იყოს, ამაყად განაცხადა კალამმა. — ურიცხვი ნათესავი მყავს, მაგრამ ხეირიანად არც ერთს არ ვიცნობ. არაფერია! აი, ნახშირს და ნავთობს ვეწვევი და იმათ გამოვკითხავ ჩემი დების, ძმების, ბიძების, დეიდა-მამიდების, ბებიების, მოყვრების და მძახლების ვინაობას...

— თან, ალბათ, ყველა დიდი საქმით იქნება დაკავებული! — შურით ჩაილაპარაკა დეიდა ჩვარმა. — თქვენი ნათესავების მეათედი მომცა და მერე გინდა მომკლა!

საკლასო ოთახის დაფის რაფაზე ვიღაცამ გაიფხაკუნა, მერე ორი გამხდარი ფეხი გამოჩნდა, შემდეგ კი თვითონ ცარციც წამოიმართა.

— ღამე მშვიდობისა! — მთქნარებით მიესალმა მეგობრებს. — ვინ არის უნათესაობას რომ ჩივის? თქვენა, დეიდა ჩვარო? თქვენ ხომ ზღვა ნათესავი გყავთ.

— ჰო, დამცინეთ, სასაცილოდ ამი-

გდეთ ამ ხნის ქალი! რას ვიზამთ, ჩვენ უბრალო ნივთები ვართ, სახლებს არავინ აშენებს ჩვენით...

— დაგცინით?! რას ამბობთ. თქვენ მართლა არ იცნობთ თქვენს მრავალრიცხოვან ნათესაობას. აი, მაგალითად, თქვენი გვარის საფუძვლის ჩამყრელი, ბამბა ავიღოთ... მისგან მხოლოდ მარმაშს, თოკს, ბაწარს და მეთევზეთა ბადეს კი არ აკეთებენ... მისგან ფეხსაცმლის მტკიცე საპირეებს, ამძრავ ღვედებს, სატრანსპორტიორო ლენტებს, ავტომანქანების საბურავებსაც ამზადებენ.

იმას რატომ აღარ იკითხავთ, ქაღალდს რისგან ღებულობენ?!

მართალია, ქაღალდს უპირატესად ხის მერქნისგან ამზადებენ, მაგრამ კარგი ხარისხის ქაღალდის მისაღებად ბამბეულის ძონძებია საჭირო. ასე, რომ ერთ დღეს თქვენც კარგ წიგნად გადაიქცევით.

ცელულოზის შესახებ თუ გაგიგონიათ რამე?

ბამბის ცხრა მეათედს ცელულოზა წარმოადგენს, მერქანში კი ეს ნივთიერება გაცილებით ნაკლებია. ცელულოზისგან ამზადებენ ხელოვნურ აბრეშუმს და ტყავს, კინოფირს, გამძლე და უნამსხვრევო მინა ტრიპლექსს, რომელსაც თვითმფრინავებსა და მანქანებში იყენებენ. ერთი სიტყვით, ცელულოზა მრავალი სახის პლასტმასის მისაღებ ნედლეულს წარმოადგენს. გესმით? პლასტმასის მისაღებ ნედლეულს!

დეიდა ჩვარო, პატივცემული კალმის გულში ჩაკვრა ხომ არ მოგინდათ? რა იცით, იქნება ღვიძლი ნათესავებიცა ხართ.

— ნათესავებიო!.. — წამოიძახა გაკვირვებულმა დეიდა ჩვარმა. მან უნდობლად დაიხედა ჩამოძენძილ კაბაზე და მერე თვალისმომჭრელად გამოწყობილ კალამს გადახედა. — მაშ, ჩვენ... ნათესავები ვართ?

სახტად დარჩენილმა კალამმა სიტყვის თქმა ვეღარ მოახერხა.

ცარცმა პატარა ხანს შეიცადა, სიამოვნებით უყურებდა დაბნეულ და გაოცებულ მეგობრებს, მერე ბიძია გლობუსს მიუბრუნდა:

— მოგვიახლოვდით, ბერიკაცო. რამდენადაც ვიცი, თქვენი ორივე ნახევარსფერო პაპიემაშეთია გაკეთებული. პაპიემაშეს კი ქაღალდისგან ამზადებენ. ამრიგად, ქაღალდის საგვარეულო შტოს თუ გავყვებით, თქვენც ნათესავად ეკუთვნით დეიდა ჩვარს. ამას-

თან, ჩვენს კალამსაც შორეულ ნათესავად მოხვდებით. თქვენი ღერძიც იმ ფოლადისგან არის დამზადებული, რომლისგანაც კალმისწვერია გაკეთებული.

ახლა რაღას იტყვით? ყველას გყოფნით ნათესავები? თუ ვიხმეს გულს აკლია, რამდენსაც მთხოვთ, იმდენ ნათესავს დაგითმობთ.

— ხუ... უ... უმრობით თუ მართლა? — ჰკითხა საბოლოოდ დაბნეულმა ბიძია გლობუსმა.

— მართლა!

— ერთ წუთს დამაცადეთ! — ვერ მოითმინა კალამმა. — თქვენ აკი არაფერი გაკავშირებთ არც პლასტმასასთან, არც ფოლადთან და არც ქაღალდთან!

— ჩვენ, კირქვებს, ამქვეყანაზე თითქმის ყველაფერთანა გვაქვს კავშირი.

— ეს კი მეტისმეტი მოგვიდათ! — მოიღუშა კალამი. — არც ასეთი ბაქიაობა ვარგა! თქვენი, მშენებელთა გვარის, დაშსახურებაში ეჭვი არავის ეპარება, მაგრამ, გეთაყვათ, როცა ფოლადზე ვლაპარაკობთ, აბა, კირქვა რა მოსატანია?

— იცით, რას გეტყვით!.. — გაბრაზდა ცარცი. — თუ გინდა, სწორედ ჩვენ, კირქვები, ვართ პირველი მეტალურგები! უჩვენოდ ფოლადის დნობა გაგონილა?

— როგორ არა გრცხვენიათ! — თავი გააქნია კალამმა. — თითისხელა ბავშვებმაც კი იციან, რომ ფოლადს თუჯისგან ადნობენ. თუჯს კი მადნისგან ღებულობენ.

— კი... ი... დევ კოქსია საჭირო, — დასძინა ბიძია გლობუსმა. — ეს იგივე ქვანახშირია, მხოლოდ საგანგებო, ყრუდ დახურულ ღუმელში გამომწვარი. ამ ღუმელში ჰაერი ვერ უნდა ატანდეს.

— ე-ეჰ! — ხელი ჩაიქნია ცარცმა.—კამათიც არ ღირს თქვენთან. აღარ გედავებით.

— ასე აჯობებს! — დაეთანხმა კალამი.

— ზოგჯერ მეც მომივლის ხოლმე ტრაბახის ჟინი, მაგრამ თავს ვიკავებ! — დამრიგებლურად განაცხადა დეიდა ჩვარმა.

გამწყრალმა ცარცმა ალმაცერად გადახედა ჩვარს, უხმოდ შეაქცია ზურგი და თავის ადგილს მიაშურა რაფაზე.

— შემოგვწყრა! — გადაუჩურჩულა დეიდა ჩვარმა კალამს.

— არაფერია, მოუხდება. აბა, რას ტრაბახობდა რომ ტრაბახობდა!

— მა... ა... აინც ცუდად გამოგვივიდა, — ჩაიბუტბუტა ბიძია გლობუსმა. — ჩხუბი როგორ შეიძლება! — იგი დაფასთან მივიდა და ცარცს ასძახა: — და... ამიჯერეთ! გაბუტვასა და კინკლაობას ის აჯობებდა, რამე დაგეხატათ და სამოგზაუროდ წავსულიყავით.

— მეც სწორედ მაგას ვაპირებ, — მშვიდად მიუგო ცარცმა.

— ერთი ეს მი... ითხარით, შორს ხომ არ მოგვიხდება წასვლა?

— არა, არც თუ ისე შორს. ცხრა მთას გადავივლით, და ერთ ცეცხლოვან სახელმწიფოს მივადგებით.

— ეს რომელი ზღაპარიღაა? — ჰკითხა გახარებულმა დეიდა ჩვარმა. — ამქვეყანაზე ზღაპარზე მეტად არაფერი მიყვარს!

— ცარცი ხუმრობს, თქვენ კი მართალი გგონიათ ყველაფერი! — ჩაიცინა კალამმა.

— არა ვხუმრობ, — ჩამოსძახა ცარცმა, თან დაფაზე რაღაც კოშკებსა და თაღებს ხატავდა. — ჩვენ ახლა ყველაზე საოცარ, ზღაპრულ სამზარეულოში გავემგზავრებით, რომელიც რკინის გოლიათებს დღედაღამ საჭმელს უხარშავს.

ამასობაში სურათზე, კოშკების გვერდით, უზარმაზარი მილების უცნაური ხლართები და რაღაც რიკულებიანი ხიდები გაჩნდა. რაც დრო გადიოდა, მით უფრო მეტი თეთრი ხაზები, ზოლები, წერტილები. და კლაკნილები ჩნდებოდა შავ დაფაზე. ამ ხაზებმა ბოლოს ისე დაქსელა შავი ზედაპირი, რომ მეგობრებს თვალთ აუჭრელდათ, სურათი კი სრულიად გაუგებარი გახდა.

— ამას ზღა... აპრისა არაფერი სცხია, — შენიშნა ბიძია გლობუსმა.

— სამაგიეროდ, ზღაპარზე უფრო საინტერესოა. — ცარცი დაფის რაფიდან ჩამოვიდა და დეიდა ჩვარს უთხრა, სურათის გარდა ყველაფერი წაშალეო.

როგორც კი ჩვარი საქმეს შეუდგა, კლასში უფრო ჩამობნელდა. საიდანღაც კვამლის და აბზინდის სუნი მოიტანა ნიავმა.

თეთრი ხაზები თანდათან გაფერმკრთალდა. დაფა გაანათა სუსტმა მოვარდისფრო შუქმა, რომლის ფონზე ცხადად გამოიკვეთა რაღაც საოცარი ნაგებობის სილუეტი.

ერთი წუთის შემდეგ მოგზაურები ბნელით მოცულ ტრამალზე მოგიზგიზე დაფიონისაკენ მიაბიჯებდნენ. იქ რაღაც ღრჭიალებდა, შიშინებდა და ქშინავდა.

— საით მივდივართ? — ჰკითხა ცარცს შეშფოთებულმა დეიდა ჩვარმა. — იქ ხომ ცეცხლია!

— ცეცხლი და მერე რა ცეცხლი! — უპასუხა ცარცმა. — ცეცხლოვან სახელმწიფოში მივდივართ.

— ასეთი სახელმწიფო არც გამიგონია! — საუბარში ჩაერია ბიძია გლობუსი. — მე დედამიწის ყველა სახელმწიფო, რესპუბლიკა, სამეფო და საბრძანებელი ვიცი. სამხრეთ ამერიკის ბოლოში



ცეცხლოვანი მიწა რომ არსებობს, არც ეს გამომრჩენია, ცეცხლოვანი სახელმწიფო კი ზღაპრადაც არა მსმენია.

— მართალსა ბრძანებთ. მაგრამ მიუხედავად ამისა, თქვენს წინაშე ნამდვილად ცეცხლოვანი სახელმწიფოა!

— მე მგონი, ეს ქარხანა უნდა იყოს! — გადაჭრით განაცხადა კალამმა.

— ესეც მართალი ბრძანებაა, — დაეთანხმა ცარცი. — ქარხანა კი არა, მთელი მეტალურგიული კომბინატია. მე თუ მკითხავთ, მას ცეცხლოვანი სახელმწიფო უფრო უხდება, მაგრამ, მოდი, ნაბიჯს ავუჩქაროთ. სამწუხაროდ, ზღაპრული სამზარეულო ძალზე შორს დავხატე. აგერა, ხედავთ! — ცარცმა ამხანაგებს კაშკაშა ფონზე გამოსახული შავი კოშკები დაანახვა.

ცამდე აღმართული გიგანტი ფოლადის მსხვილ მილებს ისე მოექციათ მარწუხებში, გეგონებოდა, ზღაპრული მახრჩობელები შემოხვევიანო.

— „სამზარეულო-საოცრება!“ — ჩაიფრუტუნა კალამმა. — ეს ხომ უბრალო ბრძმედია და მეტი არაფერი.

— უბრალო? განა უხეში, უფორმო ქვის, ანუ მადნის გადაქცევა წკრიალა, მოქნილ მეტალად საოცრება არ არის? და რკინის რამდენი ქარხანა-გოლიათი ელოდება ამ საოცრების შედეგს, რომ შემდეგ თვითონ ათასი სხვა საოცრება ჩაიდინონ — მძიმე ზოდები რთულ დაზგებად, ხელსაწყოებად, მოხერხებულ, გამგონე მანქანებად აქციონ... ახლა კი აქეთ მობრძანდით!

ცარცი ხის მაღალი მესერის ღრიჭოში გაძვრა.

მესერს იქით მოგზაურებს ფანტასტიკური სანახაობა გადაეშალათ თვალწინ. აბრიალებული ცეცხლის ენები ცისკენ ავარდნილიყო და თვალისმომჭრელად ირხეოდა სიბნელეში. ირგვლივ ნაპერწკლების ფანტელები ცვიოდა. გეგონებოდა, კუპრივით ბნელ ღამეში ცეცხლოვანი ღრუბლები ამოტივტივებულა და ერთბაშად აფეთქებულაო.

ბრძმედის მხრიდან რომ ბოხი გუგუნი ისმოდა, თანდათან ისე გაძლიერდა, იფიქრებდი, ვიღაცას მილიონობით კელასათვის ბუდეები აუშლიაო.

— ახლა მზა თუჯს ასხამენ! — განუმარტა მეგობრებს ცარცმა.

— მი... მითხარით, ეს რა ბუბუნია? — დაინტერესდა ბიძია გლობუსი.

— ბრძმედის სუნთქვის ხმაა, — აუხსნა ცარცმა, — ბრძმედის რკინის ფილტვებს მთელი საამქრო უკავია. იქიდან მანქანა-დანადგარები მილების საშუალებით ღუმელისკენ ჰაერის ნაკადს ერეკებიან. აგერ, იმ მილებზე მოგახსენებთ, ხედავთ? მილების ერთი ნაწილი ჰაერით ცეცხლს აჩაღებს, მეორე კი ბრძმედიდან უსარგებლო აირს განდევნის.

— ესეც ბრძმედია? — ჰკითხა დეიდა ჩვარმა ცარცს და ალაპლაპებული, თაღოვანი კოშკების მწკრივზე მიუთითა.

— არა, ეს კაუპერებია. სანამ ჰაერი ბრძმედში მოხვდება, მას კაუპერებში ახურებენ. სხვანაირად არაფერი გამოვა, ყველაზე მცხუნვარე ქარი ჰამსინიც, კი რომელიც საჰარის უდაბნოში ქრის, ბრძმედში რომ მიეშვათ, ტემპერატურას დასცემდა და დნობას მაშინვე შეაჩერებდა. დროს ნუ ვკარგავთ, მომყევით.

— საით?

— სამადნო ეზოსკენ.

მოგზაურებმა რკინიგზის ლიანდაგების ხლართი გადაიარეს და ციცაბო გორაკების იერიშს შეუდგნენ, ბნელოდა და ამ ნაბიჯს შეიძლება სავალალო შედეგიც მოჰყოლოდა. მოწითალო ქვები ისე იყვნენ ახერგილი ერთმანეთზე, ერთი გაუფრთხილებელი ნაბიჯი და მაშინვე ჩამოზვავდებოდნენ. საბედნიეროდ, ციცაბო ფერდობი პროექტორის შუქმა გაანათა.

ერთი გორაკი დიდის გაჭირვებით რომ გადაიარეს, წინ მეორე ყორე აღიმართა. მეორეზე აბობღება უფრო გაუჭირდათ. ვერცხლისფრად აბზინებული, ბასრი, ფხაჭნია ქვები ქვევით ცვიოდა და მგზავრებს თავბედს აწყევლინებდა.

— ის თქვენი სამადნო ეზო კი... კიდევ შორს არის? — ჰკითხა ცარცს ბიძია გლობუსმა და მტვერი ჩამოიბერტყა, როცა ჯგუფმა მწვერვალზე ააღწია.

— უკვე კარგა ხანია ჩვენ იმ ეზოში მივაბიჯებთ.

— კარგი ეზოც ესა ყოფილა! — ჩაიბუზღუნა დეიდა ჩვარმა და

ლოდის ქიმს გამოდებული კაბა გაითავისუფლა. — ერთი ამათი ვეეზოვე მაჩვენა, მე ვიცი, რა დღესაც დავაყენებდი!

— მა... აშ, ამ მთებზე გვეუბნებოდით? მოწითალო ქვა მადანიაო, რუხი კი...

— რუხი კი კოქსი. ჩვენ ახლა ვიმყოფებით... — ცარცმა სიტყვის დამთავრება ვეღარ მოასწრო. — ქვევით დაქანდით! — შესძახა რაც ძალი და ღონე ჰქონდა, თვითონ ქვევით ჩაგორდა და სიბნელეში გაუჩინარდა. — თავს უშველეთ!

მეგობრები უცებ ვერ გაერკვნენ რა მოხდა, მაგრამ მაინც მიჰყვნენ ცარცს. ერთი წამის შემდეგ იმ ადგილს, ისინი რომ იდგნენ, ღრჭიალითა და გრუხუნით ეძგერა დაღრენილი ფოლადის პირი, ქვის მთას მწვერვალი წააცალა, ყბები მოკუმა და ზევით წავიდა.

ამოსვრილმა მოგზაურებმა ერთად მოიყარეს თავი და მიაჩერდნენ რკინის მოძრავ, გიგანტურ ამწეს, რომლის კადონზე ჯაჭვით ეკიდა ციცხვის ეშვებიანი ყბა.

კიდევ რამდენიმე ასეთი ამწე ნელა მიგორავდა ლიანდაგზე ეზოს სხვადასხვა კუთხეში.

— ნუ გეშინიათ, ეს ჩვეულებრივი პორტალური ამწეებია! — გაისმა სიბნელეში ცარცის ხმა. — ისინი ბრძმედებს საკვებს უხარისხებენ. აქ მოდით!

ცარცი მაღალი, თეთრი ქვის გროვასთან იდგა.

— როგორა გგონიათ, ეს რა არის? — ჰკითხა ცარცმა მიახლოებულ მეგობრებს.

— კი... კი... კირქვა უნდა იყოს, — დაიჭრიალა ბიძია გლობუსმა. — მაგრამ აქ ვის რად დასჭირდა კირქვა? რამის აშენებას ხომ არ აპირებენ?

— საქმეც ეგ არის, რომ აშენებას არ აპირებენ. როგორც თქვენა თქვით, თუჯი მადნისა და კოქსისაგან მზადდება, არა? — მიუბრუნდა ცარცი კალამს.

— ეს თითქმის ყველამ იცის!

— მაშინ, ესეც დაიმახსოვრეთ: კირქვის გარეშე თუჯის მიღება ყოვლად წარმოუდგენელია! მხოლოდ კოქსი, რაგინდ დიდ ტემპერატურაზედაც არ უნდა იწვოდეს იგი, მადანში მოქცეულ რკინას მაინც ვერ გამოდევნის. მადნის გადნობა ერთია და სხვადასხვა, უსარგებლო

მინარევებისაგან მისი გაწმენდა კიდევ მეორე. ამ, უკანასკნელ საქმეს სწორედ კირქვა აკეთებს. როდესაც მადანი საკმარისად გახურდება, კირქვა რკინას ჩაენაცვლება, არასასურველ მინარევებს შეუერთდება და მათთან ერთად წიდის სახით ამოტივტივდება. სუფთა თუჯი კი ფსკერზე ილექება.

აგერ, ბრძმედს გვერდიდან რომ დახრილი „დერეფანი" უერთდება, მადანი, კოქსი და კირქვა პატარა რონოდებით იმ დერეფნით ააქვთ ზევით. იქ რონოდები პირქვავდება და ახალი ულუფის ასატანად დაცლილი ქვევით ჩამოდის.

უნდა მოგახსენოთ, რომ კირქვას ფოლადისა და სპილენძის გამოსადნობადაც იყენებენ. ჩვენს ქვეყანაში მოპოვებული კირქვის ნახევარზე მეტი მეტალურგიულ და ქიმიურ მრეწველობას ხმარდება.

„როგორ, ქიმიურ წარმოებაშიც გიდევთ წილი?" — უნდოდა ეკითხა კალამს, მაგრამ მოხუცმა გეოგრაფმა დაასწრო.

— ახლოდან თუ შეიძლება ვნახოთ, როგორ მუშაობს თქვენი „სამზარეულო-საოცრება".

— რატომაც არა! აქედან რაღაც ორიოდე ნაბიჯზეა.

მოგზაურებმა ერთ ხანს ისევ იყიალეს რკინიგზის ლიანდაგებზე, კირქვის, კოქსის და მადნის მთებს გვერდი აუქციეს და ის იყო გიგანტურ კოშკს მიადგნენ, რომ უცებ საიდანღაც უცნაური მატარებელი გამოხტა და გზა გადაუღობათ. პატარა ორთქლმავალი გრუხუნითა და ქოშინით მიაგორებდა ფოლადის რონოდა-ბაქნებს, რომლებზედაც ვეება ციცხვები იდგა. ციცხვები ჟოლოსფერ შუქს გამოსცემდა და ნაპერწკლების ჩანჩქერს აფრქვევდა; ჰაერში თვალისმომჭრელ შხეფებს წივილი გაჰქონდათ.

მეგობრები წითელმა „ციცინათელებმა" დააფრთხო. მოგზაურებმა ხელები აიფარეს და გვერდზე გახტნენ.

— გამდნარი თუჯი მიაქვთ ჩამოსასხმელად, — თქვა ცარცმა, როცა ცეცხლისმფრქვეველი მატარებელი თვალს მიეფარა. — აპჩხი! ფუ, კვამლით არ გაავსო აქაურობა!

— ე.. ეგ თუჯის ბრალი არ არის! — შესძახა ბიძია გლობუსმა. — ა... აი, რისი ბრალია! ხა... ანძარი! გვი...შველეთ!

— სად არის ხანძარი? — აწრიალდა დეიდა ჩვარი. სწორედ ამ



დროს შეამჩნია, რომ კაბის კალთაზე ნარინჯისფერი ლაქა უფართოდ-დებოდა.

— ვიწვით! — შეჰკივლა ჩვარმა და ხანში შესული ადამიანისათვის შეუფერებელი სისწრაფით გადაევლო წიდის გროვას.

მეგობრები დასახმარებლად გამოუდგნენ, მაგრამ თავს რომ წაადგნენ, გამოირკვა, დახმარება საჭირო აღარ იყო: დეიდა ჩვარი დაღვრემილი იჯდა გუბეში, რომელიც იმის ბედზე ჩამდგარიყო ეზოში.

— სულ თქვენი ბრალია! — შეუტია ჩვარმა ცარცს, — რაღა არ მოიგონეთ! თქვენი არ ვიცი და მე კი მეყო ამდენი ვაი-ვაგლახი! სახლში ვბრუნდები! ერთ წუთს აღარა ვარ აქ დამრჩენი!

დეიდა ჩვარი წამოხტა, ყური არ ათხოვა ცარცს, რომელიც ხელით ანიშნებდა, მაგას ნუ იზამო, და ირგვლივ ყველაფერს წაშლა დაუწყო. იმავე წუთას მოგზაურებმა კლასში ამოყვეს თავი.

— ეჰ, ექსპედიცია ჩაგვამწარა-არა! — ჩაიბუზღუნა ბიძია გლობუსმა და მასწავლებლის მაგიდაზე შებობღდა.

— არა უჭირს რა, — შენიშნა ცარცმა. — მთავარი რაც იყო, ის ხომ ვნახეთ! ახლაც იტყვით, კირქვებს არავითარი კავშირი არა გაქვთ ლითონებთანო?! ნუ დაგავიწყდებათ, — მიმართა კალამს, — ფოლადის კალმის წვერი და სპილენძის სახურავი რომ გაქვთ, ამას ჩვენს გვარსაც უნდა უმადლოდეთ!

— წარმოგიდგენიათ! — ბუტბუტებდა კალამი და თან მერხზე მიძვრებოდა. — ეს კირქვები ფოლადის ნათესავები არა ყოფილან! გახსოვთ, ქიმიაზე რაღაცა თქვით, — მიმართა კალამმა ცარცს, როცა ყველა თავ-თავის ადგილზე მოეწყო. — ნუთუ ქიმიაშიც ხელი გაქვთ გარეული?

— ხელი გარეული გვაქვს და მერე როგორ! აი, მაგალითად, თქვენი პატარა სამელნე რეზერვუარი ავიღოთ. სრულიად მოსალოდნელია, რომ მის დამზადებაშიც უდევს წილი ჩემს რომელიმე ძმას.

— კი, მაგრამ ის ხომ რეზინისაა?! რეზინი კი კაუჩუკისაგან არის გაკეთებული...

— ხელოვნური კაუჩუკისაგან, — დაუზუსტა ცარცმა.

— მერე რა? მაგას რა მნიშვნელობა აქვს... თუმცა მიჯობს ენას კბილი დავაჭირო

— ასე აჯობებს! თუ გაგიგონიათ, მეგობრებო, ნივთიერება, რომელსაც „კალციუმის კარბიდი“, უბრალოდ კი, „კარბიდი“ ჰქვია?

— გაგიგონიათო! — ისევ აბუზღუნდა ჩვარი. — აი, აყროლებული როა, იმაზე არ ამბობ? ამას წინათ ერთმა ონავარმა ეს, კარბიდია თუ რაღაც ოხრობა, მოკლედ, თეთრი კენჭივით ქვა, სამელნეში ჩააგდო, ნეტა გენახათ, როგორ აშიშინდა! მელანი აქაფდა და მერხზე გადმოიღვარა. მერე კი მე და დამლაგებელმა კინაღამ თავი შევაკალით, სუფთა წყალიც ვცადეთ, საპონიც; ვხეხეთ, ვხეხეთ და მაინც ვერაფერს გავხდით... მაშინდელი ლაქა დღესაც ატყვია მერხს.

— ნამდვილად კარბიდი ყოფილა! — დაეთანხმა ცარცი. — ამ საოცარი ქვითა და წყლით რელსებს ჭრიან, გემის კორპუსის სხვადასხვა ნაწილებს მტკიცედ ადუღებენ ერთმანეთთან, შენობის ფოლადის კარკასებს აკავშირებენ.

— ქვა და წყალი რელსებს ჭრი...ისო?! — კეფა მოიფხანა ბიძია გლობუსმა. — ასეთი რამ ზღაპრადაც არ გამიგონია.

— ზღაპრად არ ვიცი, მაგრამ სინამდვილეში კი ხდება. ჩააგდებ კარბიდს წყალში და იგი სასწაულმოქმედ საწვავ აირს — აცეტილენს გამოყოფს. ეს აირი წვისას ძალზე მაღალ ტემპერატურას წარმოქმნის. ხოლო თუ ანთებულ აცეტილენში ჟანგბადის ნაკადს მივუშვებთ, ტემპერატურა კიდევ უფრო მაღლა იწევს.

აირის ეს თვისება გამოიყენეს ადამიანებმა და იგი თავის სამსახურში ჩააყენეს. მათ სპეციალური მოწყობილობა გამოიგონეს, ამ ხელსაწყოს სანთურა გაუკეთეს. სანთურას ხელსაწყოს რეზერვუარიდან ორი მილაკი უერთდება; ერთი მილაკი ჟანგბადის ბალონიდან ჟანგბადს აწვდის მას, ხოლო მეორე კარბიდითა და წყლით სავსე ჭურჭლიდან — აცეტილენს. ამ მოწყობილობას აირ-შემდუღებელი, მეორე ნაირად, ავტოგენური აპარატი ჰქვია. სანათურიდან შუილით გამოჭრილი აცეტილენის ალის მოციმციმე ენა რამდენიმე წუთში ადნობს უმტკიცეს ლითონს. მას შენიშნავთ ყველგან, სადაც კი ლითონების გაჭრა ან შედუღებაა საჭირო.

აცეტილენი, როგორც უკვე ვთქვით, კარბიდის და წყლის შეერთებით მიიღება. კარბიდს კი ჩვეულებრივ ქვანახშირისა და კირქვისგან ღებულობენ. საკმარისია დანაყილი კირქვა და ქვანახშირი სპეციალურ ელექტროღუმელში შევყაროთ და ორი ათას გრადუს ტემპერატურამდე გავახუროთ, რომ კარბიდი ხელთ გვექნება.

მაგრამ აცეტილენი, ასე მძაფრად რომ გამოიყოფა კარბიდიდან, მარტო შესადუღებლად კი არ გამოიყენება. იგი შესანიშნავ ნედლეულს წარმოადგენს ქიმიური მრეწველობისათვის. აცეტილენისა და ზოგიერთი სხვა ნივთიერების შეერთებით, მრავალგვარ პროდუქტს ღებულობენ, მათ შორის რამდენიმე სახის პლასტმასას და შესანიშნავი ხარისხის ხელოვნურ კაუჩუკს—ნაირიტს. კირქვის დახმარებით მიღებულ ამ კაუჩუკს უნდა უმადლოდნენ თავის არსებობას ავტომანქანის საბურავები, ამძრავი ღვედები და სხვა ძალზე საჭირო საგნები. მათ შორის ალბათ, თქვენი ბატარა სამელნე რეზერვუარიც, პატივცემულო კალამო... ახლა, რას იტყვით? — ცარცმა გამარჯვებული სახით გადახედა თავის მსმენელებს. — გადასაყრელია ჩვეულებრივი რიყის თეთრი ქვები? ჰა?

— თქვენ და კალამი ღვიძლი ნათესავები გამოდიხართ, არა? — ჰკითხა ცარცს დეიდა ჩვარმა.

— ჰო, ბევრიც რომ იუაროს, აღარაფერი გამოუვა! — გაიცინა ცარცმა.

— გულშიაც არ გამივლია ასეთი რამ. პირიქით, ძალიან გამეხარდა! — თქვა კალამმა და დიდის ამბით გაისწორა სახურავი. — ერთმანეთს აღარასოდეს წავეჩხუბებით.

— სხვათა შორის, დეიდა ჩვარო, კირქვების მოდგმას თქვენზეც მიუძღვის ამაგი.

— შეიძლება. ეგ არის, აღარ მახსოვს, მოვხუცდი, — განაცხადა გულდათუთქულმა ჩვარმა. — ჯერ იყო, მე მრეცხავდნენ, მერე მე ვრეცხავდი... ასე რომ, ყველაფერი გადამერეცხა მეხსიერებიდან.

— რაკი ეგრეა, მე გაგახსენებთ, სანამ თქვენგან თოვლივით ქათქათა ხალათს შეკერავდნენ, როცა ის-ის იყო ქსოვილად იბადებოდით, ბედმა კირქვას შეგახვედრათ. სწორედ მისი წყალობით გახდით თოვლივით ქათქათა. თქვენც, ბიძია გლობუსო, უფრო სწორად, იმ ქაღალდს, რომლისაგანაც თქვენი ნახევარსფეროებია გაკეთებული, თავის დროზე კირქვასთან ჰქონდა საქმე. ფაბრიკაში მიზიდული, წმინდად დაფქვილი ხის მერქანი და ძველმანი ძონძები რომ მალე გადაიხარშოს და საქაღალდე მასად იქცეს, ქვაბებში, როგორც წესი, ყრიან კირს.

— ეს რა უამრავი საქმე-საზრუნავი ჰქონია თქვენს ოჯახს, — წამოიძახა ბიძია გლობუსმა. — პირდაპირ თავში არ მეტევა ეს ყველაფერი.

— ნუ დაგავიწყდებათ, რომ მე იმის ნახევარიც არ მიამბნია, რასაც ვაკეთებთ, — ამაყად განაცხადა ცარცმა. — აი, ახლა ფანჯრის მინას ვუყურებ. მის დასამზადებლადაც კირქვაა საჭირო. ფანჯარაში მინდორი რომ მოჩანს, მასაც კირქვა ურევია. არსებობს ერთგვარი ნიადაგი — მეავე ნიადაგებს უწოდებენ — რომელშიც თუ კირს არ შეიტანთ, მოსავალს არ მოგცემს.

— აგერ, იმ სარეკლამო ფარს აწერია: „მე პავიდლოს და ჯემსა ვჭამ“. — კალამმა ეშმაკურად ჩაუკრა თვალი გლობუსს და ჩვარს. — — იქაც ხომ არ ურევია თქვენი ოჯახის ხელი?

— დიახაც, რომ ურევია! — მიუგო ცარცმა. — პავიდლოს და ჯემს უშაქროდ ვერ მოხარშავ, შაქარს კი კირის გარეშე ვერ დაამზადებ.

— ამას კი ვერაფრის დიდებით ველარ დავიჯერებ! — განაცხადა დეიდა ჩვარმა. — ტკბილი შაქარი და კირქვა?! რა აქვთ საერთო?

— სწორედაც რომ პირიქით არის, — გაცხარდა ცარცი. — შაქარი უკიროდ რომ დაემზადებინათ, იგი საჭმელად უვარგისი იქნებოდა.

იცით, როგორ ამზადებენ შაქარს? შაქრის ჭარხალს ჯერ კარგად გარეცხავენ, მერე წვრილად დაფხეკენ. ამ დანაფხეკს მოხარშავენ. შაქარი, რომელსაც ჭარხალი შეიცავს, დნება და ტკბილ წვნად გამოიყოფა. თითქოს შაქრის მიღებაზე ადვილი არაფერი უნდა იყოს: ჩაასხი ეს ტკბილი წვენი ჭურჭელში, მოადუღე, წყალი ააორთქლე და სუფთა შაქარს მიიღებ. მაგრამ არც ასეა საქმე. ასეთი ხერხით მიღებული შაქარი პირში არ ჩაიდება — ძალზე ბევრი ჭუჭყი ურევია.

ამიტომ არის, რომ ტკბილ წვენს მოდუღებამდე კირით წმენდენ. წვენში ჩაყრილი კირი ფსკერზე ილექება და არასასურველ შენარევებსაც ლექავს. თუმცა ზეპირად ლაპარაკს ის აჯობებს, შაქრის ქარხანაში გავემგზავროთ. ახლავე მზად იქნება!

ცარცი დაფის რაფაზე ავიდა და ხატვას შეუდგა. დაფაზე ქარხნის შუშაბანდის მსგავსი კორპუსი გამოჩნდა, გრძელი მილი სულ უფრო მაღლა მიიწევდა; აი, ალვის ხის სიმაღლესაც მიაღწია და უცებ შუა გზაზე გაჩერდა. ცარცი გაუჩინარდა.

— გა...აქრა! — ჩაილაპარაკა გაოგნებულმა ბიძია გლობუსმა.

— ხატვაში დაილია, დადნა! — ამოიოხრა ჩვარმა. — ხატვას გადაყვა! ჩვენ კი, ბაქია ხარო, სულ ამას ვუკიჟინებდით... ეჰ! — დეიდა ჩვარს ქვითინი აუტყდა და სახე კაბის კალთაში ჩამალა.

სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა. უცებ იატაკზე რაღაცა დაეცა. ეს კალმის ლაპლაპა თავსახური იყო.

— ცარცი სულ კირქვების შესანიშნავ ოჯახზე გველაპარაკებოდა, — ყრუდ ჩაილაპარაკა კალამმა, — თავის თავზე სიტყვაც არ დასცდენია. სინამდვილეში კი ამქვეყნად ყველაზე ღირსეულ საქმეს აკეთებდა. ცარცი ბავშვებს ასწავლიდა...

სწორედ ამ დროს საიდანღაც, არ ვიცი, სველი სახურავებიდან თუ მთვლემარე ხეთა ფოთლებიდან გამოტყორცნილმა პირველმა ალისფერმა სხივმა შემოიხედა კლასში. ჯერ ფრთხილად შეეხო სარკ-

მლის ნაბზარს, ცისარტყელასავით ააფერადა, მერე გათამამდა და იატაკზე შტოების ჩრდილი დააფინა.

ზღაპრული დრო ამოიწურა. იქნებ ამიტომ იყო, საკლასო ოთახში გამეფებულ სიჩუმეს რომ აღარავინ არღვევდა. ექო დიდხანს იყო ჩასაფრებული გასაღების ჭუჭრუტანასთან, რათა ხმაური აეტაცა და დერეფნისთვის მოედო, მაგრამ ყური ვერაფერს მოჰკრა.

თეთრით შავზე დაწერილი ჩვენი ამბავიც სწორედ აქ მთავრდება, ჩემო მეგობარო.



შინაარსი

ჯერ ერთმანეთი უნდა გავიცნოთ 3

პირველი თავი

რომელიც მოგვითხრობს, რა მოხდა ერთ ღამეს შენს სკოლაში, შენს კლასში 5

მეორე თავი

რომელიც მოგვითხრობს, თუ რა ნახეს ჩვენმა მოგზაურებმა, როცა ნახატ, მგზარამ ამასთან სავსებით ნამდვილ სამყაროში მოხვდნენ, და როგორ წაიჩხუბნენ ცარცი და კალამი 12

მესამე თავი

რომელიც გვიამბობს, როგორ დაამტკიცა ცარცმა, რომ ზღვის ფსკერზე იყო დაბადებული, როგორ გააცნო მეგობრებს ლითონი, რომელსაც ხმელეთზე, სანთლითაც რომ ეძებო, ვერ იპოვი, და როგორ თქვა კალამმა უარი წანაგების გადახდაზე 19

მეოთხე თავი

რომელიც მოგვითხრობს, რომ ბავშვობის გახსენება მთლად უხიფათო საქმე არ არის, მაგრამ სამაგიეროდ, არარსებულ სამყაროში მოგზაურობის იშვიათ შესაძლებლობას გვიქმნის 29

მეხუთე თავი

რომელშიც ჩვენი მოგზაურები „მთაში" მიდიან, ამ სიტყვის ზუსტი მნიშვნელობით. ცარცი მარგალიტს პოულობს სანაძლეოს გადასახდელად, კალამი კი ძლივს ახერხებს ქუდის შენარჩუნებას 38

მეექვსე თავი

და საკმაოდ ნაღვლიანი. ამ თავში ავტორი იძულებულია გულისწუხილით შეგატყობინოს კალმის იდუმალებით მოცული გაქრობის ამბავი; გიამბოს, თუ როგორ ამზადებდნენ შეთქმულებას ბიძია გლობუსი და დეიდა ჩვარი, გამოგზაუროს „ბედნიერი" ქვისა და უბედური ადამიანების კუნძულზე. დანარჩენს კი თვითონ გაიგებ, როცა მას წაიკითხავ... 49

მეშვიდე თავი

წინა თავის გაგრძელებაა. აქ შენ შეიტყობ, კიდევ რა შეემთხვა მაშველ ექსპედიციას, როგორ დაეხმარა მას პატარა შავი უცნობი, როგორ

გაჩნდა დედამიწაზე მარმარილო და აგრეთვე, როგორ ხერხაეს ქვასა
და ფოლადს... ქვიშა . . 63

მ ე რ ვ ე თ ა ვ ი,

რომელიც თავიდან არ იწყება, შუიდან გრძელდება, ხოლო სად და როგორ მთავრდება, ჯერ არავინ იცის. მოთხრობის ორი გმირი, იმდენად მძიმე გასაჭირში ვარდება, რომ ავტორი იძულებულია გულახდილად აღიაროს, თავადაც არ ვიცი, შეეძლებ თუ არა მათ გადარჩენასო. კარგი იქნება თუ ამ თავში მოთხრობილი ამბავი ჭკუას გასწავლის და მიგახვედრებს, რომ წინდაუხედაობა და ზედმეტი თავდაჯერებულობა, ასე გასინჯეთ, ზღაპრულ მოგზაურობაშიც კი უბედურების მეტს ვერაფერსა გწევთ . 79

მ ე ც ხ რ ე თ ა ვ ი

და შესაძლოა, უკანასკნელიც, იმიტომ, რომ უგზოუკვლოდ დაკარგულთა მოსაძებნად წასული ექსპედიცია თვითონ ჩავარდა დიდ განსაცდელში. მაგრამ წიგნის არც ერთ გმირს მშობლიური კლასის კედლებში დაბრუნებაც რომ არ ეწეროს, ან ავტორს ისინი გზაში შემოეფანტნონ და სხვა ამბის მოყოლა მოუხდეს, შენ მაინც შეიტყობ რაღაც-რაღაცეებს იმ კუნძულებზე, რომლებმაც მშობელი დედამიწის სურვილი არ აღასრულეს; უდიდესი მშენებლობისა და უმცირესი მშენებლების, პალმის ჭურდების, მეზღვაური-კაკლებისა და სხვათა ამბავსაც გაიგებ 93

მ ე ა თ ე თ ა ვ ი

რომელმაც, მე მგონი, იმედი უნდა გაგიცრუოს: ჩვენმა გმირებმა ხელახლა დააპირეს სამოგზაუროდ წასვლა, მაგრამ მაშინვე ყრუ კედელს წააწყდნენ... კედლის აგურები ისეა დალაგებული, რომ ეტყობა წინადადებებს უნდა შეადგენდნენ და რომელიღაც უცნობ ამბავს გადმოსცემდნენ. ვინც ამ წარწერას ამოიკითხავს, გაიგებს რა დიდი სარგებლობის მოტანა შეუძლია კრამიტის ნამტვრევებს. შეიტყობს თავსატეხი სიტყვის „ვანლიჩანჩენის“ მნიშვნელობას, გაიცნობს ახირებულ ადამიანებს, მთელი სიცოცხლე საფლავებს რომ იშენებდნენ, ნახავს გოლიათს, რომელმაც ცეცხლში, წყალში, ფოლადის მილებში და ეშმაკის კბილებში გამოიარა, და კიდევ სხვა ამბებს მოისმენს 119

მ ე თ ე რ თ მ ე ტ ე თ ა ვ ი

და უკანასკნელი. ამ თავში ჩვენს გმირებთან ერთად მოგიხდება მურა მთების გადავლა და იმ დიდებულ ცეცხლოვან სამეფოში მისვლა, რომლის ზღაპრულ სამზარეულოშიც რკინის გოლიათებს სადილს უმზადებენ. იმასაც გაიგებ, წყალმა და ქვამ ფოლადი როგორ გაადნეს. შეიტყობ, რომ არსებობს სრულიად ჩვეულებრივი ქვის კალოშები და მრავალი სხვა არანაკლებ საოცარი ამბის მოწმე გახდები 149

Александр Кириллович Дитрих
БЕЛЫМ ПО ЧЕРНОМУ
(На грузинском языке)
Детюниздат Грузинской ССР
«Накадули»
Тбилиси
1966

რედაქტორი შ. დარახველიძე
მხატვარი ი. სოოსტერი
მხატვ. რედაქტორი ი. ქლიბაძე
ტექრედაქტორი ლ. ქვარცხავა
კორექტორი თ. ენდელაძე

ხელმოწერილია დასაბეჭდად 24/II-66 წ.
ქაღალდის ზომა 60×84 1/16
სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 8,38
ნაბეჭდი თაბახი 10,5
ტირაჟი 20.000 შეკვ. № 2899
ფასი 50 კაპ.

გამომცემლობა „ნაკადული“, მარჯანიშვილის ქ. № 5
Издательство «Накадули», ул. Марджанишвили № 5

სტამბა № 2, „ნაკადული“, თბილისი, ფურცელაძის ქ. № 5
Типография № 2, «Накадули», Тбилиси, ул. Пурцеладзе № 5